



კავკასიის კვლევითი
რესურსების ცენტრი

მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში - იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების ხედვა

ივნისი, 2019

მოკლე მიმოხილვა

იურიდიული სფეროს პროფესიონალების ეს კვლევა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC-საქართველომ) ჩაატარა 2019 წლის გაზაფხულზე (მარტიდან მაისამდე პერიოდში) პროექტისთვის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ და ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). კვლევა იმეორებს 2016 წელს ჩატარებულ საბაზისო კვლევას და მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ როგორ ხედავენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, კერძოდ, ადვოკატები, მოსამართლეები და პროკურორები მართლმსაჯულების გარკვეულ ასპექტებს. ასევე, იმის დადგენას, ხომ არ შეიცვალა მათი შეხედულება ბოლო სამი წლის განმავლობაში.

კვლევის დიზაინი მოიცავს კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს შემდეგი საკითხების შესაფასებლად: (1) რამდენად არის სასამართლოში ეფექტური ბალანსი მხარეებს შორის, (2) რამდენად შეუძლიათ მოქალაქეებს (მათ შორის, უმცირესობებსა და მოწყვლად ჯგუფებს) მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმებით სარგებლობა, (3) როგორია იურიდიული განათლების დონე საქართველოში, (4) როგორ ფუნქციონირებენ მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა ინსტიტუტები და (5) როგორ აფასებენ იურიდიული სფეროს პროფესიონალები სასამართლო მედიაციას.

კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოიკითხა 207 ადვოკატი (109 კერძო ადვოკატი, არასამთავრობო ორგანიზაციების 41 ადვოკატი და იურიდიული დახმარების სამსახურის 57 ადვოკატი), 81 მოსამართლე და 122 პროკურორი. რაც შეეხება კვლევის თვისებრივ კომპონენტს, 15 ინტერვიუ ჩატარდა 7 მოსამართლესა და 8 პროკურორთან. ამასთან, გაიმართა 4 ფოკუს ჯგუფი, რომლის მონაწილეებიც კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე და სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები იყვნენ (საშუალოდ 6 მონაწილე თითოეულ ჯგუფში). კვლევის შედეგები დაჯგუფებულია ხუთ თავად, კვლევის ხუთი ძირითადი თემის შესაბამისად.

2016 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები კრიტიკული შეფასებებით გამოირჩეოდნენ, კვლევაში მონაწილე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებთან შედარებით. ზოგადად, ადვოკატები, პროკურორები და მოსამართლეები უფრო დადებითად აფასებდნენ იმ ინსტიტუტებს, რომლებთანაც უშუალო კავშირი აქვთ, ვიდრე მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტებს.

2016 წლის გამოკითხვის შედეგებისგან განსხვავებით, 2019 წლის გამოკითხვაში იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა უფრო ერთგვაროვან დამოკიდებულებას გამოხატავს მხარეთა თანასწორობის შესახებ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში და ამბობს, რომ ძირითად შემთხვევებში მხარეთა თანასწორობა დაცულია სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. რაც შეეხება სისხლის სამართალში მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფას, ეს საკითხი ჯერ კიდევ შეუთანხმებლობის საგანია, რასაც თვისებრივი კვლევა აჩვენებს. განსაკუთრებით განსხვავდება პროკურორებისა და სხვა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების აზრები. პროკურორები ამბობენ, რომ დღესდღეობით ბრალდებისა და დაცვის მხარეს თანაბარი უფლებები აქვთ მტკიცებულებების მოპოვებაზე, გარდა ამისა, ზოგჯერ მოსამართლეები ბრალდების

მხარის მიმართ უფრო მომთხოვნები არიან. მოსამართლეები და ადვოკატები კი მიიჩნევენ, რომ ბრალდების მხარეს უფრო მეტი რესურსი აქვს, რაც მაგალითად, ადვოკატების აზრით, ჯერ კიდევ უწყობს ხელს უთანასწორობას. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები, 2016 წელთან შედარებით, ახლა უფრო კრიტიკულ მოსაზრებებს გამოთქვამენ, მოსამართლეები კი პირიქით, 2016 წელთან შედარებით უფრო დადებით დამოკიდებულებებს გამოხატავენ. რაც შეეხება ბრალდებისა და დაცვის მხარის წვდომას ერთმანეთის მტკიცებულებებზე, პროკურორების, მოსამართლეებისა და იურიდიული დახმარების ადვოკატების უმრავლესობის აზრით, ორივე მხარეს თანაბრად მიუწვდებათ ხელი ერთმანეთის მტკიცებულებებზე. ამ მოსაზრებას კერძო ადვოკატებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების ნახევარზე ნაკლები იზიარებს.

საინტერესოა, რომ ახალციხეში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის მონაწილე იურისტებმა მოსამართლეები პროკურატურისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ გარკვეულ მიკერძოებაში გააკრიტიკეს. ისეთ საქმეებთან დაკავშირებით კი, სადაც დიდი კომერციული ინტერესი იკვეთება, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებმა და კერძო ადვოკატებმა მხარეთა თანასწორობის დარღვევის რისკები დაინახეს ბიზნეს კომპანიების ან სახელმწიფოს სასარგებლოდ.

რაც შეეხება უდანაშაულობის პრეზუმფციას, რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტები უდანაშაულობის პრეზუმფციას იცავენ. თუმცა, რესპონდენტები უფრო ხშირად ამბობენ ამას მაშინ, როცა საქმე სასამართლოსა და იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას ეხება, ვიდრე პროკურატურისა და პოლიციის მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას.

2016 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმეტესობა ამბობს, რომ სასამართლოები, პროკურატურა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები საზოგადოების უმცირესობისა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს განსხვავებულად/უთანასწოროდ არ ეპყრობიან. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები ამ შემთხვევაში უფრო კრიტიკულები არიან, მათი მესამედი ამბობს, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლებს ძირითადად ან სრულიად უსამართლოდ ეპყრობა სასამართლო. მოსამართლეები და პროკურორები, ადვოკატებისგან განსხვავებით, პოლიციის მიერ მიღებულ ზომებს, როცა მათ საქართველოში მაცხოვრებელი სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი მიმართავს, ეფექტურად აფასებს. ადვოკატების ფოკუს ჯგუფში თბილისში ერთ-ერთმა მონაწილემ დაასახელა წინასაარჩევნო პერიოდის შემთხვევა ფონიჭალიდან, სადაც პოლიციის წარმომადგენლებმა ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებს იარაღი ჩაუდეს.

ადვოკატებმა განსაკუთრებით პრობლემურად ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საქმეები დაასახელეს, სადაც მსხვერპლები ხშირად ცვლიან ან უარყოფენ ჩვენებებს, ხოლო გამოძიებისა და დაკავების წესები, სხვა დანაშაულებთან შედარებით, ნაკლებადაა დაცული. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებმა მხარდაჭერა გამოხატეს ოჯახში ძალადობის საქმეებზე მკაცრი სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ, ხოლო სახელმწიფოს იურიდიული დახმარების ადვოკატებმა თქვეს, რომ ციხეები ოჯახში დანაშაულის საქმეზე დაკავებულებითაა სავსე და ამ მკაცრ პოლიტიკას სასამართლო ბრმად ახორციელებს.

რაც შეეხება მოქალაქეების ხელმისაწვდომობას სასამართლოსა და კერძო ადვოკატის მომსახურებაზე, იურიდიული პროფესიების წარმომადგენლების უმრავლესობას მიაჩნია,

რომ მოქალაქეებისთვის სასამართლო ბაჟი და კერძო ადვოკატის მომსახურება ფინანსურად ხელმისაწვდომი არ არის. გამონაკლისს წარმოადგენენ მოსამართლეები, რომელთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მოქალაქეებისთვის სასამართლო ბაჟიც და კერძო ადვოკატის მომსახურებაც ხელმისაწვდომია.

2016 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა იურიდიული განათლების დონის გაუმჯობესებას ამჩნევს, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო დონზე. რესპონდენტების უმრავლესობა საქართველოს უნივერსიტეტების მიერ გაცემულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკული უნარებს დადებითად აფასებს. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები განსახვავებულად ფიქრობენ. რაოდენობრივი მონაცემების შესაბამისად, ფოკუს ჯგუფებში არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებმა ახსენეს, რომ ხშირად უწევთ საბაზისო სამართლებრივი პრინციპების ახსნა სტაჟიორებისთვის, ვინც უნივერსიტეტებიდან მათ ოფისებში სამუშაოდ მოდის. ყველა რესპონდენტმა ხაზი გაუსვა პრაქტიკული განათლების მნიშვნელობას და მეტი თანამშრომლობის აუცილებლობას უნივერსიტეტებსა და მართლმსაჯულების ინსტიტუტებს შორის იმისთვის, რომ სტუდენტებისთვის სტაჟირების მეტი შესაძლებლობა გაჩნდეს. მით უმეტეს, რომ, ადვოკატებისა და მოსამართლეების მტკიცებით, ბოლო დროს სტუდენტები სტაჟირებების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ.

რესპონდენტებმა პრაქტიკოსი იურისტების განათლების დონე საშუალოდ შეაფასეს. მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების მოსაზრებით, გამომძიებლებსა და სხვა ადვოკატებს უფრო დაბალი კვალიფიკაცია აქვთ. ადვოკატების თქმით, საქართველოში დღეს ბევრი მაღალკვალიფიციური ადვოკატია. თუმცა, ადვოკატთა კორპუსის კვალიფიკაციის საერთო ფონი მაინც დაბალია. მოსამართლეთა კვალიფიკაციაზე საუბრისას, კვლევის მონაწილეებმა ახსენეს მოსამართლეთა გადატვირთულობა, რაც მათ პროფესიულ განვითარებას აფერხებს.

პროკურორები და მოსამართლეები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ განგრძობითი იურიდიული განათლების შესაძლებლობების გამო, რასაც მათ პროკურატურა და იუსტიციის უმაღლესი სკოლა სთავაზობს. ადვოკატებმა აღნიშნეს გაუმჯობესება ადვოკატთა ასოციაციის მიერ მიწოდებული განგრძობითი იურიდიული განათლების საკითხში. თუმცა, ზოგმა მათგანმა თქვა, რომ ტრენინგის თემები არარელევანტურია და გამოთქვა სინანული, რომ მაღალი დონის პროფესიონალების მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე დასწრება ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იყო, რადგან ტრენინგებზე მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდული იყო. თითოეულ ტრენინგს 20-დან 25-მდე მონაწილე ესწრებოდა. ფოკუს ჯგუფების მონაწილე ადვოკატებმა აღნიშნეს იმის საჭიროება, რომ ადვოკატებს, მოსამართლეებსა და პროკურორებს ერთი და იგივე ტრენინგები ჰყავდეთ. ეს ხელს შეუწყობდა იურიდიული სფეროს პროფესიონალებს შორის სამართლებრივი საკითხების საერთო ხედვისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

2016 წლის კვლევის მსგავსად, სასამართლოში საქმეთა გადატვირთულობა იურიდიული სფეროს ყველა პროფესიონალმა დაასახელა პრობლემად, რადგანაც ეს უარყოფით გავლენას ახდენს მოქალაქეთა უფლებაზე სწრაფი მართლმსაჯულების შესახებ. ადვოკატების თქმით, ზოგჯერ წლებია საჭირო საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად და საქმეთა წარმოების გაჭიანურების პრობლემა არა მხოლოდ პირველი

ინსტანციის სასამართლოებს ეხება, არამედ სააპელაციო სასამართლოებსა და უზენაეს სასამართლოსაც კი.

მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობის შეფასებისას რესპონდენტების მოსაზრებები განსხვავდება. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა დადებითად აფასებს შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას: სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სასამართლოები, იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა და არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარება. ადვოკატები ამ შემთხვევაშიც კრიტიკული შეფასებებით გამოირჩევიან და უარყოფითად აფასებენ მართლმსაჯულების ინსტიტუტების მუშაობას, გარდა იმ ინსტიტუტებისა, რომლებთანაც პირდაპირ კავშირი აქვთ.

იურიდიული სფეროს პროფესიონალები მედიაციას უმეტესად პერსპექტიულ მექანიზმად აფასებენ საქმეთა უფრო სწრაფი გადაწყვეტისა და სასამართლოების განტვირთვის კუთხით. შესაბამისად, მოსამართლეები და ადვოკატები ხაზს უსვამენ მედიაციის პოპულარიზაციის საჭიროებას მოქალაქეთა და პროფესიულ ჯგუფთა შორის. იურიდიული სფეროს პროფესიონალები ამბობენ, რომ ბევრი დავა, მაგალითად, საოჯახო დავები, განქორწინების საქმეები, მემკვიდრეობასთან და საკუთრებასთან დაკავშირებული დავები შეიძლება, ძალიან ეფექტურად მოგვარდეს მედიაციის გზით, რადგანაც მედიაცია უფრო ღია კომუნიკაციას მოიაზრებს და საშუალებას აძლევს მხარეებს, მათთვის სასარგებლო შეთანხმებას მიაღწიონ. მოსამართლეების შემოთავაზებით, შესაძლებელია, მედიაციას სავალდებულო წესით გადაეცეს ისეთი საქმეები, რომელთა დავის საგანი 5,000 ლარს არ აღემატება.

მოცემული კვლევის ანგარიში თითოეულ თემას უფრო დეტალურად მიმოიხილავს და რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევის შედეგებს აღწერს. დანართებში მოცემულია გამოკითხვის სიხშირის ცხრილები თითოეული კითხვისთვის, რასაც მოსამართლეებმა, პროკურორებმა და ადვოკატებმა უპასუხეს. ასევე, ადვოკატებთან ფოკუს ჯგუფებისა და მოსამართლეებთან და პროკურორებთან სიღრმისეული ინტერვიუების შეჯამება.

გამოყენებული აბრევიატურები

LAS – სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური

ლგბტ – ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა.....	2
გამოყენებული აბრევიატურები.....	6
შესავალი.....	9
1. მხარეთა ბალანსი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.....	11
სისხლის სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	12
სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	16
თანასწორობა მხარეთა შორის იმ შემთხვევაში, როცა მხარეს ადვოკატი არ წარმოადგენს.....	19
2. მოქალაქეთა შესაძლებლობა, ისარგებლონ მართლმსაჯულების სისტემით.....	19
მოპყრობა.....	21
ეფექტურობა.....	25
უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა.....	27
მართლმსაჯულების ფინანსური ხელმისაწვდომობა.....	27
3. იურიდიული განათლების ხარისხის შეფასება.....	30
4. მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების შეფასება.....	36
ინფორმირებულობა.....	37
საქმიანობის ორგანიზებულობის შეფასება.....	39
საქმიანობის შეფასება.....	40
5. მედიაცია.....	44
დასკვნა.....	47
დანართები.....	49
<i>დანართი 1 – კვლევის მეთოდოლოგია.....</i>	49
<i>დანართი 2 - იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების კვლევის საფუძველზე შედგენილი ინდიკატორები.....</i>	53
<i>დანართი 3 – გამოკითხვის სიხშირის ცხრილები.....</i>	59
<i>დანართი 4 - ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების მიმოხილვა.....</i>	150
საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის სფეროები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.....	150
თანასწორობა და მხარეებს შორის ბალანსი სასამართლოში.....	160
სასამართლოს დამოკიდებულება უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.....	165

პროკურატურის დამოკიდებულება უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.....	169
სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის დამოკიდებულება უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ	171
იურიდიული განათლება - საუნივერსიტეტო და განგრძობითი იურიდიული განათლება	172
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია.....	179
მედიაცია.....	181

შესავალი

2019 წლის მარტიდან მაისამდე პერიოდში, CRRC-საქართველომ ჩაატარა იურიდიული სფეროს პროფესიონალების კვლევა პროექტისთვის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), რომელიც დაფინანსებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ და რომელსაც ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). პროგრამის ძირითადი მიზანია მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერება საქართველოში და შედეგად სათანადო სამართლებრივი პროცედურების, სასამართლოს დამოუკიდებლობის და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.¹ პროგრამის მიზნების საფუძველზე კვლევა მოიცავს ხუთ თემას:

- (1) სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი;
- (2) მართლმსაჯულების სისტემის დაცვის მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა მოქალაქეებისთვის;
- (3) სამართლებრივი განათლების ხარისხი;
- (4) მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების საქმიანობა და
- (5) მედიაცია.

იურიდიული სფეროს პროფესიონალების კვლევა იმეორებდა 2016 წელს ჩატარებულ საბაზისო კვლევას და შედეგობა შემდეგი კომპონენტებისგან: იურიდიული სფეროს პროფესიონალების გამოკითხვა (207 ადვოკატისა და 81 მოსამართლის პირისპირ გამოკითხვა და 122 პროკურორის თვითადმინისტრირებადი ონლაინ გამოკითხვა), ოთხი ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან და სიღრმისეული ინტერვიუები მოსამართლეებთან (7) და პროკურორებთან (8). PROLoG-ის ერთ-ერთი მიზნიდან გამომდინარე, რომელიც მარგინალიზებული მოქალაქეებისთვის, კერძოდ, ქალებისა და ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობებისთვის, მართლმსაჯულებასთან წვდომის გაუმჯობესებას გულისხმობს, კვლევა ფოკუსირებული იყო თბილისზე და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სამ რეგიონზე: აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა იხილეთ პირველ დანართში.

ამ ანგარიშის სტრუქტურა მიჰყვება კვლევის ხუთ მთავარ თემას და აანალიზებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებს ხუთ შესაბამის თავში. **პირველი თავის** მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ აფასებენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები სასამართლოში მხარეთა შორის ბალანსს. თავი ცალ-ცალკე განიხილავს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას, ასევე მხარეთა ბალანსის საკითხს იმ შემთხვევაში, როცა მხარეს პროფესიონალი ადვოკატი არ წარმოადგენს. **მეორე თავში** განხილულია იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების აღქმა იმისა, თუ რამდენად სარგებლობენ მოქალაქეები მართლმსაჯულების სისტემის დაცვით სამი ძირითადი მიმართულებით: მოპყრობა მართლმსაჯულების სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა და სისტემის ფინანსური

¹ დამატებითი ინფორმაციისთვის PROLoG პროგრამის შესახებ იხ.: <http://ewmiprolog.org/en/about/PROLoG>

ხელმისაწვდომობა. აღნიშნული ასევე მოიცავს წვდომისა და თანასწორობის საკითხს მარგინალიზებული მოქალაქეებისთვის. მესამე თავის მიზანია სამართლებრივი განათლების ხარისხის შეფასება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების გადმოსახედიდან და მისი გაუმჯობესების გზების ძიება. მეოთხე თავში ნაჩვენებია, თუ როგორ აფასებენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტებს, რას თვლიან მათ საქმიანობაში არსებულ პრობლემებად და როგორ ხედავენ მათი მოგვარების გზებს. მეხუთე თავი კვლევის მხოლოდ თვისებრივ ნაწილს ეყრდნობა და წარმოადგენს იურიდიული სფეროს პროფესიონალების შეხედულებებს სასამართლო მედიაციის შესახებ. დასკვნითი თავი მიმოიხილავს საერთო მიგნებებს და კვლევის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს.

დოკუმენტს თან ახლავს რამდენიმე დანართი: მეთოდოლოგია (დანართი 1), ინდიკატორები (დანართი 2), ადვოკატების, მოსამართლეებისა და პროკურორების რაოდენობრივი გამოკითხვის ცხრილები (დანართი 3), და თვისებრივი ნაწილის - ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დეტალური მიმოხილვა ციტატებით (დანართი 4).

1. მხარეთა ბალანსი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

ძირითადი მიგნებები:

- 2016 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, 2019 წელს გამოკითხული იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა, გარდა პროკურორებისა, ამბობს რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი ძირითადად მიღწეულია როგორც სამოქალაქო კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში. პროკურორების უმრავლესობა აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით არ აფიქსირებს, ვინაიდან, მათი სამუშაო სფერო სისხლის სამართალია.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა, გარდა პროკურორებისა, მიიჩნევს, რომ მხარეთა თანასწორობა დაცულია ადმინისტრაციულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაშიც. 2016 წლის შედეგებთან შედარებით, უფრო მეტმა პროკურორმა არჩია, არ გამოეხატა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.
- რაც შეეხება სისხლის სამართლის სფეროს, რესპონდენტების მოსაზრებები არაერთგვაროვანია. გამოკითხული მოსამართლეებისა და პროკურორების ძირითადი ნაწილი, ასევე კერძო და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების უმრავლესობა ამბობს, რომ სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო პროცესებზე მხარეთა შორის თანასწორობის პრინციპი დაცულია. ხოლო, არასამართლო სექტორის ადვოკატების უმრავლესობა არ ეთანხმება მოცემულ დებულებას და სიტუაციას უფრო კრიტიკულად აფასებენ.
- რესპონდენტების მოსაზრებები ასევე არაერთგვაროვანია, როცა საქმე ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვების თანაბარ შესაძლებლობას ეხება. პროკურორებისა და მოსამართლეების უმრავლესობა ამბობს, რომ დაცვისა და ბრალდების მხარეს მტკიცებულებების მოპოვების თანაბარი შესაძლებლობა აქვთ. ადვოკატების უმრავლესობა კი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. ფოკუს ჯგუფებში ადვოკატებმა განაცხადეს, რომ თანასწორობა მხარეთა შორის ბრალდების მხარის იხრება. მათი თქმით, ეს უმეტესად იმის ბრალია, რომ ბრალდების მხარე სახელმწიფო რესურსს იყენებს. ადვოკატებმა ასევე გაიხსენეს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები, როცა შთაბეჭდილება დარჩათ, რომ სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოსა თუ მსხვილი კომპანიის მხარეს იჭერდა.
- სიღრმისეულ ინტერვიუებში მოსამართლეები ამბობენ, რომ მხარეთა თანასწორობა კანონმდებლობითაა გათვალისწინებული და პრაქტიკაშიც სრულდება სამართლის ყველა სფეროში, განსაკუთრებით სისხლის სამართალში ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით, რამაც დაცვის მხარეს ვიდეო ჩანაწერების მოპოვების საშუალება მისცა. მიუხედავად ამისა, ზოგი მოსამართლე მიიჩნევს, რომ პროკურორებს მტკიცებულებების მოპოვების მეტი რესურსი აქვთ.
- პროკურორებმა სიღრმისეული ინტერვიუების დროს დააფიქსირეს, რომ მხარეთა თანასწორობას კანონმდებლობა უზრუნველყოფს და პრაქტიკაშიც სრულდება. ზოგჯერ, მათ ისეთი შეგრძნებაც კი აქვთ, რომ მოსამართლეები მათგან მეტს

ითხოვენ მათი რესურსების გამო. გარდა ამისა, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სასამართლო ბრალდების მხარის წარდგენილ მტკიცებულებას იღებს და პროკურორის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას უარყოფს.

- რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენად თანაბრად მიუწვდებათ ხელი ბრალდებისა და დაცვის მხარეებს ერთმანეთის მტკიცებულებებზე, პროკურორების, მოსამართლეებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების უმრავლესობა ამბობს, რომ ორივე მხარეს თანაბრად მიუწვდებათ ხელი ერთმანეთის მტკიცებულებებზე მაშინ, როცა გამოკითხული კერძო ადვოკატებისა და არასამთავრობო სექტორის ადვოკატების ნახევარზე ნაკლები ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა

რესპონდენტებს სთხოვეს, შეეფასებინათ, თუ რამდენად დაცულია მხარეთა ბალანსი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობის აზრით, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ბალანსი ძირითადად მიღწეულია. 2016 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, უფრო მეტი რესპონდენტი ფიქრობს, რომ სისხლის სამართლის პრაქტიკა მხარეთა თანასწორობას უზრუნველყოფს.


რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას. უფრო კონკრეტულად, მოსამართლეების (83%), პროკურორების (96%) და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების (70%) უმრავლესობა, ასევე კერძო ადვოკატების ნახევარზე მეტი (54%) ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. თუმცა, არასამთავრობო სექტორის ადვოკატების მხოლოდ მცირე ნაწილი (39%) ამბობს იმავეს² (იხ. გრაფიკი 1). 2016 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, არასამთავრობო სექტორის ადვოკატები ამჯერად უფრო კრიტიკულად აფასებენ საკითხს: 2016 წელს არასამთავრობო სექტორის ადვოკატების 41% ამბობდა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფდა მხარეთა თანასწორობას, ხოლო 2019 წელს არასამთავრობო სექტორის ადვოკატების ნახევარზე მეტი (51%) ამბობს იმავეს.

ასევე, რესპონდენტების უმრავლესობა (მოსამართლეების 86%, პროკურორების 93%, კერძო ადვოკატების 57% და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 70%) ფიქრობს, რომ მხარეთა შორის თანასწორობა სისხლის სამართლის საქმეებში, პრაქტიკაშიც დაცულია. არასამთავრობო სექტორის ადვოკატების მხოლოდ 27% იზიარებს იმავე აზრს.

² მონაცემები განსხვავდება პირველი ინდიკატორის მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის გამოსათვლელად გამოყენებულია სამ კონკრეტულ შეკითხვაზე გაცემული დადებითი პასუხები, რომელიც ეხება მხარეთა თანასწორობას სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართ 2-ში.

გრაფიკი 1

რამდენად უზრუნველყოფს ან ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას? (%)



კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სისხლის სამართლის სფეროს უკავშირდება, მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობაა. როგორც 2016 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, ყველა გამოკითხული რესპონდენტი, გარდა პროკურორებისა, ამბობს, რომ ბრალდების მხარეს მეტი შესაძლებლობა აქვს მტკიცებულებების მოპოვებისას, ვიდრე დაცვის მხარეს. პროკურორების უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობა აქვს მტკიცებულებების მოპოვებისას. რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენად მიუწვდებათ ხელი დაცვის და ბრალდების მხარეს ერთმანეთის მტკიცებულებებზე, რესპონდენტების უმრავლესობა (გარდა კერძო ადვოკატებისა და არასამთავრობო სექტორის ადვოკატებისა) მიიჩნევს, რომ ორივე მხარეს თანაბრად მიუწვდებათ ხელი ერთმანეთის მტკიცებულებებზე. უფრო კონკრეტულად, მოსამართლეების 78%, პროკურორების 83% და იურიდიული დამსახურების სამსახურის ადვოკატების 75% ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. კერძო ადვოკატებისა და არასამთავრობო სექტორის ადვოკატების ნახევარზე ნაკლები ამბობს იმავეს.

ფოკუს ჯგუფებში ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მხარეთა შორის ბალანსი მაინც ბრალდების მხარისკენ იხრება, რადგანაც მათ სახელმწიფო რესურსის გამოყენება შეუძლიათ. სიღრმისეულ ინტერვიუებში მოსამართლეები ადასტურებენ, რომ კანონმდებლობა სამართლის ყველა სფეროში უზრუნველყოფს თანასწორობას მხარეებს შორის და მოსამართლეებიც მხარს უჭერენ ამ პრინციპს. თუმცა, ზოგმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარეს მაინც მეტი რესურსი აქვს მტკიცებულებების მოპოვებისთვის. შესაძლოა, ეს ხსნიდეს იმას, რომ პროკურორებს ზოგჯერ შეგრძნება აქვთ, თითქოს მოსამართლეები მათ მეტს სთხოვენ და იმის მიუხედავად, რომ, მოსამართლეთა რწმენით, ორივე მხარეს თითქმის ერთნაირი შესაძლებლობა აქვს, გამოძიება აწარმოოს და მტკიცებულებები მოაგროვოს, ზოგმა მოსამართლემ შეიძლება, დაცვის მხარის მტკიცებულება მიიღოს, ბრალდების მხარისა კი უარყოს.

„სისხლის სამართალში ძირითადად ბრალდების მხარე დომინირებს, უპირატესობა იქით იხრება. სამოქალაქოში და ადმინისტრაციულში მეტ-ნაკლებად არი თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 1-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

„გამოძიებას უფრო მეტი ბერკეტები აქვს, ვიდრე დაცვას, მაგრამ ეს სახელმწიფო ორგანოა გამოძიება, ამიტომ ეს ასეც უნდა იყოს.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 35-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

კვლევის თვისებრივი ნაწილის დეტალური შეჯამება იხილეთ მეოთხე დანართში.

ინდიკატორი 1: სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი, სისხლის სამართალი (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხები მოცემულია ფრჩხილებში)

მოსამართლეებისა და პროკურორების უმრავლესობა დადებით შეფასებას აძლევს მხარეთა თანასწორობას სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. 2016 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ახლა უფრო მეტი მოსამართლე ამბობს, რომ სისხლის სამართლის საქმეებში მხარეთა შორის ბალანსი დაცულია, მაგრამ ადვოკატების უმრავლესობა მათ არ ეთანხმება - ადვოკატების მხოლოდ ნახევარზე ნაკლები აფასებს დადებითად მხარეთა თანასწორობას სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

	მოსამართ- -ლეები 2016	მოსამართ- -ლეები 2019	ადვოკა- ტები 2016	ადვოკა- ტები 2019	პროკურო- რები 2016	პროკურო- რები 2019
სისხლის სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას + კითხვები მტკიცებულებების შესახებ	75% (65)	89% (60)	46% (126)	47% (91)	86% (87)	84% (103)
მხარეთა თანასწორობა დაცულია პრაქტიკაში + კითხვები მტკიცებულებების შესახებ	75% (64)	89% (62)	46% (123)	49% (90)	85% (86)	83% (102)

* ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ დანართ 2-ში.

** ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

*** ინდიკატორის გამოთვლებში ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა

გამოკითხვისას რესპონდენტებს სთხოვეს, შეეფასებინათ, თუ რამდენადაა დაცული ბალანსი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. 2016 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მსგავსად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა (67%-ზე მეტი) ამბობს, რომ ორივე, როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მხარეთა შორის თანასწორობა უზრუნველყოფილია. რაც შეეხება კონკრეტულად სამოქალაქო სამართლის სფეროს, არასამთავრობო სექტორის ადვოკატების, ყველაზე უფრო კრიტიკული ჯგუფის, დიდი უმრავლესობაც (90%) კი ეთანხმება ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა შორის თანასწორობას. იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლების უმრავლესობაც იზიარებს იმავე აზრს: მოსამართლეების 85%, კერძო ადვოკატების 83% და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 75%. პროკურორების უმრავლესობა (60%) არ გამოთქვამს შეფასებებს აღნიშნულ საკითხზე, ვინაიდან პროკურორები სისხლის სამართლის სფეროში მუშაობენ. რესპონდენტების აზრით, თანასწორობა დაცულია არამარტო კანონმდებლობაში, არამედ პრაქტიკაშიც.


რესპონდენტებს ასევე სთხოვეს, შეეფასებინათ, თუ რამდენადაა დაცული მხარეებს შორის თანასწორობა სამოქალაქო სამართლის საქმეებში მაშინ, როცა მხარეს დიდი ბიზნესი წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, ადვოკატების შედარებით მცირე რაოდენობამ გამოხატა დადებითი დამოკიდებულება, ვიდრე ზოგადად სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასებისას. კერძო ადვოკატების 55%, არასამთავრობო სექტორის ადვოკატების 46% და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 49% ფიქრობს, რომ სამოქალაქო სამართლის საქმეებში მაშინ, როცა ერთ-ერთ მხარეს დიდი ბიზნესი წარმოადგენს მხარეთა თანასწორობა დაცულია. მოსამართლეების დიდი ნაწილი (81%) ფიქრობს იმავეს. პროკურორების უმრავლესობა (73%) არ აფასებს მოცემულ სიტუაციას, ვინაიდან მათი სამუშაო სფერო სისხლის სამართალია.

რაც შეეხება მხარეთა თანასწორობას ადმინისტრაციულ სამართალში, რესპონდენტების უმრავლესობა (მოსამართლეების 85%, კერძო ადვოკატების 72%, არასამთავრობო სექტორის ადვოკატების 73% და იურიდიული დახმარების სამსახურის 74%), გარდა პროკურორებისა ეთანხმება მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა მხარეთა შორის თანასწორობას უზრუნველყოფს (იხ. გრაფიკი 2). მოსამართლეების (86%), კერძო ადვოკატებისა (70%) და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების უმრავლესობა (72%), ასევე არასამთავრობო სექტორის ადვოკატების ნახევარზე მეტი (56%) ამბობს, რომ ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში, პრაქტიკაში მხარეთა შორის თანასწორობა დაცულია.

გრაფიკი 2

რამდენად უზრუნველყოფს ან ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას?

■ სრულად უზრუნველყოფს ■ ძირითადად უზრუნველყოფს ■ ძირითადად ვერ უზრუნველყოფს
 ■ საერთოდ ვერ უზრუნველყოფს ■ არ ვიცი ■ უარი პასუხზე



ფოკუს ჯგუფებში ადვოკატებმა დაადასტურეს, რომ მხარეთა თანასწორობა კანონმდებლობით უზრუნველყოფილია. თუმცა, პრაქტიკაში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში მეტადაა დაცული, ვიდრე სისხლის სამართალში. ადვოკატებმა ასევე დააფიქსირეს, რომ როცა საქმეში დიდი კომერციული დევს, სასამართლომ შეიძლება, მეტი მხარდაჭერა გამოუცხადოს ადმინისტრაციულ ორგანოს ან მსხვილ ბიზნეს კომპანიას. სიღრმისეულ ინტერვიუებში მოსამართლეებმა თქვეს, რომ სასამართლოს არასდროს მიუნიჭებია უპირატესობა რომელიმე მხარისთვის, მათი ფინანსური თუ ადმინისტრაციული სტატუსის მიუხედავად.³

³ რადგანაც შეკითხვა მხოლოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალს ეხებოდა, სიღრმისეულ ინტერვიუებში იგი პროკურორებისთვის არ დაუსვამთ.

ინდიკატორი 1: სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

2016 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, სასამართლო პროცესის ყველა მონაწილე თანხმდება, რომ მხარეთა ბალანსი სამოქალაქო სამართალში უზრუნველყოფილია კანონმდებლობით და დაცულია პრაქტიკაში. მოსამართლეებისა და პროკურორების უმრავლესობას ერთი და იგივე მოსაზრება აქვს ადმინისტრაციულ სამართალთან დაკავშირებით. მათგან განსხვავებით, ადვოკატებმა ნაკლებად დადებითად შეაფასეს მხარეთა თანასწორობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

	მოსამართ- -ლები 2016	მოსამართ- -ლები 2019	ადვოკა- -ტები 2016	ადვოკა- -ტები 2019	პროკურო- -რები 2016	პროკუ- -როები 2019
სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას	100% (101)	100% (69)	93% (260)	90% (170)	100%* (53)	98%* (48)
მხარეთა თანასწორობა დაცულია სამოქალაქო საქმეების სასამართლო პროცესებზე	100% (101)	100% (71)	92% (249)	90% (166)	100%* (48)	97%* (38)
ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას	97% (91)	100% (69)	78% (216)	79% (151)	96%* (49)	98%* (45)
მხარეთა თანასწორობა დაცულია ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პროცესებზე	99% (91)	100% (70)	78% (210)	73% (140)	94%* (47)	97%* (38)

* ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილით დანართ 2-ში.

** რესპონდენტთა წილი, რომლებმაც უპასუხეს „არ ვიცი“ ან თავი შეიკავეს პასუხის გაცემისგან, 20%-ს აღემატება. ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

**** ინდიკატორის გამოთვლებში ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

თანასწორობა მხარეთა შორის იმ შემთხვევაში, როცა მხარეს ადვოკატი არ წარმოადგენს

რაც შეეხება საქმეებს, სადაც მხარეს ადვოკატი არ ჰყავს, ფოკუსს ჯგუფის მონაწილე ადვოკატებმა აღიარეს, რომ ასეთ შემთხვევაში ბალანსი ბუნებრივად დარღვეულია. მოსამართლე შებოჭილია შეჯიბრებითობის პრინციპით და არ შეუძლია, დაცვის მხარე დაიჭიროს. თბილისში ერთმა ადვოკატმა ხაზი გაუსვა იმ პრობლემას, როცა დაკავებულ პირს ადვოკატის გარეშე ძალიან მცირე შანსი აქვს, მტკიცებულებები მოიპოვოს იმის მიუხედავად, რომ ახლა ბრალდებულს უფლება აქვს, მტკიცებულება წარადგინოს გამოკვლევისთვის.

„როდესაც ხდება პიროვნების დაკავება, დაკავებიდან ეუბნებიან, რომ შენი მტკიცებულებები გამოიკვლევა თანაბარ მტკიცებულებად... ამ დაკავებულმა საიდან მოიპოვოს ეს მტკიცებულებები, თუ არ ეყოლება ადვოკატი?“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

კვლევის თვისებრივი ნაწილის დეტალური შეჯამება იხილეთ მეოთხე დანართში.

დაკავებული პირის შეზღუდულობა მტკიცებულების მოპოვების ნაწილში ერთმა მოსამართლემაც ახსენა. მან პრობლემად დაასახელა ის, რომ სახელმწიფო სახაზინო ადვოკატის დანიშვნას არ უზრუნველყოფს ასეთი პირებისთვის, თუკი ისინი სახელმწიფო დაცვის კრიტერიუმებს სხვა მხრივ არ აკმაყოფილებენ. სხვა მხრივ, მოსამართლეებმა თქვეს, რომ უფრო მეტ დროს ხარჯავენ სასამართლო სხდომებზე მაშინ, როცა რომელიმე მხარეს ადვოკატი არ ჰყავს და თავად წარადგენს საკუთარ ინტერესებს. მოსამართლეები

კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებენ იმისთვის, რომ მხარეთა შორის თანასწორობა და ბალანსი არ დაირღვეს. პროკურორებმაც დაადასტურეს, რომ მოსამართლეები დამატებით ძალისხმევას იჩენენ ისეთ შემთხვევაში, როცა მხარეს ადვოკატი არ ჰყავს.

2. მოქალაქეთა შესაძლებლობა, ისარგებლონ მართლმსაჯულების სისტემით

ძირითადი მიგნებები:

- საერთო ჯამში, რესპონდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ინსტიტუტები (სასამართლო, პროკურატურა, იურიდიული დახმარების სამსახური, პოლიცია) სხვადასხვა უმცირესობისა და უმრავლესობის წარმომადგენელ ჯგუფებს ძირითადად ან სრულიად სამართლიანად ეპყრობა.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმეტესობა ამბობს, რომ სასამართლო ყველა ჯგუფს სამართლიანად (სრულიად სამართლიანად ან ძირითადად სამართლიანად) ეპყრობა. ყველა გამოკითხული მოსამართლე მიიჩნევს, რომ სასამართლო ყველას სამართლიანად ეპყრობა. 2016 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, არასამთავრობო სექტორის ადვოკატები უფრო კრიტიკულ შეფასებებს გამოთქვამენ: არასამთავრობო ადვოკატების დაახლოებით

მესამედი ამბობს, რომ სასამართლო ლგბტ თემის წარმომადგენლებს ძირითადად ან სრულიად უსამართლოდ ეპყრობა.

- ზოგადად, არასამთავრობო სექტორის ადვოკატები უფრო კრიტიკულად აფასებენ მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიერ სხვადასხვა ჯგუფის მიმართ მოპყრობას, ვიდრე სხვა ადვოკატები.
- თითქმის ყველა პროკურორი ამბობს, რომ პროკურატურა საქართველოში არსებულ ყველა ჯგუფს თანაბრად ეპყრობა. მოსამართლეების, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისა და კერძო ადვოკატების უმრავლესობა იმავე აზრს იზიარებს. არასამთავრობო სექტორის ადვოკატები კი ამ შემთხვევაშიც კრიტიკულები არიან, განსაკუთებით რამდენიმე კონკრეტული ჯგუფისადმი მოპყრობის შეფასებისას. არასამთავრობო სექტორის ადვოკატების მხოლოდ ნახევარზე ნაკლები თვლის, რომ პროკურატურა ეთნიკურ უმცირესობებს, ლგბტ თემის წარმომადგენლებს, რელიგიურ უმცირესობებსა და ქალებს თანასწორად ეპყრობა. მიუხედავად ამისა, 2016 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ამჟამად არასამთავრობო სექტორის ადვოკატები ნაკლებად კრიტიკულები არიან პროკურატურისადმი შეფასებებისას.
- რესპონდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ყველა ჯგუფს თანასწორად ეპყრობა.
- პროკურორების, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების და კერძო ადვოკატები უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პოლიცია კანონით გათვალისწინებულ ზომებს ეფექტურად ახორციელებს. თუმცა, არასამთავრობო სექტორის ადვოკატების მხოლოდ ნახევარზე ნაკლები ფიქრობს, რომ პოლიცია ეფექტურად მოქმედებს, როცა მათ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები მიმართავს. ასევე, არასამთავრობო სექტორის ადვოკატების მხოლოდ მეხუთედი იზიარებს აზრს, რომ პოლიცია ეფექტურად მოქმედებს მაშინ, როცა ლგბტ თემის წარმომადგენლები მიმართავს მას. თუმცა, 2016 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ახლა არასამთავრობო სექტორის უფრო მეტი ადვოკატი აფასებს პოლიციას დადებითად.
- საერთო ჯამში, რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტები უდანაშაულობის პრეზუმფციას იცავს. თუმცა, რესპონდენტები უფრო ხშირად ამბობენ, რომ სასამართლო და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები იცავენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, ვიდრე პროკურატურა და პოლიცია.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მოქალაქეებისთვის სასამართლო სისტემაზე ხელმისაწვდომობა გამოწვევაა. მხოლოდ მოსამართლეების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემა ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის. ადვოკატების მეხუთედი და პროკურორების ნახევარზე ნაკლები იზიარებს იმავე მოსაზრებას.
- ფოკუს ჯგუფებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებში ადვოკატები, მოსამართლეები და პროკურორები უმეტესად თანხმდებიან, რომ სასამართლოები, პროკურატურა და სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები არ

ამჟღავნებენ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას უმცირესობათა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.


მოპყრობა

გამოკითხვის ფარგლებში იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს სთხოვეს შეეფასებინათ, თუ რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა სასამართლო, პროკურატურა და სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახური შემდეგ ჯგუფებს: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ეთნიკური ქართველი, ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი) თემის წარმომადგენელი, ჰეტეროსექსუალი, არამართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიმე სხვა რელიგიის წარმომადგენელი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ქალი, მამაკაცი. საერთო ჯამში, რესპონდენტების უმრავლესობა (86%⁴) ფიქრობს, რომ ყველა ზემოთ ნახსენები ინსტიტუტი აღნიშნულ ჯგუფებს თანაბრად/სამართლიანად ეპყრობა. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმეტესობა მიიჩნევს, რომ სასამართლო ყველა ჯგუფს ძირითადად ან სრულიად სამართლიანად ეპყრობა (იხ. გრაფიკი 3). თუმცა, არასამთავრობო სექტორის ადვოკატების დაახლოებით მესამედი (34%) ამბობს, რომ სასამართლო ლგბტ თემის წარმომადგენლებს ძირითადად ან სრულიად სამართლიანად ეპყრობა. ეს მაჩვენებელი მსგავსია 2016 წლის გამოკითხვის შედეგებისა, როცა არასამთავრობო სექტორის ადვოკატების 33% ამბობდა იმავეს. გარდა ამისა, 2016 წელთან შედარებით, ახლა არასამთავრობო სექტორის უფრო ცოტა ადვოკატი ამბობს „არ ვიცი“-ს მოცემულ საკითხებზე. საერთოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები უფრო კრიტიკულად აფასებენ აღნიშნული ჯგუფებისადმი მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების მოპყრობას, ვიდრე სხვა ადვოკატები. რაც შეეხება მოსამართლეებს, ყველა მათგანი ამბობს, რომ აღნიშნული ინსტიტუტები ყველა ჯგუფს სამართლიანად ეპყრობა.

⁴ პროცენტი გამოთვლილია ინდიკატორის მაჩვენებლიდან. იხილეთ დანართი 2.

გრაფიკი 3


როცა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სასამართლოს მიმართავენ, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა მათ სასამართლო? (სამართლიანად მოპყრობის %)



თითქმის ყველა პროკურორი მიიჩნევს, რომ საქართველოს პროკურატურა ყველა უმცირესობისა თუ უმრავლესობის ჯგუფს თანასწორად ექცევა. რაც შეეხება სხვა იურიდიული სფეროს წარმომადგენლებს, მოსამართლეების, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისა და კერძო ადვოკატების უმრავლესობა ასევე დადებითად აფასებს პროკურატურის მოპყრობას სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პროკურატურის შეფასებისას მოსამართლეები უფრო ხშირად ამბობენ „არ ვიცი“-ს (20-25%), ვიდრე სხვა ინსტიტუტების მიერ მარგინალიზებული და არამარგინალიზებული ჯგუფების მიმართ მოპყრობის შეფასებისას. გამონაკლისს არსამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატების შეფასებები წარმოადგენს: ნახევარზე ნაკლები (32-49%) ფიქრობს, რომ პროკურატურა თანასწორად ეპყრობა ლგბტ თემის, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებსა და ქალებს (იხ. გრაფიკი 4). 2016 წლის გამოკითხვის შედეგებისგან განსხვავებით, ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები პროკურატურას უფრო ნაკლებ კრიტიკულად აფასებენ. 2016 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების მხოლოდ 18% ამბობდა, რომ პროკურატურა ლგბტ თემის წარმომადგენლებს უთანასწოროდ (ძირითადად ან სრულიად უთანასწოროდ) ექცეოდა, 27% ამბობდა იმავეს რელიგიური უმცირესობების, ხოლო 37% ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში. 2016 წელს არასამთავრობო სექტორის ადვოკატები პროკურატურის მიერ მოპყრობას უმრავლესობის ჯგუფებისადმიც უთანასწოროდ აფასებდნენ.

გრაფიკი 4


რამდენად თანასწორად ან რამდენად უთანასწოროდ ეპყრობა პროკურატურა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლებს, როდესაც მათ საქმეებზე მუშაობს? (თანასწორად მოპყრობის %)



რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სახელმწიფო სახაზინო ადვოკატი ყველა ჯგუფს თანასწორად ექცევა. მართალია, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები უფრო კრიტიკულად აფასებენ სახაზინო ადვოკატებსაც, თუმცა მათი უმრავლესობა მაინც ფიქრობს, რომ სახაზინო ადვოკატები საქართველოში მცხოვრებელ უმცირესობებსა და უმრავლესობებს თანასწორად ეპყრობა (იხ. გრაფიკი 5).

გრაფიკი 5

როდესაც სახელმწიფო სახაზინო ადვოკატს უნიშნავს საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენელს, თქვენი გამოცდილებით, რამდენად თანასწორად ან უთანასწოროდ ეპყრობა მას სახაზინო ადვოკატი? (თანასწორად მოპრობის %)



ფოკუს ჯგუფებში ადვოკატებმა თქვეს, რომ პროკურატურა და სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები არ განასხვავებენ ერთმანეთისგან უმცირესობათა და მოწყვლად ჯგუფებს და ყველას თანასწორად ექცევიან. მოწყვლადი ჯგუფებიდან ადვოკატებმა გამოარჩიეს ოჯახში ძალადობის შემთხვევები, როგორც ყველაზე პრობლემატური და ისაუბრეს იმაზე, რომ, ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ ასეთ საქმეებზე განსაკუთრებული ყურადღებისა და მკაცრი პოლიტიკის გამო ციხეები სავსეა ოჯახში ძალადობაში დამნაშავეებით. მეორეს მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელმა ადვოკატებმა გამოხატეს მხარდაჭერა სახელმწიფოს მკაცრი პოლიტიკის მიმართ და თქვეს, რომ ამის მიზეზი ქვეყანაში ფემიციდის სტატისტიკა იყო. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ასეთ საქმეებში პრობლემური იყო ჩვენებები, რადგანაც მოწმეები ხშირად ცვლიდნენ ან აუქმებდნენ ჩვენებებს ოჯახის წევრების წინააღმდეგ. მათ ასევე აღნიშნეს, რომ მკაცრი პოლიტიკა ბრმად ტარდება და ასეთ საქმეებშიც ისევე უნდა იყოს დაცული გამოძიებისა და დაკავების წესები, როგორც სხვა დანაშაულების შემთხვევაში.

თვისებრივი ინტერვიუების მიხედვით, მოსამართლეთა გადასახედიდან სასამართლოები ყველას სამართლიანად და თანასწორად ეპყრობა მათი ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური ორიენტაციის თუ სხვა მახასიათებლების მიუხედავად. პირიქით,

მოსამართლეთა თქმით, როცა რომელიმე მხარე უმცირესობის ან მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელია, სასამართლოები მეტი სიფრთხილითა და ყურადღებით ეპყრობიან მას. პროკურორებიც ადასტურებენ, რომ სასამართლო არ ამჟღავნებს დისკრიმინაციულ მოპყრობას უმცირესობათა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. მათ ხაზი გაუსვეს გარკვეულ გაუმჯობესებას ამ მხრივ და აღნიშნეს, რომ მოსამართლეები მეტ სიფრთხილეს იჩენენ. მაგალითად, თუკი საქმეში არასრულწლოვანია ჩართული, იგი სპეციალურ დარბაზში გაყავთ და იქ ესაუბრებიან, გარე გავლენებისა და ზეწოლისგან დასაცავად. იგივე ეხება პროკურატურასა და სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურს. ადვოკატები, მოსამართლეები და პროკურორები არ ადასტურებენ რაიმე ტიპის დისკრიმინაციულ მიდგომას უმცირესობების ან მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. უსამართლო მოპყრობის ერთადერთი შემთხვევა აღწერა კერძო ადვოკატმა თბილისში. მან განაცხადა, რომ წინა არჩევნების დროს პოლიციამ ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებს იარაღი ჩაუდო, რადგანაც ისინი არ მალავდნენ, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის აპირებდნენ ხმის მიცემას. როცა ადვოკატმა პროკურორს მოუყვა საქმის დეტალები და წარუდგინა მტკიცებულებები (ჩადებული იარაღები იშვიათი სახეობის იყო, თანაც, იარაღთან არსებული ტყვიები სხვა ტიპის იარაღს ეკუთვნოდა), პროკურორმა ურჩია, არ წასულიყვნენ პოლიციის წინააღმდეგ. საბოლოო ჯამში, საქმე საპროცესო შეთანხმების გაფორმებით დასრულდა.

„ბოლო პერიოდში გამოიკვეთა რა, რამდენიმე საქმე ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების მიმართ, პირდაპირ იყო იარაღის ჩადებები დაკავშირებული არჩევნებთან... ის პირები, რომლებიც ეხმარებოდნენ, სადღაც წამოცდა, რომ ხუთიანს აძლევს ხმას, მერე წავიდა იარაღის ჩადებები. თან, უნდა ნახოთ, როგორი იარაღები, უიშვიათესი იარაღები. ერთ ჯიბეში ედოთ ეს უიშვიათესი იარაღები და მეორე ჯიბეში , რა თქმა უნდა, ავტომატის ტყვიები. მე წავედი, პროკურორთან მივედი და დავულაგე ეს ყველაფერი. პროკურორი მეუბნება, მომიყვანე ერთი მაგ ადამიანი, რომ დავრწმუნდე, ოღონდ პოლიციამ არ გაიგოსო. მოუყვანე ის ადამიანი, დავუსვი, ელაპარაკა. ბიჭო, რა ვქნაო ახლაო, პროცესზე ხომ ამას დედას უტირებენო, რომ გამოვიდეს და ის ჩვენება არ მისცესო, რაც პოლიციას უნდაო, ამას ხომ შეჭამენო, გამიგეთ? რაც გინდა, ის ქენიო, კი, ბატონოო, მაგრამ რა ვქნაო. წავიდა მერე დაშინება, იქით-აქეთ და სამივემ გააფორმა საპროცესო შეთანხმება.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

კვლევის თვისებრივი ნაწილის დეტალური შეჯამება იხილეთ მეოთხე დანართში.


ეფექტურობა

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს სთხოვეს, შეეფასებინათ მართლმსაჯულების ინსტიტუტების (პოლიცია და სასამართლოები) მუშაობის ეფექტურობა. პროკურორები, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები, მოსამართლეები და კერძო ადვოკატები დადებითად აფასებენ პოლიციის ეფექტურობას მაშინ, როცა მათ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფი მიმართავს. ამ შემთხვევაშიც გამონაკლისია არასამთავრობო სექტორის ადვოკატების შეფასებები: ნახევარზე ნაკლები ამბობს, რომ

პოლიცია (ძირითადად ან სრულიად) ეფექტურია, როცა მათ მიმართავს ეთნიკური (44%) და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი (46%). არასამთავრობო სექტორის ადვოკატები კიდევ უფრო კრიტიკულად აფასებენ პოლიციის ეფექტიანობას, როცა საქმე სექსუალურ უმცირესობებს ეხება. მათი მხოლოდ 22% ამბობს, რომ პოლიცია ეფექტურად ახორციელებს კანონით განსაზღვრულ ზომებს, როცა ლგბტ თემის წარმომადგენლები მიმართავენ პოლიციას (იხ. გრაფიკი 6). 2016 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ახლა უფრო მეტი არასამთავრობო სექტორის ადვოკატი ამბობს, რომ პოლიცია ეფექტურ ზომებს იღებს. 2016 წელს არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების 10%-მა თქვა, რომ პოლიცია ეფექტურ ზომებს იღებდა მაშინ, როცა მათ ლგბტ თემის წარმომადგენელი მიმართავდა. 22%-მა კი იგივე განაცხადა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შემთხვევაში, 18%-მა რელიგიური უმცირესობების, ხოლო 20%-მა ქალების მიერ პოლიციისთვის მიმართვის შემთხვევაში.⁵

გრაფიკი 6

როდესაც პოლიციას მიმართავს საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენელი, თქვენი გამოცდილებით, რამდენად ეფექტურად ან არაეფექტურად განახორციელებს პოლიცია კანონით გათვალისწინებულ ზომებს? (ეფექტურობის %)




⁵ მონაცემები განსხვავდება მეორე ინდიკატორის მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართ 2-ში.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა

გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებს სთხოვეს შეეფასებინათ, თუ რამდენად იცავს ან არ იცავს სასამართლო, პროკურატურა, სახაზინო ადვოკატი და პოლიცია სხვადასხვა ჯგუფის უდანაშაულობის პრეზუმფციას. საერთო ჯამში, რესპონდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია დაცულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამართლებრივი ინსტიტუტების მიერ. თუმცა, რესპონდენტები უფრო ხშირად ამბობენ, რომ სასამართლო და იურიდიული დახმარების სამსახური იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციას, ვიდრე პროკურატურა და პოლიცია (იხ. გრაფიკი 7).

გრაფიკი 7

თქვენი გამოცდილებით, რამდენად იცავს ან არ იცავს სასამართლო/პროკურატურა/სახაზინო ადვოკატი/პოლიცია შემდეგი ჯგუფების უდანაშაულობის პრეზუმფციას? (იცავს %)



მართლმსაჯულების ფინანსური ხელმისაწვდომობა

რაოდენობრივი გამოკითხვა აჩვენებს, რომ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობის აზრით, მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობა პრობლემაა. მხოლოდ მოსამართლეების უმრავლესობა (78%) ამბობს, რომ მართლმსაჯულების სისტემა ფინანსურად ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის. ადვოკატების მეხუთედი (20%) და პროკურორების ნახევარზე ნაკლები (47%) იზიარებს იმავე მოსაზრებას.⁶ უფრო კონკრეტულად, კერძო ადვოკატის მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მოსამართლეების უმრავლესობა (72%) ფიქრობს, რომ მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია. კერძო ადვოკატების მხოლოდ 39%, არასამთავრობო სექტორის


⁶ პროცენტი გამოთვლილია ინდიკატორის მაჩვენებლიდან. იხილეთ დანართი 2.

ადვოკატების მხოლოდ 15% და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 28% იზიარებს იმავე მოსაზრებას. რაც შეეხება პროკურორებს, ნახევარზე ნაკლები ფიქრობს, რომ კერძო ადვოკატის მომსახურება ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის.⁷

რესპონდენტებმა შეაფასეს მოქალაქეებისთვის სასამართლო ბაჟის ფინანსური ხელმისაწვდომობაც. 2016 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების ნახევარზე ნაკლები (გარდა მოსამართლეებისა) ამბობს, რომ სასამართლო ბაჟი ძირითადად ან სრულიად ხელმისაწვდომია. კერძო ადვოკატების 35%, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების 34% და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 44% ეთანხმება ამ მოსაზრებას. თუმცა, მოსამართლეების თითქმის სამი-მეოთხედი (79%) ამბობს, რომ მოქალაქეებისთვის სასამართლო ბაჟი ფინანსურად ძირითადად ან სრულიად ხელმისაწვდომია (იხ. გრაფიკი 8).⁸

გრაფიკი 8

ფინანსურად რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი საქართველოს რიგითი მოქალაქეებისთვის კერძო ადვოკატის მომსახურება/სასამართლო ბაჟის გადახდა?



⁷ მონაცემები განსხვავდება მეორე ინდიკატორის მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართ 2-ში.

⁸ მონაცემები განსხვავდება მეორე ინდიკატორის მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართ 2-ში.

ინდიკატორი 2: მართლმსაჯულების სისტემასთან მოქალაქეთა წვდომის შეფასება (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

მოსამართლეებისა და პროკურორების დიდი უმრავლესობა დადებითად აფასებს მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული სერვისების ფინანსურ ხელმისაწვდომობას. ასევე, მოსამართლეებისა და პროკურორების უმრავლესობა მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიერ მარგინალიზებული ჯგუფების მოპყრობას აფასებს, როგორც თანასწორს. მათივე აზრით, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაცულია სასამართლოების მხრიდან. ამ საკითხებთან შედარებით, მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობა ყველაზე უფრო კრიტიკულად შეფასდა რესპონდენტების მიერ. მიუხედავად ამისა, 2016 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ახლა უფრო მეტი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მოქალაქეებისთვის მართლმსაჯულების სისტემა ხელმისაწვდომია. გამონაკლისია ადვოკატების ჯგუფი, მათი მხოლოდ მეხუთედი (20%) იზიარებს ამ მოსაზრებას.

	მოსამართლეები 2016	მოსამართლეები 2019	ადვოკატები 2016	ადვოკატები 2019	პროკურორები 2016	პროკურორები 2019
მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების საშუალო მაჩვენებელი	82% (107)	93% (75)	56% (304)	61% (123)	79% (99)	82% (96)
თანასწორი მოპყრობა	97% (108)	100% (81)	63% (309)	73% (151)	96% (102)	99% (121)
უდანაშაულობის პრეზუმფცია	98% (105)	100% (81)	80% (295)	90% (177)	97% (102)	100% (119)
ხელმისაწვდომობა	52% (108)	78% (63)	26% (309)	20% (42)	45% (93)	47% (47)

*ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ დანართ 2-ში.

** ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

*** ინდიკატორის გამოთვლებში ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

3. იურიდიული განათლების ხარისხის შეფასება

ძირითადი მიგნებები:

- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა არსებულ თეორიულ იურიდიულ განათლებას დადებითად აფასებს და ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები კურსდამთავრებულებს საკმარის თეორიული ცოდნას აძლევს იმისთვის, რომ დაიწყონ იურიდიული პრაქტიკა. თუმცა, არასამთავრობო სექტორის ადვოკატების მხოლოდ ნახევარი იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას.
- რესპონდენტების უმრავლესობა, გარდა არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებისა, ასევე დადებითად აფასებს არსებულ პრაქტიკულ იურიდიულ განათლებას. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების მხოლოდ ერთი მესამედი იზიარებს ამ მოსაზრებას. 2016 წლის გამოკითხვის შედეგებისგან განსხვავებით, მოსამართლეების წილი, ვინც დადებითად აფასებდა არსებულ პრაქტიკულ იურიდიულ განათლებას გაიზარდა.
- 2016 წლის შედეგების მსგავსად, რესპონდენტების მესამედზე მეტი მიიჩნევს, რომ საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები თავის კურსდამთავრებულებს სპეციალიზებული საკვალიფიკაციო გამოცდების (მაგალითად, ადვოკატის, მოსამართლის, პროკურორის და სხვა) ჩასაბარებლად საშუალოდ ამზადებს. 2019 წელს, რესპონდენტების ასევე დაახლოებით მესამედი დადებითად აფასებს საქართველოს უნივერსიტეტებს სპეციალიზებული საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადების კომპონენტში. გამონაკლისი კვლავ არასამთავრობო ადვოკატების ჯგუფია, მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს უნივერსიტეტები თავის კურსდამთავრებულებს საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის ცუდად ამზადებს.
- სიღრმისეულ ინტერვიუებში მოსამართლეებმა და პროკურორებმა ხაზი გაუსვეს, რომ საქართველოს უნივერსიტეტებში იურიდიულ განათლების დონე გაუმჯობესდა. მათ კვლავაც აღნიშნეს, რომ საჭიროა პრაქტიკულ უნარებზე ყურადღების გამახვილება და სტუდენტებისთვის სტაჟირების მეტი შესაძლებლობის შექმნა. ადვოკატები უფრო სკეპტიკურები იყვნენ და ისაუბრეს ლექტორების დაბალ კვალიფიკაციაზე და უნივერსიტეტებს შორის არსებულ დიდ სხვაობაზე ხარისხის თვალსაზრისით.
- პრაქტიკოს იურისტთა განათლების დონე და კომპეტენცია რესპონდენტთა უმეტესობამ საშუალოდ შეაფასა. მოსამართლეებმა თქვეს, რომ პროკურორები განათლებისა და კვალიფიკაციის უფრო მაღალ დონეს ამჟღავნებდნენ, ვიდრე ადვოკატები და გამომძიებლები. პროკურორებმა ერთ-ერთ ძირითად პრობლემურ საკითხად გამოძიება დაასახელეს. ადვოკატთა ნაწილმა კი უკმაყოფილება გამოთქვა მოსამართლეების მიმართ, ვინც ისე იყო გადატვირთული საქმეებით, რომ პროფესიული განვითარებისთვის დრო არ რჩებოდა.
- ადვოკატები უკმაყოფილოები არიან ბევრი სხვა ადვოკატის კვალიფიკაციით. მათი აზრით, კვალიფიკაციის რეგულარულმა გამოცდამ (მაგალითად, ხუთ წელიწადში

ერთხელ ან უფრო ხშირად) და ადვოკატთა სარეიტინგო სიის შედგენამ შესაძლოა, აამაღლოს მათი კვალიფიკაცია.

- პროკურორები და მოსამართლეები კმაყოფილები არიან განგრძობითი იურიდიული განათლების არსებული შესაძლებლობებით, რასაც მათ პროკურატურა და იუსტიციის უმაღლესი სკოლა აწვდის. ადვოკატების თქმით, ადვოკატთა ასოციაციის მიერ მიწოდებული განგრძობითი იურიდიული განათლების ხარისხი გაუმჯობესებულია. თუმცა, ადვოკატთა ნაწილი ტრენინგების თემებს კვლავაც არარელევანტურად მიიჩნევს და იმედგაცრუებულია იმით, რომ მაღალი დონის სპეციალისტების ტრენინგზე დასწრება ყველას არ შეუძლია (ტრენინგებს უმეტესად 20-25 მონაწილე ესწრება).
- ერთმა ადვოკატმა ხაზი გაუსვა იმის საჭიროებას, რომ ადვოკატებს, მოსამართლეებსა და პროკურორებს ერთი და იგივე ტრენინგები უტარებდნენ ტრენინგს იმისთვის, რომ მათ სამართლებრივი საკითხები ერთნაირად ესმოდეთ და ერთიანი პრაქტიკა ჩამოყალიბდეს.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა (დაახლოებით 51%-დან 81%-მდე, გარდა არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების 46%-ისა) ძირითადად ან სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები თავის კურსდამთავრებულებს საკმარის თეორიულ ცოდნას აძლევს. თუმცა, რესპონდენტები ძირითადად არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ კურსდამთავრებულები საკმარისი პრაქტიკული უნარებით არიან წარმოდგენილნი. არასამთავრობო ორგანიზაციების მხოლოდ 17%, კერძო ადვოკატების 32%, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 44% და პროკურორების 48% ძირითადად ან სრულიად არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ კურსდამთავრებულებს აქვთ საკმარისი პრაქტიკული უნარები იურიდიული პრაქტიკის დასაწყებად (იხ. გრაფიკი 9).⁹ რაც შეეხება მოსამართლეებს, უმრავლესობას (63%) მიაჩნია, რომ საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები კურსდამთავრებულებს საჭირო პრაქტიკულ უნარებს აძლევს იურიდიული პრაქტიკის დასაწყებად. 2016 წლის გამოკითხვის შედეგებისგან განსხვავებით, იმ მოსამართლეების წილი, რომლებიც ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ იურიდიული პრაქტიკისთვის საკმარის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას გაიზარდა. იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლების მოსაზრებები კი თითქმის არ შეცვლილა.


კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ასევე სთხოვეს შეეფასებინათ, თუ როგორ ამზადებს საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები თავის კურსდამთავრებულებს სპეციალიზებული საკვალიფიკაციო გამოცდების (მაგალითად, ადვოკატის, მოსამართლის, პროკურორის და სხვა) ჩასაბარებლად. 2016 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, რესპონდენტების მესამედზე მეტი (42% 2016 წელს და 39% 2019 წელს) ფიქრობს, რომ უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები კურსდამთავრებულებს სპეციალიზებული გამოცდების ჩასაბარებლად საშუალოდ ამზადებს. რესპონდენტების

⁹ მონაცემები განსხვავდება მესამე ინდიკატორის მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართ 2-ში.

თითქმის მესამედი (32%) ამბობს, რომ უნივერსიტეტები კურსდამთავრებულებს საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის კარგად ან ძალიან კარგად ამზადებს. კრიტიკულად აფასებენ საკითხს არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები, ნახევარზე მეტი (56%) ფიქრობს, რომ უნივერსიტეტები კურსდამთავრებულებს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩასაბარებლად ცუდად ამზადებს.

გრაფიკი 9

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს?
საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები... (%)



სიღრმისეულ ინტერვიუებში მოსამართლეებმა და პროკურორებმა აღნიშნეს, რომ საუნივერსიტეტო განათლება გაუმჯობესებულია. მათი თქმით, სტუდენტებს ახლა სწავლის მეტი შესაძლებლობა აქვთ და ისინიც უფრო ხშირად იყენებენ ამ შესაძლებლობებს. თუმცა, პრაქტიკული სწავლების სიმცირე უმაღლესი იურიდიული განათლებისთვის ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. მოსამართლეებიცა და პროკურორებიც ხაზს უსვამენ იმის საჭიროებას, რომ მეტი პრაქტიკოსი პროფესიონალი ასწავლიდეს უნივერსიტეტში და უნივერსიტეტები უფრო მეტად თანამშრომლობდნენ იურიდიულ ინსტიტუციებთან იმისთვის, რომ სტუდენტებს სტაჟირების მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ.

„ხარვეზიანი სასამართლო რომ გვაქვს, ეს ძალიან უმლის ხელს ადვოკატის პროფესიულ განვითარებას, იგივე მოსამართლეს, იგივე პროკურორს. იქნებ, მოვესწროთ იმ დროს, რომ სასამართლომ თავისი ფუნქცია შეასრულოს. როდესაც მაღალ დონეზე იქნება სასამართლო, შესაბამისად უკვე მოთხოვნა სხვა იქნება ბაზარზე ადვოკატის მიმართ, პროკურორის მიმართ, გამომძიებლის მიმართ, თვითონ მოსამართლის მიმართ.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

კვლევის თვისებრივი ნაწილის დეტალური შეჯამება იხილეთ მეოთხე დანართში.

ადვოკატები უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი საქართველოს უნივერსიტეტების მიერ მოწოდებული იურიდიული განათლების მიმართ. მათი თქმით, უნივერსიტეტებს შორის განათლების ხარისხში დიდი განსხვავებაა. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში არ ასწავლიან მაღალკვალიფიციური ლექტორები (მაგალითად, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ აქვს დოქტორანტურა სამართლის სფეროში, რადგან დოქტორი ლექტორები თითქმის არ ჰყავთ) და მხოლოდ გამორჩეული სტუდენტები, ვინც თვითგანვითარებაზე ბევრს მუშაობენ, ახერხებენ საკმარისი თეორიული

ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მიღებას. ადვოკატები ასევე აღნიშნავენ, რომ საუნივერსიტეტო განათლება ყურადღებას პრაქტიკულ უნარებსა და სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენებაზე უნდა ამახვილებდეს. დამატებით, ახალციხეში ადვოკატებმა წუხილი გამოთქვეს, რომ პერსპექტიული სტუდენტები რეგიონში არ რჩებიან და დედაქალაქში აგრძელებენ მოღვაწეობას.

რაც შეეხება პრაქტიკოსი იურისტების განათლების დონესა და კომპეტენციას, მოსამართლეების თქმით, ადვოკატები და გამომძიებლები პროკურორებთან შედარებით ნაკლებ კვალიფიკაციასა და განათლების უფრო დაბალ დონეს ამჟღავნებენ. პროკურორებმაც გაუსვეს ხაზი გამომძიებლის პრობლემას და თქვეს, რომ კარგი იქნებოდა, თუკი გამომძიებლებისთვის იურიდიული განათლების ქონა სავალდებულო იქნებოდა. ფოკუს ჯგუფებში ადვოკატების ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა მოსამართლეების კვალიფიკაციის გამო. თუმცა, მათ თავადვე განმარტეს მოსამართლეთა კვალიფიკაციის ნაკლებობის მიზეზები და თქვეს, რომ საქმეებით გადატვირთულობის გამო მათ არ რჩებოდათ დრო პროფესიული განვითარებისთვის ან სამართლებრივ საკითხებში სიახლეების გასაცნობად. ადვოკატებმა სხვა ადვოკატების კვალიფიკაციის დონეც გააკრიტიკეს და თქვეს, რომ საჭიროა ზომების გატარება იმისთვის, რომ ადვოკატთა კორპუსში კომპეტენციის საერთო დონე ამაღლდეს. მათი შემოთავაზებები მოიცავდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის თავიდან ჩაბარებას ხუთ წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად. ასევე, ადვოკატთა სარეიტინგო სიის შედგენას.

განგრძობით იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით პროკურორებმა თქვეს, რომ მათ ტრენინგის ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ პროკურატურის შიგნით და კმაყოფილები იყვნენ ტრენინგების ხარისხით. მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა მათ რეგულარულ ტრენინგებს სთავაზობს და გამოკითხვებსაც ატარებს იმისთვის, რომ ყველაზე რელევანტური თემები შეარჩიოს ტრენინგისთვის. ამის მიუხედავად, მოსამართლეების თქმით, მათ ყოველთვის არ რჩებათ დრო ტრენინგებზე დასასწრებად, რადგანაც ძალიან გადატვირთულები არიან. მოსამართლეებმა ასევე ახსენეს გარკვეული

გაუმჯობესება ადვოკატთა ასოციაციის მუშაობაში, რაც ადვოკატებმაც დაადასტურეს. ადვოკატებმა ხაზი გაუსვეს, რომ ადვოკატთა ასოციაცია ახლა უკეთესად მუშაობს, ვიდრე ადრე და განგრძობითი იურიდიული განათლების შესაძლებლობები ადვოკატებისთვის ხელმისაწვდომია. ადვოკატთა ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა ტრენინგების თემების რელევანტურობასთან ან ტრენინგების მასშტაბებთან დაკავშირებით (მხოლოდ 20-25 ადამიანი ესწრება ტრენინგს და ბევრი ადვოკატი ვერ ახერხებს მაღალი დონის პროფესიონალების მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე დასწრებას). რეგიონებში მოღვაწე ადვოკატთა ნაწილმა ახსენა კერძო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ფასიანი ტრენინგები, რაც ხშირად ძალიან ძვირია და ადვოკატებისთვის ფინანსურად ხელმისაწვდომი არ არის. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა ახალციხიდან აღნიშნა, რომ საჭიროა ადვოკატებს, მოსამართლეებსა და პროკურორებს ტრენინგს ერთი და იგივე ტრენინგები უტარებდნენ და ტრენინგის შინაარსიც იგივე იყოს იმისთვის, რომ იურიდიული სფეროს წარმომადგენლებს ერთნაირად ესმოდეთ სამართლებრივი საკითხები და ერთიანი პრაქტიკა დაინერგოს.

„ვინც ჩატარებს ტრენინგებს, სასამართლოში ვინც ატარებს, იმათაც ხო აქვთ სწავლება, პროკურატურაში, იგივე ხალხს ჰქონდეს საშუალება, ჩვენთანაც რო ჩატაროს. რაღაცნაირი ერთიანი პრაქტიკა წავიდეს, ერთიანი აღქმა წავიდეს... და არა ისეთი, რო ცალმხრივად იყოს ეს და, მაგალითად, მორგებული იყოს ტრენინგი მარტო მოსამართლეებისთვის და იმის პოზიციიდან გამოდიოდეს. რაც რეალობაა, რაც ფუნდამენტებია, რაც საფუძვლებია, იქიდან უნდა გამოდიოდნენ.“
(იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

კვლევის თვისებრივი ნაწილის დეტალური შეჯამება იხილეთ მეოთხე დანართში.

ინდიკატორი 3: იურიდიული განათლების ხარისხის შეფასება

(დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებლები, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

მოსამართლეები და პროკურორები პოზიტიურად აფასებენ თეორიული და პრაქტიკული იურიდიულ განათლების ხარისხს. 2016 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ახლა მეტი მოსამართლე აფასებს დადებითად იურიდიული განათლების ხარისხს. ადვოკატების უმრავლესობა კი არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას.

	მოსამართ- ლეები 2016	მოსამართ- ლეები 2019	ადვოკა- ტები 2016	ადვოკა- ტები 2019	პროკურო- რები 2016	პროკუ- როები 2019
იურიდიული განათლების შეფასება - თეორიული ცოდნა	29% (31)	56% (45)	25% (76)	24% (48)	58% (56)	52% (62)
იურიდიული განათლების შეფასება - პრაქტიკული უნარები	38% (41)	65% (51)	29% (86)	33% (67)	51% (47)	50% (58)

*ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ დანართ 2-ში.

** ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

*** ინდიკატორის გამოთვლებში ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

4. მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების შეფასება

ძირითადი მიგნებები

- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა ამბობს, რომ იცნობს მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობას.
- რესპონდენტებმა ინსტიტუტების უმეტესობის საქმიანობა გამჭვირვალედ შეაფასეს. თუმცა, მხოლოდ მოსამართლეების უმრავლესობა ფიქრობს, რომ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის, დამოუკიდებელი ინსპექტორისა და მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობა ძირითადად ან სრულიად გამჭვირვალეა. 2016 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ახლა უფრო მეტი არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატი და კერძო ადვოკატი აფასებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობას, როგორც არაგამჭვირვალეს.
- არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და პროკურატურის საქმიანობა არ არის გამჭვირვალე.
- რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობა კარგად ორგანიზებულია. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სასამართლოებისა და პროკურატურის საქმიანობა ძირითადად ან ძალიან ცუდად ორგანიზებულია. კერძო ადვოკატებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების უმრავლესობა კი პირიქით ფიქრობს.
- რესპონდენტების უმრავლესობა დადებითად აფასებს შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას: სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სასამართლოები, იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა და არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარება. ზოგადად, გამოკითხვაში მონაწილე ადვოკატები, იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით, ინსტიტუტების ძირითად ნაწილს კრიტიკულად აფასებს. ადვოკატები ნაკლებ კრიტიკულად აფასებენ იმ ინსტიტუტებს, რომლებთანაც პირდაპირი კავშირი აქვთ. პროკურორებისა და მოსამართლეების უმრავლესობა, ყველა ჩამოთვლილი ინსტიტუტის საქმიანობას დადებითად აფასებს.
- ყველა რესპონდენტმა აღნიშნა სასამართლოების გადატვირთულობის პრობლემა და მოსამართლეთა რაოდენობის სიმცირე, რაც ხშირად დროში აჭიანურებს საქმეებს. ადვოკატებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ ეს პრობლემა ყველა ინსტანციის სასამართლოში დგას.
- ადვოკატებმა აღნიშნეს ერთიანი პრაქტიკის საჭიროება იმისთვის, რომ ერთი თვის პერიოდში ორ მსგავს საქმეზე სხვადასხვა გადაწყვეტილება არ გამოდიოდეს. ეს მათ დაეხმარებოდათ იმის განჭვრეტაში, თუ რა პერსპექტივა შეიძლება, ჰქონდეს საქმეს და შესაბამისად დაგეგმავდნენ თავის სამუშაოს.
- პროკურორებმა ხაზი გაუსვეს გამოძიების ხარისხის ამაღლების საჭიროებას. ერთი შემთავაზება ამ მიმართულებით იყო, რომ გამოძიებლებისთვის სავალდებულო


იყოს იურიდიული განათლების ქონა. პროკურორებმა დადებითად შეაფასეს პოლიციაში საგამომიებო და ოპერატიული სამსახურების განცალკევება და ისაუბრეს იმაზე, რომ მიმდინარეობს პროკურორებისა და გამომძიებლების ფუნქციების გამიჯვნა.

ინფორმირებულობა

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა ამბობს, რომ იცნობს შემდეგი მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობას: სასამართლოები (97%), საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (90%), პროკურატურა (84%), იუსტიციის სამინისტრო (83%), სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური (79%), იუსტიციის უმაღლესი საბჭო (73%), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია (67%), იუსტიციის უმაღლესი სკოლა (61%).

რესპონდენტების უმრავლესობა კი არ იცნობს ჩამოთვლილი ინსტიტუტების საქმიანობას: საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, დამოუკიდებელი ინსპექტორი, მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია და მოსამართლეთა ასოციაცია „ერთობა“ (იხ. გრაფიკი 10). მხოლოდ მოსამართლეები ამბობენ, რომ იცნობენ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის, დამოუკიდებელი ინსპექტორისა და მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობას. თუმცა, მოსამართლეებისთვისაც კი უცხოა მოსამართლეთა ასოციაცია „ერთობა“-ს საქმიანობა.


გრაფიკი 10



გამჭვირვალობა

გამოკითხვაში მონაწილეები აფასებდნენ მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობის გამჭვირვალობას. 2016 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, ინსტიტუტების ძირითადი ნაწილის საქმიანობა ძირითადად გამჭვირვალედ შეფასდა (იხ. გრაფიკი 11). რესპონდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ სასამართლოების (81%), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (80%), იუსტიციის სამინისტროს (74%), სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის (73%), პროკურატურის (66%), არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარების (62%), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის (64%), იუსტიციის უმაღლესი სკოლისა (57%) და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (54%) საქმიანობები გამჭვირვალეა.

გრაფიკი 11



მხოლოდ მოსამართლეების უმრავლესობა ამბობს, რომ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის საქმიანობა (96%), დამოუკიდებელი ინსპექტორისა (98%) და მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობა (90%) ძირითადად ან სრულიად გამჭვირვალეა.

რაც შეეხება სხვა ინსტიტუტების საქმიანობას, თითქმის ყველა მოსამართლე (99%) და პროკურორთა წილის ნახევარზე მეტი (55-75%) ამბობს, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა ძირითადად ან სრულიად გამჭვირვალეა. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების უმრავლესობა (90%), კერძო ადვოკატების ნახევარი (50%) და იურიდიული დახმარების სამსახურის


ადვოკატების მესამედი (39%) ამბობს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა ძირითადად ან სრულიად გაუმჭვირვალეა. ეს მონაცემები გაზრდილია 2016 წლის შემდეგ, მაშინ არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატების 67% და კერძო ადვოკატების 43% ფიქრობდა იმავეს. გარდა ამისა, არასამთავრობო სექტორის ადვოკატების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლისა (51%) და პროკურატურის საქმიანობა (68%) არ არის გამჭვირვალე.

საქმიანობის ორგანიზებულობის შეფასება

გამოკითხული იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები აფასებდნენ, თუ რამდენად კარგად ან ცუდად ორგანიზებულია სხვადასხვა მართლმსაჯულების ინსტიტუტის საქმიანობა. ზოგადად, რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ჩამოთვლილი მართლმსაჯულების ინსტიტუტების ძირითადი ნაწილის საქმიანობა კარგად ორგანიზებულია. თუმცა, რესპონდენტების ნახევარზე ნაკლები ამბობს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობა, მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობა და მოსამართლეთა ასოციაცია „ერთობა“-ს საქმიანობა კარგად ორგანიზებულია (იხ. გრაფიკი 12).

გრაფიკი 12

რამდენად კარგად ან ცუდად ორგანიზებულია შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობა? (%)



არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები გამოირჩევიან კრიტიკული შეფასებებით. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო (71%), სასამართლოები

(63%) და პროკურატურა (59%) ძირითადად ან ძალიან ცუდად ორგანიზებულია. ხოლო კერძო ადვოკატებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის უმრავლესობა არ იზიარებს ამ მოსაზრებას.

საქმიანობის შეფასება

გამოკითხული იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა შეაფასეს მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობაც. რესპონდენტების უმრავლესობა დადებითად აფასებს შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას: სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური (69%), საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (65%), სასამართლოები (61%), იუსტიციის სამინისტრო (61%), პროკურატურა (59%) და არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარება (56%) (იხ. გრაფიკი 13).


საერთო ჯამში, 2016 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, ადვოკატები ყველა ინსტიტუტს კრიტიკულად აფასებენ, გარდა იმ ინსტიტუტებისა, რომლებთანაც აქვთ პირდაპირი კავშირი. ადვოკატების უმრავლესობა დადებითად აფასებს არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიულ დახმარებას (72%), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობას (70%) და ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობას (72%). პროკურორების უმრავლესობა ასევე დადებითად აფასებს ინსტიტუტების ძირითადი ნაწილის საქმიანობას. თუმცა, პროკურორების ნახევარზე ნაკლები (48%) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობას კარგად ან ძალიან კარგად აფასებს.¹⁰ რაც შეეხება მოსამართლეებს, მათი უმრავლესობა დადებითად აფასებს ყველა ჩამოთვლილ ინსტიტუტს. 2016 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ახლა უფრო მეტი მოსამართლე აფასებს დადებითად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობას (47% 2016 წელს, 80% 2019 წელს).¹¹

¹⁰ მონაცემები განსხვავდება მეოთხე ინდიკატორის მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართ 2-ში.

¹¹ პროცენტი გამოთვლილია ინდიკატორის მაჩვენებლიდან. იხილეთ დანართი 2.

გრაფიკი 13

როგორ შეაფასებდით თითოეული სტრუქტურის საქმიანობას? (%)



სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებში რესპონდენტებს სთხოვეს, დაესახელებინათ მართლმსაჯულების ინსტიტუტებში არსებული ძირითადი გამოწვევები, რაც უნდა გაუმჯობესდეს იმისთვის, რომ მართლმსაჯულების ხარისხი გაიზარდოს. 2016 წლის შედეგების მსგავსად, ყველა ტიპის რესპონდენტმა - ადვოკატებმაც, მოსამართლეებმაც და პროკურორებმაც - მთავარ გამოწვევად დაასახელა საქმეთა გადატვირთულობა სასამართლოში და მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა. ეს ფაქტორები ახანგრძლივებს სასამართლო საქმეების განხილვას. ზოგჯერ, საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას რამდენიმე წელი სჭირდება. ადვოკატებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ ეს პრობლემა არა მხოლოდ საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში დგას, არამედ სააპელაციო სასამართლოებში და უზენაეს სასამართლოშიც კი.

„მარშანწინ მქონდა იუბილე, ათი წელი შეუსრულდა დავას, ადმინისტრაციულ დავას, 28 კვადრატის საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და ვიყავით პირველ ინსტანციაში. ის საქმე უკვე მეორე ინსტანციაშია.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

კვლევის თვისებრივი ნაწილის დეტალური შეჯამება იხილეთ მეოთხე დანართში.

ადვოკატებს მნიშვნელოვან გამოწვევად მიაჩნიათ საქართველოს სასამართლოებში ერთიანი პრაქტიკის არარსებობა. საქმეებზე, რომლებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს, შეიძლება, სხვადასხვა გადაწყვეტილება გამოვიდეს, ერთი თვის შუალედშიც კი. ამ შემთხვევაშიც, ეს პრობლემა როგორც პირველ, ასევე მეორე ინსტანციის სასამართლოებს ეხება. ეს ართულებს ადვოკატთა სამუშაოს, რადგან არ შეუძლიათ საქმის პერსპექტივის განჭვრეტა და საქმის გადაწყვეტა ინდივიდუალურ მოსამართლეზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ახალციხეში ადვოკატებმა გამოთქვეს წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლეები გარკვეულწილად სახელმწიფოს მხარეს იხრებიან, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის საქმეში მონაწილეობის დროს ან პროკურატურის მხარეს სისხლის სამართლის საქმეებში.

“სასამართლო გადატვირთულობის არის ხელოვნურად შექმნილი და ამაზე სწორედ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ბუნებრივია საკანონმდებლო ორგანოსთან ერთად... სასამართლო სისტემაში გარე კადრი, როგორც არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი, ადვოკატი, ან სხვა სფეროს წარმომადგენელი, რომელიც არ არის სისტემაში ნამუშევარი, ან ყოფილი მოსამართლე, ან თანაშემწე, ან პროკურორი, ამ სისტემაში შეღწევა თითქმის ამ პიროვნებებისთვის არის წარმოუდგენელი... ძალიან ბევრია მსურველი, რომ ჩააბაროს იუსტიციის სკოლაში, შემდეგ გამწესდეს მოსამართლედ, მიიღოს კონკურსში მონაწილეობა, მაგრამ არ არსებობს სახელმწიფოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნება ამ მიმართულებით, რომ იმ მოქალაქეს, რომელიც დაახლოებული პირი არ არის, ან დავუშვათ, არ უწევს რეკომენდაციას ამ პირს, ჩვეულებრივი მოქალაქისთვის, რომელიც თუნდაც ძალიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე უნდა იყოს, თუნდაც წლების განმავლობაში ჰქონდეს გარკვეული სახის გამოცდილება, კარგი რეპუტაცია, ასეთ მოქალაქეს არ აქვს რეალურად საშუალება, რომ სისტემაში შევიდეს. (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

კვლევის თვისებრივი ნაწილის დეტალური შეჯამება იხილეთ მეოთხე დანართში.

ადვოკატებმა და პროკურორებმა ხაზი გაუსვეს სასამართლოებში, პოლიციასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში უფრო კვალიფიციური თანამშრომლების ყოლის საჭიროებას. პროკურორები ყველაზე მეტად გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას უჭერენ მხარს. მათ დადებითად შეაფასეს პოლიციაში საგამოძიებო და ოპერატიული სამსახურების გაყოფა და ისურვეს, რომ უფრო მეტ გამომძიებელს ჰქონდეს მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლება.

ფოკუს ჯგუფებში ადვოკატებმა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობა უმეტესად დადებითად შეაფასეს. ბევრ მათგანს არ ჰქონდა ეთიკის კომისიისთვის საჩივრით მიმართვის გამოცდილება, თუმცა, იცნობდნენ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებს და მხარს უჭერდნენ მათ. ეთიკის კომისიის შეფასებასთან ერთად ადვოკატებმა განიხილეს ამჟამად არსებული სიტუაცია ეთიკის კუთხით. ახალციხეში ადვოკატებმა გამოარჩიეს ეს პრობლემა და თქვეს, რომ ადვოკატები არაეთიკურად არა მხოლოდ თავისი კოლეგების მიმართ იქცევიან და შეურაცხყოფას აყენებენ მათ, არამედ კლიენტების მოტყუებასაც არ ერიდებიან იმისთვის, რომ მეტი ჰონორარი აიღონ.

ინდიკატორი 4: მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება

(დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

სასამართლო პროცესის მონაწილეები დადებითად აფასებენ იმ მართლმსაჯულების ინსტიტუტებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მათთან. ზოგადად, მოსამართლეებისა და პროკურორების უმრავლესობა დადებით შეფასებებს უფრო ხშირად გამოთქვამენ, ვიდრე ადვოკატები. ადვოკატები, რომლებიც გამოკითხვაში მონაწილე სხვა ჯგუფებთან შედარებით კრტიკული შეფასებებით გამოირჩევიან, მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობას დადებითად არ აფასებენ. თუმცა დადებითად შეაფასეს: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარებისა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობა.

	მოსამართ- ლეები 2016	მოსამართ- ლეები 2019	ადვოკა- ტები 2016	ადვოკა- ტები 2019	პროკურო- რები 2016	პროკუ- რორები 2019
იუსტიციის სამინისტრო	78% (104)	94% (67)	47% (300)	43% (88)	99% (96)	81% (94)
იუსტიციის უმაღლესი საბჭო	88% (108)	100% (80)	22% (275)	25% (48)	67% (81)	59%* (56)
იუსტიციის უმაღლესი სკოლა	88% (106)	99% (78)	37%* (232)	35%* (58)	70%* (76)	65%* (58)
იურიდიული დახმარების სამსახური	74% (96)	91% (70)	64% (270)	66% (130)	85% (97)	76% (82)
არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარება	73%* (85)	90%* (47)	66% (278)	72% (136)	65%* (66)	60%* (46)
სასამართლოები საქართველოში	94% (105)	100% (81)	40% (303)	38% (78)	79% (100)	77% (92)
პროკურატურა	61% (92)	94% (68)	23% (275)	33% (61)	100% (99)	93% (113)
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია	47% (99)	80% (56)	73% (304)	70% (145)	62% (92)	63% (65)
საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია	83% (104)	99% (80)	39%* (179)	38%* (53)	69%* (54)	68%* (41)
მოსამართლეთა ასოციაცია „ერთობა“	62%* (78)	68%* (15)	36%* (110)	30%* (20)	62%* (39)	64%* (23)
**** დამოუკიდებელი ინსპექტორი		100% (78)		39%* (41)		74%* (45)
**** მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია		99% (78)		26%* (35)		59%* (29)
**** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია		70%* (30)		72% (138)		48%* (30)

*ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ დანართ 2-ში.

** ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

*** ინდიკატორის გამოთვლებში ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

**** შეკითხვები არ დასმულა 2016 წლის გამოკითხვაში.

5. მედიაცია

ძირითადი მიგნებები

- ადვოკატებისა და მოსამართლეების უმეტესობას საქმის სასამართლო მედიაციისთვის გადაცემის გამოცდილება არ აქვს. თუმცა, ისინი მექანიზმს დადებითად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ მედიაცია სასამართლოებს განტვირთავს, საქმეების უფრო დროულად გადაწყვეტას შეუწყობს ხელს და მხარეებს მორიგების საშუალებას მისცემს.
- თბილისში გამოკითხულ მხოლოდ ერთ მოსამართლეს ჰქონდა რამდენიმე საქმე გადაცემული სასამართლო მედიაციისთვის და არც თუ ისე დადებითად შეაფასა ეს მექანიზმი, რადგან, მისი თქმით, ყველა ეს საქმე მოგვიანებით ისევ სასამართლოში დაბრუნდა.
- პროკურორებს სასამართლო მედიაციასთან მცირე შეხება აქვთ, რადგან მას ნაკლებად იყენებენ სისხლის სამართლის საქმეებში. თუმცა, მათი მოლოდინიც დადებითია და სჯერათ, რომ სასამართლო მედიაცია შესაძლოა, ეფექტური მექანიზმი იყოს მცირე დავების შემთხვევაში და დაზოგოს სასამართლოს რესურსები.
- იმის განხილვისას, თუ რა კატეგორიის საქმეების შემთხვევაში შეიძლება, მედიაცია ეფექტური იყოს, ადვოკატებმა დაასახელეს საოჯახო დავები, განქორწინების საქმეები, მემკვიდრეობისა და საკუთრებასთან დაკავშირებული დავები, სადაც მხარეებს შორის ურთიერთობა ამ დავით არ მთავრდება.
- მოსამართლეების თქმით, სასამართლო მედიაციას სავალდებულო წესით უნდა გადაეცეს დავები, რომელთა ღირებულება 5 ათას ლარს არ აღემატება.
- მოსამართლეებმაც და ადვოკატებმაც აღნიშნეს, რომ მედიაციას მეტი რეკლამირება და საზოგადოებისთვის გაცნობა სჭირდება.

მედიაცია ახალი თემაა, რომელიც კვლევას 2019 წელს დაემატა. მედიაციის შესახებ კითხვების მხოლოდ კვლევის თვისებრივ ნაწილში დაისვა, ფოკუს ჯგუფებში ადვოკატებთან და სიღრმისეულ ინტერვიუებში მოსამართლეებთან და პროკურორებთან.

ადვოკატებმა ოთხივე ქალაქში დადებითი მოსაზრებები გამოთქვეს მედიაციის შესახებ მიუხედავად იმისა, რომ ამ მექანიზმის გამოყენების გამოცდილება არ ჰქონდათ. მათი თქმით, მედიაციის დროს უფრო ღია კომუნიკაცია მიმდინარეობს, რაც საქმეების უფრო სწრაფ მოგვარებას უწყობს ხელს. მედიაციის მათ მიერ დასახელებული სხვა უპირატესობები მოიცავს სასამართლოსთან შედარებით უფრო დაბალ საფასურს და უფრო მეტ შანსს იმისა, რომ მხარეებმა მათთვის, ორივე მხარისთვის, სასარგებლო გადაწყვეტილებას მიაღწიონ. გარდა ამისა, მედიაცია შეიძლება, ეფექტური მექანიზმი იყოს სასამართლოების განსატვირთად. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა თბილისიდან განაცხადა, რომ კარგ შემთხვევაში სასამართლო უნდა აკეთებდეს თავის საქმეს და მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ მეტი ავტორიტეტი, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მხარეებიც მოარიგონ და საქმეები მოაგვარონ. ადვოკატთა ნაწილმა ბათუმსა

და რუსთავში აღნიშნეს, რომ სასამართლო მედიაციას მეტი რეკლამირება სჭირდება. ადვოკატების თქმით, იმისთვის რომ მედიაცია ეფექტური იყოს, ხალხს მეტად უნდა ესმოდეს სამართლებრივი საკითხები და მეტი ნდობა ჰქონდეს მედიაციის მიმართ. მხოლოდ რუსთავში გამოითქვა ერთი სკეპტიკური აზრი მედიაციასთან დაკავშირებით, რომ მედიაცია კარგად განვითარებული ინსტიტუტი არ არის და საეჭვოა, როგორ შეძლებს მედიაციის სასამართლო საქმეების გადაწყვეტას, როცა ეს ტრადიციულ სასამართლოსაც უჭირს.

ოთხივე ქალაქში ფოკუს ჯგუფებზე ადვოკატებმა დაასახელეს საქმეთა შემდეგი კატეგორიები, რაც შეიძლება, მედიაციის სასამართლოს გადაეცეს. ესენია: საოჯახო საკითხებთან დაკავშირებული დავები, მემკვიდრეობა და ქონების განახილება, ბანკებთან დაკავშირებული საქმეები და საქმეები, სადაც „მხარეებს შორის ურთიერთობა არ მთავრდება“.¹² ადვოკატთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მედიაციის გამოყენება ყველა ტიპის საქმის განსახილველად შეიძლება.

მოსამართლეთა უმრავლესობას არ ჰქონდა მედიაციის სასამართლოსთვის საქმის გადაცემის გამოცდილება, რადგანაც ამ ეტაპამდე მედიაციის სასამართლო მხოლოდ თბილისშია ხელმისაწვდომი. სამოქალაქო სამართლის მოსამართლემ თბილისში ახსენა, რომ ჰქონდა რამდენიმე საქმე, რომელიც მედიაციის სასამართლოს გადაეცა. თუმცა, ეს საქმეები წარმატებით არ დასრულებულა და კვლავ სასამართლოს მოუბრუნდა. ზოგადად, მოსამართლეებს დადებითი მოლოდინი აქვთ მედიაციის მიმართ და ამბობენ, რომ ეს სასამართლოს კარგი ალტერნატივაა ისეთი საქმეების შემთხვევაში, როგორებიცაა საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეზობლო დავები, სადაც მხარეებს ერთმანეთთან კომუნიკაცია სჭირდებათ საქმის დასრულების შემდეგაც. მოსამართლეების აზრით, ეს ინსტიტუცია უზრუნველყოფს პრობლემის დროულ გადაწყვეტას და ითვალისწინებს შეთანხმებას, რომელიც ორივე მხარისთვისაა მისაღები. თუმცა, სასამართლო მედიაციას პოპულარიზაცია სჭირდება, რადგანაც ხალხს ჯერ კიდევ ურჩევნია, სასამართლოს მიმართოს და სასამართლოს მეტად ენდობა. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მედიაცია შესაძლოა, სავალდებულო გახდეს კონკრეტული საქმეების შემთხვევაში (მაგალითად, როცა დავის საერთო ღირებულება 5000 ლარს არ აღემატება). ეს მიდგომა ხელს შეუწყობდა სასამართლოს განტვირთვას.

სასამართლო მედიაცია უმეტესად სამოქალაქო სამართლის საქმეებს ეხება, ამიტომ პროკურორებმა სიღრმისეულ ინტერვიუებში დავების გადაჭრის ამ ალტერნატიულ მექანიზმზე უფრო ზოგადად ისაუბრეს. პროკურორებს სასამართლო მედიაციაზე დადებითი შეხედულება აქვთ, განსაკუთრებით, როცა საქმე მცირე დავებს ეხება, რასაც სასამართლო თვეობით ახარჯავს რესურსებს. თუკი მოქალაქეს დავის მოგვარება უნდა მეზობელთან, უნდა ერჩიოს მედიაციის გზით საქმის დროული გადაწყვეტა, ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილების ლოდინი, რამაც შესაძლოა, წლები გასტანოს.

¹²12 სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე

პროკურორებმა ასევე აღნიშნეს, რომ მედიაცია ითვალისწინებს ორივე მხარის მოსაზრებებს და მათ შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას. საქმეები, რისი გადაცემაც მედიაციისთვის გონივრული იქნებოდა, მათ შორის სავალდებულო წესით, მოიცავს განქორწინებისა და ბავშვთან დაკავშირებულ დავებს, ასევე სხვა შემთხვევებს, რომელთა მოგვარება მხარეებს შორის შეთანხმებით შეიძლება.

ზოგმა პროკურორმა ახსენა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, რომელიც უმეტესად არასრულწლოვანთა შემთხვევაში გამოიყენება, თუკი მათ მსუბუქი სამართალდარღვევა ჩაიდინეს პირველად და აღიარეს დანაშაული. მათი თქმით, ეს პროგრამა ეფექტურად მუშაობს.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა ნაწილს განსხვავებულად ხედავს და აფასებს სხვადასხვა იურიდიული პროფესიის წარმომადგენელი. ზოგადად, ყველა გამოკითხულმა ჯგუფმა (მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები) დადებითად შეაფასა ის ინსტიტუტები, რომლებთანაც უშუალო კავშირი აქვთ რესპონდენტებს. საერთო ჯამში, პროკურორები და მოსამართლეები უფრო ხშირად გამოთქვამენ დადებით შეფასებებს მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ, ვიდრე ადვოკატები. ადვოკატებს შორის კი ყველაზე კრიტიკული შეფასებებით არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები გამოირჩევიან.

რესპონდენტებმა შეაფასეს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მხარეთა თანასწორობის საკითხები. რესპონდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობაში დაცულია მხარეთა შორის ბალანსი, ისევე როგორც პრაქტიკაში. თუმცა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის შეფასებისას, ადვოკატების აზრით, კანონმდებლობა და პრაქტიკა არ უზრუნველყოფს მხარეებს შორის თანასწორობას. პროკურორებისა და მოსამართლეების უმრავლესობას კი განსხვავებული მოსაზრება აქვთ, მათი აზრით, სისხლის სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა დაცვისა და ბრალდების მხარეების თანასწორობას უზრუნველყოფს.

გარკვეულ საკითხებზე უფრო მეტი თანხმობა შეინიშნება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შორის. თითქმის ყველა მათგანი თანხმდება, რომ სასამართლოს გადატვირთულობა პრობლემას წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემისთვის. კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს სხვადასხვა იურიდიული სფეროს წარმომადგენლების კვალიფიკაციის დონეს ეხება. მოსამართლეების აზრით, ადვოკატების კვალიფიკაციის დონე არ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროებს გაუმჯობესებას. პროკურორებმა კი ხაზი გაუსვეს გამომძიებლების კვალიფიკაციის დონეს და მიუთითეს მისი გაუმჯობესების საჭიროებაზე. რაც შეეხება კვლევაში მონაწილე ადვოკატების ჯგუფს, ადვოკატების ნაწილმა კრიტიკულად შეაფასა თავად ადვოკატებისა და მოსამართლეების ნაწილის კვალიფიკაციის დონე.

რაოდენობრივმა გამოკითხვამ ასევე აჩვენა რამდენიმე საინტერესო ტენდენცია, რომელიც მართლმსაჯულების ინსტიტუტების (სასამართლოების, პროკურატურის, იურიდიული დახმარების სამსახურის, პოლიციის) მოქალაქეებისადმი, როგორც უმრავლესობის ისე უმცირესობის ჯგუფებისადმი, დამოკიდებულებას ეხება. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების მხრიდან საზოგადოების უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფების მიმართ მოპყრობის ნაწილში პრობლემას ვერ ხედავენ. გამონაკლისი არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების ჯგუფია, რომლებიც ამბობენ, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტების ნაწილი ზოგიერთი უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენლებს თანასწორად არ ეპყრობა.

მოქალაქეებისთვის სასამართლო სისტემის ხელმისაწვდომობის განხილვისას, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობის აზრით, სასამართლო ფინანსურად ნაკლებად ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის. მოსამართლეების

უმრავლესობა კი არ იზიარებს ამ მოსაზრებას და სასამართლო სისტემას ფინანსურად ხელმისაწვდომად თვლის.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა ასევე შეაფასეს არსებული იურიდიული განათლება. უმრავლესობა არსებულ თეორიულ იურიდიულ განათლებას დადებითად აფასებს და ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები კურსდამთავრებულებს საკმარის თეორიული ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს აძლევს იმისთვის, რომ დაიწყო იურიდიული პრაქტიკა. გამონაკლისს არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების ხედვა წარმოადგენს, რომელთა უმრავლესობაც არ იზიარებს ამ მოსაზრებას.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა ამბობს, რომ იცნობს მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობას. რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, ამ ინსტიტუტების ძირითადი ნაწილის საქმიანობა გამჭვირვალე და ორგანიზებულია. ამ შემთხვევაშიც არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების უმრავლესობას განსახვავებული მოსაზრებები აქვთ. მათი აზრით, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და პროკურატურის საქმიანობა არ არის გამჭვირვალე, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სასამართლოებისა და ასევე პროკურატურის საქმიანობა ცუდად ორგანიზებულია.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს მედიაციის მიმართულებით მცირე გამოცდილება აქვთ, ისინი დადებით დამოკიდებულებას გამოხატავენ ამ მექანიზმის მიმართ და მიიჩნევენ, რომ მედიაცია შეამცირებს სასამართლოების გადატვირთულობას და უზრუნველყოფს საქმის სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას.

დანართები

დანართი 1 – კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოში „კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის“ (PROLoG) ფარგლებში, 2019 წლის აპრილსა და მაისში CRRC-საქართველომ ჩატარა იურიდიული სფეროს პროფესიონალების კვლევა. ეს იყო 2016 წელს ჩატარებული საბაზისო კვლევის განმეორება, რაც მიზნად ისახავდა ბოლო სამი წლის განმავლობაში იურიდიული სფეროს პროფესიონალების მოსაზრებებში ცვლილებების დადგენას. 2019 წლის გაზაფხულზე ჩატარებული გამოკითხვა შედგებოდა შემდეგი ნაწილებისგან: იურიდიული სფეროს პროფესიონალების რაოდენობრივი გამოკითხვა (ადვოკატებისა და მოსამართლეების პირისპირ გამოკითხვა კომპიუტერით პერსონალური ინტერვიუების მეთოდით (CAPI) და პროკურორების თვითადმინისტრირებადი ონლაინ გამოკითხვა), ფოკუს ჯგუფები ადვოკატებთან და სიღრმისეული ინტერვიუები მოსამართლეებთან და პროკურორებთან. PROLoG-ის ერთ-ერთი მიზნიდან გამომდინარე, რომელიც მარგინალიზებული მოქალაქეებისთვის, კერძოდ, ქალებისა და ეთნიკური და სექსუალური უმცირესობებისთვის, მართლმსაჯულებასთან წვდომის გაუმჯობესებას გულისხმობს, კვლევა ფოკუსირებული იყო თბილისზე და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სამ რეგიონზე: აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. კვლევა ეხებოდა ხუთ თემას:

- სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი
- მართლმსაჯულების სისტემის დაცვის მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა მოქალაქეებისთვის
- სამართლებრივი განათლების ხარისხი
- მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების საქმიანობა და
- სასამართლო მედიაცია.¹³

რაოდენობრივი კომპონენტი: იურიდიული სფეროს პროფესიონალების გამოკითხვა

იურიდიული სფეროს პროფესიონალების გამოკითხვა მოიცავდა სასამართლო პროცესის მონაწილე სამივე მხარეს: ადვოკატებს (კერძო ადვოკატებს, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებსა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებს), საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებსა და პროკურორებს. ადვოკატებთან და მოსამართლეებთან ჩატარდა პირისპირ ინტერვიუები CAPI მეთოდით, პროკურორებთან - ონლაინ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა. სამივე შემთხვევაში გამოკითხვა ერთი და იგივე ინსტრუმენტით ჩატარდა.

¹³ მედიაცია ახალი თემაა, რომელიც კვლევას 2019 წელს დაემატა.

ადვოკატების გამოკითხვა

ადვოკატების გამოკითხვა ჩატარდა **2019 წლის 12 აპრილიდან 5 მაისამდე** პერიოდში. მთლიანობაში გამოიკითხა 207 ადვოკატი (109 კერძო ადვოკატი, არასამთავრობო ორგანიზაციების 41 ადვოკატი და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის 57 ადვოკატი).

კერძო ადვოკატების შემთხვევაში, ეს იყო პანელური გამოკითხვა და CRRC-საქართველო შეეცადა, გამოეკითხა იგივე რესპონდენტები, ვინც 2016 წლის საბაზისო კვლევაში მიიღო მონაწილეობა. 2016 წლის კვლევაში კერძო ადვოკატებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების შერჩევა მარტივი შემთხვევითი შერჩევის მეთოდით მოხდა.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების შემთხვევაში, შერჩევის ჩარჩო იყო ყველა იმ ადვოკატის სია, რომელიც ამ სამსახურში მუშაობს. სია CRRC-საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურმა მოაწოდა. საერთო ჯამში, 2019 წლის აპრილის მდგომარეობით, სიაში 125 ადვოკატი იყო. CRRC-საქართველომ შემთხვევითი წესით შეარჩია 100 ადვოკატი (მარტივი შემთხვევითი შერჩევის მეთოდი ექსელის პროგრამის "rand()" ფუნქციის გამოყენებით) და სცადა მათგან ინტერვიუს მიღება.

მოსამართლეების გამოკითხვა

მოსამართლეების გამოკითხვა 2019 წლის 12 აპრილიდან 3 მაისამდე პერიოდში ჩატარდა. მთლიანობაში 81 მოსამართლე გამოიკითხა.

სასამართლოების ვებგვერდებზე დაყრდნობით, CRRC-საქართველომ შეადგინა მოსამართლეთა სია და ამ სიიდან შემთხვევითი წესით (მარტივი შემთხვევითი შერჩევის მეთოდი ექსელის პროგრამის "rand()" ფუნქციის გამოყენებით) შეარჩია მოსამართლეები. საქალაქო/რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა 246-კაციანი სიიდან CRRC-საქართველომ შეარჩია 160 მოსამართლე და სცადა მათთან ინტერვიუს ჩატარება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ CRRC-ის მიაწოდა სასამართლოების მენეჯერების საკონტაქტო ინფორმაცია და შეატყობინა მათ გამოკითხვის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის ვერ მოხერხდა შერჩეულ მოსამართლეთა გამოკითხვა და ზოგ სასამართლოში ინტერვიუები სხვა მოსამართლეთან ჩაინიშნა.

პროკურორების ონლაინ გამოკითხვა

პროკურორების ონლაინ გამოკითხვა 2019 წლის 11-დან 22 აპრილამდე პერიოდში ჩატარდა. მთლიანობაში 122 პროკურორი გამოიკითხა.¹⁴

¹⁴ შერჩეულ პროკურორთა ნაწილს ტექნიკური პრობლემები შეექმნა კითხვარის ბმულის გახსნის დროს, რაც, სავარაუდოდ, მათი ინტერნეტ ბრაუზერის ვერსიის ან მათ სამსახურებრივ კომპიუტერზე დაყენებული შეზღუდვების ბრალი იყო. ამან, მაღალი ალბათობით, არგამოპასუხების დონე გაზარდა.

პროკურატურამ ითანამშრომლა CRRC-საქართველოსთან და შერჩევის ექსპერტის ინსტრუქციების მიხედვით შემთხვევითი წესით შეარჩია 150 პროკურორი საქართველოს ყველა რეგიონიდან. პროკურატურამ შერჩეულ პროკურორებს გაუგზავნა ელექტრონული წერილები, სადაც მოცემული იყო გამოკითხვის შესახებ მოკლე ინფორმაცია და კითხვარის ბმული, ასევე, CRRC-ში საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია, ვისთვისაც კითხვების შემთხვევაში შეეძლოთ, მიემართათ. თვითადმინისტრირებადი ონლაინ გამოკითხვისთვის CRRC-საქართველომ გამოიყენა CRRC-ის კვლევების დირექტორის მიერ შექმნილი ვებგვერდი esurvey.ge, რომელზეც ონლაინ კითხვარის ფორმა აიტვირთა ODK-ს (ღია მონაცემების ინსტრუმენტი) და Enketo-ს (მომსახურების განაწილების ონლაინ ფორმა) გამოყენებით.

თვისებრივი კომპონენტი: ფოკუს ჯგუფები ადვოკატებთან, სიღრმისეული ინტერვიუები მოსამართლეებთან და პროკურორებთან

კვლევის თვისებრივი კომპონენტი შედგებოდა ფოკუს ჯგუფებისგან ადვოკატებთან (კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები) და სიღრმისეული ინტერვიუებისგან მოსამართლეებთან და პროკურორებთან. თვისებრივი კომპონენტის სავსე სამუშაოები 2019 წლის 11 მარტიდან 3 მაისამდე პერიოდში განხორციელდა. რესპონდენტების სამივე ჯგუფი ერთსა და იმავე კვლევითი ინსტრუმენტით გამოიკითხა. 2016 წლის საბაზისო კვლევისგან განსხვავებით, 2019 წლის კვლევას თვისებრივ ნაწილში ერთი ახალი თემა დაემატა - მედიაცია. ასევე, ადვოკატებს დამატებით რამდენიმე კითხვა დაუსვეს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის შესახებ.

ფოკუს ჯგუფები ადვოკატებთან

2019 წლის 11-დან 27 მარტამდე პერიოდში ჩატარდა ოთხი ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან თბილისში, რუსთავეში, ახალციხესა და ბათუმში (თითო ფოკუს ჯგუფი თითო ქალაქში). ჯგუფები შედგებოდა კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისგან (საშუალოდ, 6 მონაწილე თითო ჯგუფში). მონაწილეები CRRC-საქართველოს ზედამხედველებმა და რეკრუტერებმა შეაგროვეს შესაბამის რეგიონებში. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა დისკუსიაში მონაწილეობისთვის მიიღეს მცირე წამახალისებელი საჩუქარი (შოკოლადის ნაკრები). ფოკუს ჯგუფების ვიდეო და აუდიო ჩანაწერები გაკეთდა და მათ საფუძველზე მომზადდა წერილობითი ტრანსკრიპტები.

სიღრმისეული ინტერვიუები მოსამართლეებთან და პროკურორებთან

კვლევის თვისებრივი კომპონენტი ფოკუს ჯგუფებთან ერთად ითვალისწინებდა სიღრმისეულ ინტერვიუებს მოსამართლეებთან და პროკურორებთან თბილისსა და კვლევისთვის საინტერესო სამ რეგიონში (აჭარაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში). რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმი იყო რეგიონში მუშაობის გამოცდილება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო და პროკურატურა დაეხმარა CRRC-საქართველოს რესპონდენტების შერჩევასა და ინტერვიუების დანიშვნაში.

მოსამართლეებთან სიღრმისეული ინტერვიუები 2019 წლის 12 აპრილიდან 3 მაისამდე პერიოდში ჩატარდა, ჯამში, შვიდი ინტერვიუ.¹⁵ პროკურორებთან სიღრმისეული ინტერვიუები 2019 წლის 12-19 აპრილს ჩატარდა, გამოიკითხა რვა პროკურორი. მოსამართლეებისა და პროკურორების ინტერვიუების აუდიო ჩანაწერი გაკეთდა და შემდგომში ამის საფუძველზე წერილობითი ტრანსკრიპტები მომზადდა.

¹⁵ თბილისში ჩატარდა მხოლოდ ერთი ინტერვიუ მოსამართლეთა გადატვირთული გრაფიკისა და კვლევის სავსე სამუშაოების ჩატარების პერიოდის გარკვეული შეზღუდულობის გამო.

დანართი 2 - იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების კვლევის საფუძველზე შედგენილი ინდიკატორები

2016 წლისა და 2019 წლის კვლევის შედეგების შედარების მიზნით, გამოყენებულია იგივე ინდიკატორები, რაც 2016 წელს გამოვიყენეთ.

(1) პროცენტული მაჩვენებელი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა, რომლებიც თვლიან, რომ სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსია

ამ ინდიკატორისთვის სასამართლოში მხარეთა ეფექტური ბალანსის შეფასებას ცალ-ცალკე ვითვლით სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებისთვის.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების შეფასებების მაჩვენებლის გამოთვლისას იმ კანონების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს სისხლის სამართლის პრაქტიკაზე, გავერთიანეთ სამი კითხვის პასუხები. დადებითი შეფასებები 1-ელ კითხვაზე, რომელიც ეხება სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფას და მე-3 და მე-4 კითხვებში თანხმობა იმაზე, რომ დაცვის და ბრალდების მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ, მოიპოვონ მტკიცებულებები და ასევე თანაბრად მიუწვდებათ ხელი ერთმანეთის მტკიცებულებებზე. ამ სამ კითხვაზე მიღებული დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებლები გასაშუალოებულია და წარმოდგენილია ცალ-ცალკე რესპონდენტების ტიპის მიხედვით.¹⁶ მაგალითად, მოსამართლეების შემთხვევაში იმ კანონების შეფასების მაჩვენებლის გამოთვლისას, რომლებიც გავლენას ახდენს სისხლის სამართლის პრაქტიკაზე, თუ 91%-მა აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა „სრულად“ ან „ძირითადად“ უზრუნველყოფდა მხარეთა თანასწორობას (კ1), ხოლო მტკიცებულებებთან დაკავშირებით 23%-მა უპასუხა, რომ სისხლის სამართლის საქმეებში ორივე მხარეს მტკიცებულებების მოპოვების თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდა (კ3), 93%-მა უპასუხა, რომ ორივე მხარეს ერთნაირად მიუწვდებოდა ხელი მეორე მხარის მტკიცებულებებზე (კ4), საშუალო დადებითი 58%-იანი მაჩვენებლით. კანონების 91%-იანი და მტკიცებულების მოპოვების უნარის 58%-იანი შეფასების საფუძველზე გამოვიყვანეთ საშუალო შეფასება 75%.

იმის შესაფასებლად, თუ რამდენადაა დაცული მხარეთა თანასწორობა სისხლის სამართლის პრაქტიკაში, გამოვიყენეთ ზემოთ აღწერილი მიდგომა მე-2 კითხვაზე გაცემული დადებითი პასუხებისა და მე-3 და მე-4 კითხვების განცხადებებზე (რომ მხარეებს მტკიცებულებების მოპოვების თანაბარი შესაძლებლობა და თანაბარი წვდომა აქვთ ერთმანეთის მტკიცებულებებზე) თანხმობის საშუალო მაჩვენებლის გამოყვანით.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების წილი, ვინც სისხლის სამართლის სფეროში (კანონმდებლობასა და პრაქტიკაში) მხარეთა თანასწორობის შესახებ დადებით შეფასებებს აკეთებს მოცემულია ქვევით, 1-ლ ცხრილში:

ცხრილი 1: მხარეთა თანასწორობის შეფასება სისხლის სამართლის სფეროში

¹⁶ ამ და ყველა სხვა ინდიკატორის გამოთვლაში ის რესპონდენტები, ვინც კითხვებს უპასუხა „არ ვიცი“ ან უპასუხოდ დატოვა კითხვები, გამოთვლიდან გამოტოვებულია. სპეციალური შენიშვნაა გაკეთებული იმ შემთხვევაში, როცა პასუხის გაუცემლობის მაჩვენებელი 20%-ს აჭარბებს.

(დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

	მოსამართლე- ები 2016	მოსამართლე- ები 2019	ადვოკატე-ბი 2016	ადვოკატე-ბი 2019	პროკურო- რები 2016	პროკურო- რები 2019
სისხლის სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას + კითხვები მტკიცებულებების შესახებ	75% (65)	89% (60)	46% (126)	47% (91)	86% (87)	84% (103)
მხარეთა თანასწორობა დაცულია პრაქტიკაში + კითხვები მტკიცებულებების შესახებ	75% (64)	89% (62)	46% (123)	49% (90)	85% (86)	83% (102)

ჩვენ ასევე ვითვლით იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების შეფასებას სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში მხარეთა თანასწორობის შესახებ როგორც კანონმდებლობის დონეზე, ასევე პრაქტიკაში. სამოქალაქო სამართლის სფეროს შეფასებები ეფუძნება დადებით შეფასებებს მე-5 კითხვაზე (რამდენად უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას) და მე-6 კითხვაზე (რამდენად დაცულია მხარეთა თანასწორობა სამოქალაქო საქმეების სასამართლო პროცესებზე). ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შეფასებები მსგავსად ეფუძნება დადებით შეფასებებს თითო-თითო კითხვაზე კანონმდებლობის მიერ მხარეთა თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფის შესახებ (კ8) და მის დაცვაზე პრაქტიკაში (კ9).

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების წილი 1-ლი ინდიკატორის ამ ნაწილისთვის შეჯამებულია ქვემოთ მე-2 ცხრილში:

ცხრილი 2: მხარეთა თანასწორობის შეფასება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში
(დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

	მოსამართლე- ები 2016	მოსამართლე- ები 2019	ადვოკატე-ბი 2016	ადვოკატე-ბი 2019	პროკურორე- ბი 2016	პროკურორე- ბი 2019
სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას	100% (101)	100% (69)	93% (279)	90% (170)	100%* (53)	98%* (48)
მხარეთა თანასწორობა დაცულია სამოქალაქო საქმეების სასამართლო პროცესებზე	100% (101)	100% (71)	92% (270)	90% (166)	100%* (48)	97%* (38)
მხარეთა თანასწორობა დაცულია სამოქალაქო საქმეების სასამართლო პროცესებზე	97% (94)	100% (69)	78% (277)	79% (151)	96%* (51)	98%* (45)
მხარეთა თანასწორობა დაცულია ადმინისტრაციულ ი სამართლის სასამართლო პროცესებზე	99% (92)	100% (70)	78% (270)	73% (140)	94%* (50)	97%* (38)

**რესპონდენტთა წილი, რომლებმაც უპასუხეს „არ ვიცი“ ან თავი შეიკავეს პასუხის გაცემისგან, 20%-ს აღემატება.*

(2) პროცენტული მაჩვენებელი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა, რომლებიც თვლიან, რომ მოქალაქეებს აქვთ მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობა

ამ ინდიკატორისთვის ჩვენ ვითვლით დადებითი პასუხების წილს რვა სხვადასხვა კითხვაზე: ოთხი კითხვა ეხება უმცირესობათა ჯგუფებისა და არაუმცირესობათა ჯგუფების მიმართ მოპყრობას სასამართლოს, პროკურატურის, იურიდიული დახმარების სამსახურისა და პოლიციის მხრიდან (კ10, 11, 12, 13); ერთი კითხვა ეხება უმცირესობებისა და მათი შესაბამისი არაუმცირესობების უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას სასამართლოს მიერ (კ14); და ორი კითხვა ეხება კერძო ადვოკატებისა (კ18) და სასამართლო ხარჯების (კ19) ფინანსურ ხელმისაწვდომობას. პასუხები დაჯგუფებულია სამ კომპონენტად: მოპყრობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია და ხელმისაწვდომობა.

მართლმსაჯულების სისტემით სარგებლობის საერთო მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოვიყვანეთ დადებითი შეფასებების საშუალო კითხვების თითოეული კატეგორიისთვის. საშუალო მაჩვენებელზე ზევით პასუხები ჩაითვალა დადებით შეფასებად. მე-3 ცხრილში შეჯამებულია შედეგები:

**ცხრილი 3. მართლმსაჯულების სისტემასთან წვდომის შეფასება
(დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)**

	მოსამართლე- ები 2016	მოსამართლე- ები 2019	ადვოკატე- ბი 2016	ადვოკატე- ბი 2019	პროკურორე- ბი 2016	პროკურორე- ბი 2019
მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების საშუალო მაჩვენებელი	82% (107)	93% (75)	56% (304)	61% (123)	79% (99)	82% (96)
თანასწორი მოპყრობა	97% (108)	100% (81)	63% (309)	73% (151)	96% (102)	99% (121)
უდანაშაულობის პრეზუმფცია	98% (105)	100% (81)	80% (295)	90% (177)	97% (102)	100% (119)
ხელმისაწვდომობა	52% (108)	78% (63)	26% (309)	20% (42)	45% (93)	47% (47)

(3) პროცენტული მაჩვენებელი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა, რომლებიც იურიდიული განათლების ხარისხს საბაზრო მოთხოვნის შესაბამისად მიიჩნევენ

ამ ინდიკატორის გამოსათვლელად ვიყენებთ სამ კითხვას უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და სპეციალიზებული საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მათი მზადყოფნის შესახებ. ინდიკატორი ცალ-ცალკე ითვლის მაჩვენებელს თეორიული იურიდიული განათლებისა და პრაქტიკული უნარების შესახებ. თეორიული ცოდნის ინდექსის გამოსათვლელად დადებით შეფასებად ჩათვლილია პასუხები, რომლებიც 5-ბალიან სკალაზე მიღებული პასუხების საშუალო წერტილზე ზევითაა. პრაქტიკული ცოდნის შეფასება ხდება ერთი კითხვით (კ20_2). შედეგები შეჯამებულია მე-4 ცხრილში:

ცხრილი 4. იურიდიული განათლების ხარისხის შეფასება

(დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

	%	13.6%	55.6%	16.0%	0.0%	1.2%	13.6%	0.0%	100.0%
ადვოკატი	რაოდენობა	20	65	20	3	0	1	0	109
	%	18.3%	59.6%	18.3%	2.8%	0.0%	.9%	0.0%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	რაოდენობა	3	18	14	6	0	0	0	41
	%	7.3%	43.9%	34.1%	14.6%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების	რაოდენობა	7	32	16	1	1	0	0	57

სამსახურის ადვოკატი									
	%	12.3%	56.1%	28.1%	1.8%	1.8%	0.0%	0.0%	100.0%
პროკურორი	რაოდენობა	14	51	34	2	2	14	5	122
	%	11.5%	41.8%	27.9%	1.6%	1.6%	11.5%	4.1%	100.0%

25_9. ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით თითოეული სტრუქტურის საქმიანობას? - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია

		ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად	ძალიან ცუდად	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	რაოდენობა	5	25	9	3	1	38	0	81
	%	6.2%	30.9%	11.1%	3.7%	1.2%	46.9%	0.0%	100.0%
ადვოკატი	რაოდენობა	18	63	17	2	2	7	0	109
	%	16.5%	57.8%	15.6%	1.8%	1.8%	6.4%	0.0%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	რაოდენობა	3	16	16	2	0	4	0	41
	%	7.3%	39.0%	39.0%	4.9%	0.0%	9.8%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	რაოდენობა	5	33	13	1	1	2	2	57
	%	8.8%	57.9%	22.8%	1.8%	1.8%	3.5%	3.5%	100.0%
პროკურორი	რაოდენობა	7	23	17	11	4	49	11	122
	%	5.7%	18.9%	13.9%	9.0%	3.3%	40.2%	9.0%	100.0%

25_10. ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით თითოეული სტრუქტურის საქმიანობას? - საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია									
		ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად	ძალიან ცუდად	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	რაოდენობა	61	19	1	0	0	0	0	81
	%	75.3%	23.5%	1.2%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%
ადვოკატი	რაოდენობა	3	25	33	8	0	40	0	109
	%	2.8%	22.9%	30.3%	7.3%	0.0%	36.7%	0.0%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	რაოდენობა	1	1	17	8	2	12	0	41
	%	2.4%	2.4%	41.5%	19.5%	4.9%	29.3%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	რაოდენობა	2	21	14	3	1	14	2	57
	%	3.5%	36.8%	24.6%	5.3%	1.8%	24.6%	3.5%	100.0%
პროკურორი	რაოდენობა	9	32	12	3	4	51	11	122
	%	7.4%	26.2%	9.8%	2.5%	3.3%	41.8%	9.0%	100.0%

25_11. ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით თითოეული სტრუქტურის საქმიანობას? - მოსამართლეთა ასოციაცია „ერთობა“									
		ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად	ძალიან ცუდად	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	რაოდენობა	4	11	3	3	1	59	0	81
	%	4.9%	13.6%	3.7%	3.7%	1.2%	72.8%	0.0%	100.0%
ადვოკატი	რაოდენობა	2	8	16	5	2	76	0	109
	%	1.8%	7.3%	14.7%	4.6%	1.8%	69.7%	0.0%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	რაოდენობა	0	5	11	1	2	22	0	41
	%	0.0%	12.2%	26.8%	2.4%	4.9%	53.7%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების	რაოდენობა	1	4	8	1	0	41	2	57

სამსახურის ადვოკატი									
	%	1.8%	7.0%	14.0%	1.8%	0.0%	71.9%	3.5%	100.0%
პროკურორი	რაოდენობა	6	17	9	1	3	74	12	122
	%	4.9%	13.9%	7.4%	.8%	2.5%	60.7%	9.8%	100.0%

25_12. ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით თითოეული სტრუქტურის საქმიანობას? - დამოუკიდებელი ინსპექტორი									
		ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად	ძალიან ცუდად	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	რაოდენობა	55	23	0	0	0	3	0	81
	%	67.9%	28.4%	0.0%	0.0%	0.0%	3.7%	0.0%	100.0%
ადვოკატი	რაოდენობა	2	17	14	8	2	66	0	109
	%	1.8%	15.6%	12.8%	7.3%	1.8%	60.6%	0.0%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	რაოდენობა	2	6	15	5	3	10	0	41
	%	4.9%	14.6%	36.6%	12.2%	7.3%	24.4%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	რაოდენობა	1	13	14	1	1	25	2	57
	%	1.8%	22.8%	24.6%	1.8%	1.8%	43.9%	3.5%	100.0%
პროკურორი	რაოდენობა	12	33	13	2	1	48	13	122
	%	9.8%	27.0%	10.7%	1.6%	.8%	39.3%	10.7%	100.0%

25_13. ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით თითოეული სტრუქტურის საქმიანობას? - მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია									
		ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად	ძალიან ცუდად	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	რაოდენობა	54	24	1	0	0	2	0	81
	%	66.7%	29.6%	1.2%	0.0%	0.0%	2.5%	0.0%	100.0%
ადვოკატი	რაოდენობა	2	19	30	10	6	42	0	109
	%	1.8%	17.4%	27.5%	9.2%	5.5%	38.5%	0.0%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	რაოდენობა	1	0	13	14	5	8	0	41
	%	2.4%	0.0%	31.7%	34.1%	12.2%	19.5%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	რაოდენობა	1	12	19	4	1	18	2	57
	%	1.8%	21.1%	33.3%	7.0%	1.8%	31.6%	3.5%	100.0%
პროკურორი	რაოდენობა	6	23	16	0	4	62	11	122
	%	4.9%	18.9%	13.1%	0.0%	3.3%	50.8%	9.0%	100.0%

დანართი 4 - ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების მიმოხილვა

კვლევის თვისებრივი კომპონენტი მოიცავდა ფოკუს ჯგუფებს ადვოკატებთან (ადვოკატების შერეული ჯგუფები: კერძო ადვოკატები, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები) თბილისში, რუსთავში, ახალციხესა და ბათუმში (ერთი ფოკუს ჯგუფი თითო ქალაქში). ასევე, სიღრმისეულ ინტერვიუებს მოსამართლეებთან (7) და პროკურორებთან (8) იმავე ქალაქებში. მეოთხე დანართში წარმოდგენილია თვისებრივი კომპონენტის შედეგების დეტალური მიმოხილვა. ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუების დროს გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები გამყარებულია ციტატებით.

საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის სფეროები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს

ადვოკატებმა ოთხივე ქალაქში სასამართლოების გადატვირთულობა და საქმეთა გადაწყვეტისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობა დაასახელეს მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ მთავარ გამოწვევებად. თბილისის ფოკუს ჯგუფის მონაწილე ადვოკატთა აზრით, საქმეები ზოგჯერ გაჭიანურებულია გამოძიების ხარვეზების გამო, ზოგჯერ მოსამართლეთა გადატვირთულობის გამო, რომლებიც დროის მოსაგებად ართულებენ სასამართლოში სარჩელის შეტანის პროცესს (უკან აბრუნებენ სარჩელს რაიმე ხარვეზის გამო და შეიძლება, ეს რამდენჯერმე განმეორდეს). ბათუმში ადვოკატების თქმით, მათ იციან, რომ მოსამართლეებს ასობით საქმე აქვთ და ეს გადაწყვეტილებების ხარისხზე აისახება. რამდენიმე ქალაქში ადვოკატებმა ახსენეს, რომ საქმეთა არაეფექტური გადაწყვეტა არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოების პრობლემაა, არამედ უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოების პრობლემა, რასაც ისიც ემატება, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევა ცალკე სირთულეს წარმოადგენს. ბათუმში ორმა ადვოკატმა გაიხსენა ბანკების მიერ სასამართლოში წამოწყებული კონკრეტული საქმეები, რომლებიც სასამართლოსთვის პრიორიტეტი აღმოჩნდა და მათი განხილვა დროულად მოხდა.

ბათუმში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელმა ორმა ადვოკატმა საინტერესო მოსაზრება გამოთქვა სასამართლოში საქმეთა გადატვირთულობასთან და მოსამართლეთა რაოდენობის სიმცირესთან დაკავშირებით. მათი აზრით, ეს ხელოვნურადაა შექმნილი და ამაზე პასუხისმგებელი იუსტიციის უმაღლესი საბჭოა. სასამართლო სისტემის გარეთ მყოფი ხალხისთვის, მაგალითად, მაღალკვალიფიციური იურისტებისთვის, ადვოკატებისთვის, სასამართლოსა და პროკურატურის სისტემაში არმომუშავე პროფესიონალებისთვის ძალიან რთულია სისტემაში შესვლა. არიან ადვოკატი, ვისაც უნდათ, გახდნენ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები და შემდეგ მოსამართლეები, მაგრამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ სურს, სისტემაში შეუშვას ადამიანები, ვინც მათი წრიდან არ არიან.

ადვოკატებმა თბილისში „ცუდი კანონები“ დაასახელეს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად. თუმცა, უფრო ხშირად ადვოკატები ოთხივე ქალაქში ჩიოდნენ ერთიანი პრაქტიკის არარსებობის გამო, როცა მოსამართლეები კანონებს განსხვავებულად განმარტავენ და მსგავს საქმეებზე განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოდის. ეს პრობლემაც მხოლოდ პირველ ინსტანციაზე არ დგას და როგორც სააპელაციო სასამართლოებში, ასევე უზენაეს სასამართლოშიც გვხვდება. ბათუმში ადვოკატებმა თქვეს, რომ მათთვის ძალიან პრობლემურია, რომ არ შეუძლიათ საქმის პერსპექტივის განჭვრეტა და ხშირად სასამართლოს გადაწყვეტილება იმაზეა დამოკიდებული, რომელ მოსამართლეს დაეწერება ეს საქმე.

თბილისში ადვოკატებმა ახსენეს, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხი ბოლო წლების მანძილზე გაიზარდა. თუმცა, მაინც არ არის ბალანსი მათ დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის, რადგან მოსამართლეები ძალიან იშვიათად აგებენ პასუხს, თუკი უფლებამოსილებას გადააჭარბებენ. რუსთავში ადვოკატებმა ეთიკური საკითხები დაასახელეს საქართველოს მართლმსაჯულების სისტემისთვის მიმდინარე გამოწვევად და თქვეს, რომ სასამართლოებში ეთიკის საკითხებს ყურადღება არ ექცევა და ასეთი მაღალი დონის სახელმწიფო ინსტიტუტის იმიჯზე უარყოფითად აისახება, როცა მოსამართლეები არაეთიკურად იქცევიან. ახალციხეში ადვოკატებმა ახსენეს, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველოს სასამართლო სისტემაში გაუმჯობესების ტენდენცია შეინიშნებოდა, თუმცა, მიმდინარე პერიოდში ეს ტენდენცია გაუარესების ტენდენციამ ჩაანაცვლა.

ახალციხეში ადვოკატებმა მართლმსაჯულების სისტემის გამოწვევად სხვა ფოკუს ჯგუფების მონაწილეთაგან განსხვავებული საკითხი დაასახელეს - სასამართლოს მიკერძოება სახელმწიფოს მიმართ, მოსამართლეების მიმხრობა სახელმწიფოს წარმომადგენლის მიმართ ადმინისტრაციულ საქმეებში ან სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდების მხარის (პროკურატურის) მიმართ.

- „შარშანწინ მეონდა იუბილე, ინტერვიუ იყო ერთ-ერთი ტელევიზიაში. ათი წელი შეუსრულდა დავას, ადმინისტრაციულ დავას, 28 კვადრატის საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და ვიყავით პირველ ინსტანციაში, ის საქმე უკვე მეორე ინსტანციაშია. სისხლის სამართლის საქმეზე შეიძლება, გაიწელოს პროცესი, გამოძიებას ხო საერთოდ, სასწაული, შვიდი, რვა, ცხრა წელი განაჩენი არა გვაქვს, წარმოგიდგენიათ? გამოძიება წლები გრძელდება, როდესაც, ალბათ, ერთი თუ ორი თვე არის ამისთვის საჭირო.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „შენ რო, ვთქვამთ, დაწერ ხუთ გვერდს, რაღაც არგუმენტები მოგყავს და იქ გაპასუხობს სმს-ის სტილში, რომ თქვენი შუამდგომლობა უსაფუძვლოა... სამოქალაქო სამართალში ვინ არ იცის, რომ ერთ მოსამართლეს სამი ათასი საქმე ეწერება, იმან რა უნდა ქნას?... მოსამართლეს, რომელსაც ორი და სამი ათასი საქმე აწერია, ის იძულებულია პინგპონგი ითამაშოს სარჩელებით, თქვენ წარმოგიდგენიათ?... ვთქვამთ, ესეთი კურორტები, მოპასუხის ფაქსის

მიუთითებლობის გამო, სარჩელი წარმოებაში არ მიიღო მოსამართლემ.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

- „შიდლება ეს არის გადატვირთულობის ფონზე... დასაბუთებულობის კონტექსტში არის ძალიან ცუდი გადაწყვეტილებები.“ (საიას ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „მართლა ძალიან ბევრი საქმეები აქვთ მოსამართლეებს ყველა მიმართულებით, ძალიან ბევრი, განსაკუთრებით აპელაციაში და კასაციაშიც იმიტომ, რომ უზენაესში ვაკანსიებია იმდენი, რომ პრაქტიკულად დასანიშნია ხალხი და ვერ ნიშნავენ. ეს კიდევ ცალკე პრობლემაა, მოსამართლეთა დანიშვნის პრობლემა, ანუ საბჭოს პრობლემა და იქ რაღაცა სხვადასხვა.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 15-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „თუ შეაქვს სარჩელი ბანკს ან რაიმე ორგანიზაციას, ის საბუთებს სამ თვეზე მეტს არ გადააღწევს და თუ კერძო პირს შეაქვს, მაშინ არის პრობლემა და იწელება. თუ ბანკებს შეაქვს, მე შეხება მქონდა და თვითონაც დავრჩი გაკვირვებული, საქმე არ იყო მისული და უცებ დაინიშნა სასამართლო. რა თქმა უნდა, უფრო მარტივი საქმეებიც არის და მარტივად ჩანს თეთრი და შავი, მაგრამ არის უფრო მარტივი საქმეებიც, მაგრამ ის იწელება.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „სასამართლო გადატვირთულობა არის ხელოვნურად შექმნილი და ამაზე სწორედ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ბუნებრივია, ნუ, საკანონმდებლო ორგანოსთან ერთად.“ (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ხელოვნურად არის შექმნილი იმიტომ, რომ სასამართლო სისტემაში გარე კადრი, როგორც არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი, ადვოკატი, ან სხვა სფეროს წარმომადგენელი, რომელიც არ არის სისტემაში ნამუშევარი ან ყოფილი მოსამართლე ან თანაშემწე, ან პროკურორი, ამ სისტემაში შეღწევა თითქმის ამ პიროვნებებისთვის არის წარმოუდგენელი... ძალიან ბევრი არის მსურველი, რომ ჩააბაროს იუსტიციის სკოლაში, შემდეგ გამწესდეს მოსამართლედ, მიიღოს კონკურსში მონაწილეობა, მაგრამ არ არსებობს სახელმწიფოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნება ამ მიმართულებით, რომ იმ მოქალაქეს, რომელიც დაახლოებული პირი არ არის, ან დაუშვან არ უწევს რეკომენდაციას ამ პირს, ჩვეულებრივი მოქალაქისთვის, რომელიც თუნდაც ძალიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე უნდა იყოს, თუნდაც წლების განმავლობაში ჰქონდეს გარკვეული სახის გამოცდილება, კარგი რეპუტაცია, ასეთ მოქალაქეს არ აქვს რეალურად საშუალება, რომ სისტემაში შევიდეს. (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

- „ცუდი კანონები. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ბევრი კანონი, გინდა ადმინისტრაციული იყოს, გინდაც სამოქალაქო, გინდაც სისხლის სამართალი, ძალიან დიდ ხარვეზებს ქმნის, პრობლემებს ქმნის.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „ძალიან პრობლემატურია, როცა შენ პერსპექტივაში არ შეგიძლია განჭვრიტო, ამ საქმეს რა შედეგი შეიძლება, ჰქონდეს. ძალიან ბევრია საქმე, რომელზეც არსებობს სასამართლოს პრაქტიკა. თუმცა, შეიძლება რაღაცები შეიცვალოს და იქ სხვა კოლეგიას დაეწეროს და ამან აბსოლუტურად გადაატრიალოს ყველაფერი.“ (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „არ შეიძლება, ადვოკატი ხარ, მიდიოდე პროცესზე და, აბა, ვის დაეწერება, რომელ მოსამართლეს და ნატურობდეს, რომ იქნებ ამას იმიტომ, რომ იქნებ ამასთან უფრო მეტი შანსი მაქვს სასურველი შედეგის მიღწევის. ეს პრობლემა არის იმიტომ, რომ კანონს სხვადასხვა მოსამართლეები სხვადასხვანაირად განმარტავენ.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 19-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „ნაწილი მოსამართლეების დღეს ისეთ გადაწყვეტილებას წერენ, რომ არ ვიცი, საერთოდ შეიძლება, სამართლის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდეს და კონკრეტული საქმეებიც შემიძლია, დავისახელოთ. მთელი მსოფლიო როდესაც მიდის იმისკენ, რომ პრეცედენტული სამართალით იხელმძღვანელოს, წარსული გამოცდილება გამოიყენოს, მაგალითად, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა დანერგოს ქვემდგომ ინსტანციებში, დღეს არათუ ერთიანად შეჯერებული სასამართლო სისტემა, არათუ იმ პირველ ინსტანციაში ვხვდებით სხვადასხვა გადაწყვეტილებებს, არამედ უზენაეს სასამართლოშიც კი, თუნდაც ერთთვისანი შუალედებით თქვენ შეგიძლიათ, ნახოთ სხვადასხვა განმარტებები.“ (საიას ადვოკატი, კაცი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი)
- „ეთიკის საკითხები რატომღაც არ არის წინ წამოწეული და არავინ არ ფიქრობს, რომ ეს არის მნიშვნელოვანი, არადა ეს არის საწყისი, როდესაც სახელმწიფოზე ვსაუბრობთ და სახელმწიფოს ასეთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ასეთ არაეთიკურ დამოკიდებულებას იჩენს, ცინიკურ დამოკიდებულებას იჩენს მხარეების მიმართ, ეს ჩრდილს აყენებს მთლიან სისტემას.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 1-წლიანი გამოცდილება რუსთავი)
- „მოსამართლის დამოუკიდებლობის ხარისხი ძალიან მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. აღარ არის ისე მიზმიული შნურით პროკურატურაზე, როგორც ადრე იყო... უბრალოდ, ბალანსია დაკარგული მოსამართლის დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის. ანუ პრაქტიკულად მოსამართლემ რომ რაღაცა დისციპლინარული გადაცდომა ჩაიდინოს, შენ მიმართე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო აბსოლუტურად მკვდარი ორგანოა

ამ კუთხით, არ იხილავს.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 15-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

- „უკუსვლა დაიწყო ამ ყველაფერმა, არ ვიცი, რის გამო. ვილაცას გაურიგდნენ, გამოურიგდნენ თუ რა ქნეს. კომუნიკაცია დაამყარეს ერთმანეთთან თუ რა ქნეს, რა ვიცი, ეხლა შეიძლება, ვიმარჩიელოთ, მაგრამ ფაქტი არის, რო ეს პროცესები უკან წავიდა. მთლად ისეც არ არის, რო, აი, გინდა თუ არა, დაუსაბუთებელი რაღაცა მიუტანოს და არიქა, დაუსაბუთებელი იმის მხარეს გადაწყვიტოს, მაგრამ აი, რო ემხრობა, იმის პოზიციას რო უფრო იზიარებს, მოლოდინი რომ აქვს, რომ იქნებ კარგად დაასაბუთოს, რომ დავაკმაყოფილო. აი. ასეთი მოლოდინები რომ არის, ეს, რა თქმა უნდა, გამოჩნდა და ეს პრობლემაა.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „სასამართლო დღესდღეობითაც ასეა, რო ძალიან ხშირად იხრება სახელმწიფოს მხარეს. აი, მიმართულება არის ისეთი, რომ რაღაცნაირად, ვინაიდან სახელმწიფოა, არ ვიცი, შეიძლება, იმათგან ძალას გრძნობს და ამიტოვ არის ეს, მაგრამ, აი, მუდმივად არის მცდელობა იქითკენ, რომ როგორმე იმის მხარეს იყოს და არა დაცვის მხარეს.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „როდესაც მხარე არის კერძო პირი, მხარე არის ფიზიკური პირი და მეორე მხარეს გყავს სახელმწიფო, როგორც მხარე, მოსამართლეების არ ვიცი, შინაგანი რწმენა ფორმირდება ესე თუ რაღაცა ის ფაქტორი, რომ მერე სადღაც ვილაცამ თითი არ დაუქნიოს, თუ სხვა. განწყობა არის უკვე, ერთით ნოლიდან ვიწყებთ თამაშს.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

ადვოკატებმა უმეტესად პრობლემები და გამოწვევები დაასახელეს და ნაკლებად იმსჯელეს მათი გაუმჯობესების გზებზე. დასახელებული გზიდან ერთ-ერთი თბილისის ჯგუფში გაჟღერდა: საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გაუმჯობესებისთვის ამ შეთანხმებაში მოსამართლეების როლის გაზრდა. თბილისში ერთ-ერთმა ადვოკატმა ასევე ახსენა, რომ თუკი მოსამართლეებს ექნებათ ალტერნატიული სასჯელების დაკისრების საშუალება, საპროცესო შეთანხმება უკეთესად იმუშავებს და საქმეთა გადაწყვეტა უფრო სწრაფად მოხდება. რაც შეეხება პირებსა და ინსტიტუციებს, ვინც მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზებისა და გამოწვევების გაუმჯობესებაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი, თბილისში ადვოკატებმა დაასახელეს ხელისუფლების წარმომადგენლები და პარლამენტი (საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით), რადგანაც, მათი ნაწილის აზრით, პრობლემების მოგვარება უმეტესად პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. რუსთავში ადვოკატებმა ზოგადად სახელმწიფო დაასახელეს პასუხისმგებელ პირად, ასევე იუსტიციის სამინისტრო და იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

- „მოსამართლის უფლებამოსილება არის გასაზრდელი, ნოტარიუსი მოსამართლეები... საპროცესო შეთანხმების უფლება უნდა მიეცეს ასევე სასამართლოს.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „როცა მოსამართლეს ბევრი საქმე აქვს, ზოგჯერ ყოფილა შემთხვევები, რომ საერთოდ შინაარსიც კი არ იცის მოსამართლემ, ისე ჩამოდის და ერთი სული აქვს, თუ საპროცესოა, უცებ დაამტკიცებს, თუ მოუწევს არსებითი განხილვა, უკვე გაეცნობა დეტალურად და ასე შემდეგ და დებს, დებს, იწელება ეს დრო, სანამ მაქსიმალურ ვადას არ გამოიყენებს. რატომ? იმიტომ, რომ გადატვირთულია და ამის დრო უბრალოდ ფიზიკურად არ აქვს. რომ გაიზარდოს მოსამართლის უფლებამოსილება, ჰქონდეს უფლება, გამოიყენოს ალტერნატიული სასჯელები, არც ეს საპროცესო ესეთი არ იქნება, მართლა მახინჯური ფორმა მიიღო.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 19-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „პოლიტიკური ნება, პირდაპირ ვიტყვი, რომ ფორმალური მმართველი ვინც არის, იმისი და სამართლებრივად, ალბათ, პარლამენტი და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „სახელმწიფო, იუსტიციის სამინისტრო.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 24-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „ვინ არი ამათი მაკონტროლებელი ორგანო, იუსტიციის სამინისტრო და მერე იუსტიციის საბჭო.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 30-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

მოსამართლეებმა მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ასევე გადატვირთულობა დაასახელეს. ამას განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი ბათუმის მოსამართლეებმა. მათი თქმით, იმის გამო, რომ თითოეულ მოსამართლეს ძალიან ბევრი საქმე აწერია, არასამუშაო საათებშიც უწევთ მუშაობა და ყველანაირი ძალისხმევის გაწევა, რომ ვადებში ჩაეტიონ. მიუხედავად ამისა, ეს ყოველთვის არ გამოდის და გაჭიანურებული საქმეები ყველა მხარის უკმაყოფილებას იწვევს.

რამდენიმე მოსამართლემ მთავარ პრობლემად სასამართლოს თანამშრომლებისა და მოსამართლეების კვალიფიკაცია დაასახელა. თანამედროვეობის მოთხოვნები სასამართლოს მთელ რიგ გამოწვევებს უყენებს, რასაც მოგვარება სჭირდება. ერთმა მოსამართლემ ხაზი გაუსვა მხარეთა განათლების დონის ამაღლების საჭიროებას. ასევე, ახალციხეში ახსენეს, რომ 65 წლის მოსამართლეების პენსიაზე გაშვება არაგონივრულია, რადგანაც, სურვილის შემთხვევაში, კვალიფიციურ მოსამართლეებს შეუძლიათ სასამართლოსთვის სარგებლის მოტანა და 70 ან 75 წლამდე მუშაობა. ახალციხეში მოსამართლემ ასევე გამოთქვა წუხილი, რომ მოსამართლეებს სათანადო სოციალური გარანტიები არ აქვთ.

რუსთავში მოსამართლეებმა სხვადასხვა სახის პრობლემები დაასახელეს: პოლიციის კვალიფიკაცია და პატიმართა სასამართლო სხდომის დარბაზებში მოყვანა. რუსთავში 35-წლიანი გამოცდილების მქონე მოსამართლემ აღნიშნა, რომ პოლიციელებს ხშირად იურიდიული განათლება არ აქვთ და გადიან 3-თვიან პროგრამას, რომელიც სამართლებრივი ცოდნის მისაღებად საკმარისი არ არის და ეს იწვევს პრობლემებს როგორც გამოძიების, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. როგორც ჩანს, შედარებით ახალი პრობლემა რუსთავის სასამართლოსთვის სასამართლო სხდომაზე პატიმრების მოყვანაა, რაც ერთ-ერთი მოსამართლის თქმით, ტრანსპორტისა და ადამიანური რესურსების ნაკლებობის გამო ხდება.

- „რაოდენობის ზრდა აუცილებელია მოსამართლეების, აი, თუნდაც დღეს დატვირთვიდან გამომდინარე რაც არსებობს, კი უძლებს ამას მოსამართლეთა კორპუსი, ნამდვილად უძლებს და იტანს, ძალიან ღირსეულად. ჩემი კოლეგა, ნებისმიერი, ცდილობს და მეც, რა თქმა უნდა, მათ შორის, რომ არ დაეარღვიოთ არც კანონი, არც ვადა, არც რაღაც და ეს გვიჯდება ცოტა უფრო მეტი შრომის ფასად.“ (მოსამართლე, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 19-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „სამოქალაქო კუთხით, რასაც მე ვხედავ, ეს არის რაოდენობა. მართლაც ძალიან ბევრი გვაქვს სამოქალაქო საქმეები. ეს იწვევს კიდევ იმას, რომ ვადაში ვერ ვახერხებთ ამ საკითხის განხილვას, გადატვირთულია, რა თქმა უნდა, ეს იწვევს მხარეთა უკმაყოფილებას. ამ წუთში პირველ ეტაპზე, ალბათ, ეს უფრო დგას, გადატვირთულობა სასამართლო სისტემის. (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 14-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „კვალიფიციური კადრები, მე მხედველობაში მაქვს როგორც მოსამართლეები, ისე ტექნიკური პერსონალი, თანაშემწეები, მდივნები იმიტომ, რომ დღევანდელი მოთხოვნა უფრო რთული და მკაცრი მოთხოვნა არის.“ (მოსამართლე, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 35-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „მხარეების ცოდნის დონის ამაღლება.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 2-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „კვალიფიციური კადრების გადევნა ხდება სასამართლოდან, განსაკუთრებით მოსამართლეების. მოსამართლეს ვნიშნავთ უვადოდ და სამი თვის მერე საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ ვუშვებთ სახლში, სად არის ლოგიკა?... კვალიფიციურ მოსამართლეს შეუძლია 70-75 წლამდეც იმუშავოს.“ (მოსამართლე, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 35-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „მოსამართლეების სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები არის ნოლზე დაბალი, მიუხედავად იმისა, ერთი შეხედვით, ხელფასი კი ჟღერს, რიგითი მოსამართლის რომ არის 4000 ლარი, მაგრამ საპენსიო გარანტია არ არის, იქ სხვა რაღაც-რაღაცეები, რაც გასათვალისწინებელია.“ (მოსამართლე, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 35-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

- „ყველაზე მწვავე პრობლემა პოლიციას აქვს იმიტომ, რომ ძალიან ცუდი ტენდენციაა იმასთან დაკავშირებით, რომ ძალიან ბევრი იურისტები არიან, მაგრამ რატომღაც ინიშნებიან სხვა სპეციალობის მქონე პირები გამომძიებლებად, რომელთაც არანაირი შეხება კანონთან, სამართალთან არ ჰქონიათ, გარდა იმისა, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს და ეს, რა თქმა უნდა, აისახება გამოძიებაზე, აისახება იმაზე, რომ უფლებები ხშირად ირღვევა... 99 პროცენტი, რომელიც იურისტი არ არის, ისინი არღვევენ. იურისტები მეტად ფრთხილობენ და ეს გასაუმჯობესებელია. იცით რა, რაღაც სამთვიან [კურსს] გადიან და სამ თვეში იურისტი ვერასოდეს ვერ გახდება ადამიანი. საბაზისო ცოდნა სულ სხვაა. სამართლის ნორმა, სამართლის საფუძვლები თუ არ იცის, სამ თვეში ამას ვერ შეისწავლის, როგორც გინდა ვუნდერკინდი იყოს, მას ყოველთვის უჭირს პრაქტიკაში კანონის ზუსტად განხორციელება. კანონს ეკიდება ძლიან ზერელებდ, ტრაფარეტულად.“ (მოსამართლე, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 35-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „ხელს გვიშლის სასჯელადსრულების დაწესებულებიდან პატიმრების მოყვანა, მანდაც კადრები არ ყოფნით, ძალიან ხშირად პროცესები იშლება იმის გამო, რომ პატიმრები ვერ გადმოყავთ... რუსთავში გამოძიების ადგილის მიხედვით ძალიან ბევრი ქვემო ქართლის საქმეები შემოდის, ბოლნისიდან, დმანისიდან, პროკურორს რომ მოწმე მოყავს და ის დმანისის შორეული სოფლებიდანაა და თუნდაც მარნეულის სოფლებიდან, რომ სამი-ოთხი ტრანსპორტი სჭირდება, რომ რუსთავში ჩამოვიდეს. ის რომ ჩამოვა, დილის ექვს საათზე რომ ადგება, რომ თორმეტ საათზე რამენაირად აქ მოაღწიოს და ამ პერიოდში პატიმარი არ დახვდება, ეს მე ვფიქრობ, ძალიან დიდი სირთულეა. ძალიან ხშირად ჩაშლილა პროცესები იმის გამო, რომ მათ რესურსი არ ყოფნით და ვერ მოყავთ პატიმრები. ეს გვიშლის ხელს, სერიოზული პრობლემა გახდა ბოლო პერიოდში. ბოლო ერთი წელიწადია.“ (მოსამართლე, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 35-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

პროკურორებმა ოთხივე ქალაქში ხაზი გაუსვეს გამოძიების გაუმჯობესების საჭიროებას, როგორც გამომძიებლების კვალიფიკაციის, ასევე მათი რაოდენობის მხრივ. გამომძიებლების რაოდენობის გაზრდის საჭიროება პროკურორებმა ახალციხესა და ბათუმში დაასახელეს. ერთ-ერთმა პროკურორმა თბილისში დადებითად შეაფასა პოლიციაში საგამომძიებო და საოპერაციო განყოფილებების გაყოფა. მისი თქმით, როცა ეს ორი განყოფილება გაერთიანებული იყო, ერთსა და იმავე ადამიანებს უწევდათ 24-საათიან ცვლაში ოპერატიული სამუშაოს შესრულება და მომდევნო დღეს საქმეთა გამოძიებაზე მუშაობა, რაც მათთვის ძალიან დამძლეული იყო და მათი სამუშაოს ხარისხზეც აისახებოდა.

პროკურორებმა ასევე გამოწვევად დაასახელეს სასამართლოში მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა, რაც ხშირად ხელს უშლის მართლმსაჯულების დროულ განხორციელებას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა კანონმდებლობა ანიჭებს კონკრეტულ საქმეებს პრიორიტეტს სასამართლოში საქმეთა განხილვის პროცესში.

თბილისში პროკურორებმა სხვა პრობლემებიც დაასახელეს, მათ შორის მართლმსაჯულების ინსტიტუტებს, სასამართლოს, პროკურატურასა და გამომძიებას, განსაკუთრებით კი პროკურატურასა და გამომძიებას შორის კოორდინაციის ნაკლებობა. ასევე, დადებით კონტექსტში ახსენეს, რომ დაგეგმილია პროკურორებისა და გამომძიებლების ფუნქციების მკაფიო გაყოფა იმისთვის, რომ პროკურორები საქმეში მოგვიანებით ჩაერთონ და გამომძიებლებმა აიღონ სრული პასუხისმგებლობა მტკიცებულებების შეგროვებაზე. რუსთავეში პროკურორმა განაცხადა, რომ მართლმსაჯულების სისტემის მთავარ გამოწვევას რესურსები წარმოადგენს.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა იყოს არსებული პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი, პროკურორებმა ზოგადად დაასახელეს შესაბამისი ინსტიტუტების ხელმძღვანელები.

- *„ყველაზე პრობლემური საკითხი, მართლმსაჯულების დასაწყისიდან ბოლომდე, არის მაინც გამომძიება. კომპეტენცია, ძირითად შემთხვევაში, გამომძიებლების რაოდენობა, კომპეტენციაში ითვლება განათლება, რა თქმა უნდა, და იმის უნარი, რომ ამ ყველაფერს მიუდგე პროცესუალურად და ჩააჯინო კანონის ფარგლებში. იმოქმედო ისე, როგორც საჭიროა, ინდივიდუალურად, რა თქმა უნდა.“ (პროკურორი, კაცი, 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)*
- *„საგამომძიებო სამსახური, იმას უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, ჩვენი მოსაზრებით და, ალბათ, ლოგიკურადაც, ადამიანი, რომელიც საქმეს იძიებს, უმაღლესი იურიდიული განათლება უნდა ჰქონდეს, რომ იცოდეს, რას იძიებს, როგორ დანაშაულს იძიებს, რა კომპონენტებისგან შედგება და არა ორ და სამთვიანი კურსით აკეთებდეს ამას.“ (პროკურორი, ქალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი)*
- *„ყველაფერი იწყება იქიდან, როცა ურთიერთობას იწყებს საზოგადოება პოლიციასთან. ამაზე, სხვათა შორის, მიმდინარეობს მუშაობა და ძალიან კარგია და იხვეწება ეს სიტუაცია. არის პრობლემა რა, არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან საგამომძიებო ნაწილი და ოპერატიული სამსახური, იყო გაერთიანებული, ძალიან ბევრი წლის წინ იყო გამიჯნული, მერე ისევ გააერთიანეს და წლებია ოპერატიულ და საგამომძიებო მოქმედებებს ახორციელებს ერთი და იგივე ადამიანი. ამ შემთხვევაში ხარისხის დაცვა არის ძალიან რთული იმიტომ, რომ ადამიანი რომელიც 24 საათი ღამეს გაათევს, ის კვალიფიციურად საქმეს მეორე დღეს ვერ გამოიძიებს.“ (პროკურორი, ქალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი)*
- *„მართლმსაჯულების განხორციელებაში, გარდა პროკურატურისა და სასამართლო ორგანოსა, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს შსს-ს. ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია, შსს-ს გამომძიებლების როგორც კომპეტენციის გაზრდა, ასევე ადამიანური რესურსის გაზრდა იმ გადმოსახედიდან გამომდინარე, რომ უამრავი საქმეა ზოგადად, უამრავ საქმეზე იწყება გამომძიებები, შესაბამისად, ერთ გამომძიებელს აწერია 15-20 საქმე გამოსაძიებლად ერთ თვეში, რაც ფიზიკურად შეუძლებელია, რომ იყოს მაღალი ხარისხის.“ (პროკურორი, კაცი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)*

- „სასამართლოზე ვფიქრობ, რომ არის, დავუშვათ, ტექნიკური საკითხები, რომელიც პრობლემაა, იგივე დაგვიანების პრობლემა, მოსამართლეთა რაოდენობის პრობლემა და ასევე ვხვდები ხოლმე კვალიფიკაციის პრობლემებს. სამწუხაროდ, არის ესეთი პრობლემები.“ (პროკურორი, კაცი, 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „ვფიქრობ, რომ შესაძლებელია, დაემატოს მოსამართლეთა რაოდენობა, ვინაიდან ძალიან ბევრი საქმე აქვს თითოეულ მოსამართლეს. გარკვეულწილად პროცესების ჩანიშვნაც ხშირად დიდი დროით არის ერთმანეთისგან დაშორებული, რაც განაპირობებს იმას, რომ ვერ სრულდება სწრაფი მართლმსაჯულება. ისეთ საქმეებზეც კი, რომელიც პრიორიტეტულად უნდა განიხილოს სასამართლომ, სადაც აღმკვეთ ღონისძიებად აქვთ გამოყენებული, ვთქვათ, პატიმრობა, ან განიხილება არასრულწლოვნის ბრალდების საქმე.“ (პროკურორი, კაცი, 6-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა რაც არის, ეს არის კოორდინაცია, რომ მართლმსაჯულების ყველა სისტემამ იმუშავოს კოორდინირებულად. რა თქმა უნდა, აქ შედის სასამართლოც, თუმცა, სასამართლოს, პროკურატურას და პოლიციას შორის კოორდინირებულმა მუშაობამ არ უნდა გამოიწვიოს მთავარი პრინციპის დარღვევა, რაც არის შეჯიბრებითობის პრინციპი.“ (პროკურორი, კაცი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „კოორდინაცია, რომ უნდა იცოდეს პროკურორმა გამომძიებლის საქმიანობის შესახებ, ასევე გამომძიებელმა თავის მხრივ უნდა იცოდეს, რა პროდუქტი სჭირდება პროკურორს, რომ სასამართლოში მიიტანოს საქმე და არ უნდა ფიქრობდეს, თუნდაც სტატისტიკისთვის, რომ სტატისტიკაში გახსნილი დანაშაული ჩაეთვალოს და უნდა იფიქროს მტკიცებულებითი კუთხით, რომ მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც ბრალდების მხარეს შემდგომში გამოადგება სასამართლოში.“ (პროკურორი, კაცი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „პროკურორის და გამომძიებლის ფუნქცია ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული არ იყო, პრაქტიკულად პირველივე წუთიდან გამოძიებაში აქტიურად გვიწევდა ჩარევა, თუნდაც იმ კუთხით, რომ შუამდგომლობები ჩვენი სახელით შედიოდა და პრაქტიკულად გამოძიებაშიც იგივენაირად დატვირთული ვიყავით, როგორც პროცესზე და ეს, რა თქმა უნდა, უკვე რთული შესათავსებელი იყო იმიტომ, რომ ძალიან ბევრი საქმეა გამოძიებაში და დევნის დაწყებამდე იმდენ რაღაცაზე გვიწევდა კიდევ ზრუნვა გამოძიების პროცესზე გამომძიებელთან ერთად, პრაქტიკულად გამოძიებაც გვიწევდა საქმის, მერე საპროცესო ზედამხედველობა, მერე სასამართლოში მხარდაჭერა და ძან რთული იყო ამ ყველაფერის ხარისხიანად შესრულება. ეხლა ამ კუთხითაც მუშაობენ, რომ გამოძიების ფუნქციები, პროკურორის ფუნქციისგან იმიჯნება კიდევ უფრო მკვეთრად და პრაქტიკულად დევნის დაწყებამდე ჩვენ ნაკლები დოზით, ბევრად უფრო ნაკლები დოზით ვიქნებით ჩართულები.“ (პროკურორი, ქალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

- „მართლმსაჯულების სისტემა კომპლექსური რგოლია და ამაში შედის როგორც სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია, ასევე სოციალური სამსახური, იურიდიული დახმარების ბიურო და ყველა. ამ სფეროს, პირველ რიგში, ერთს გამოვყოფდი, რესურსების სიმწირე, ეს პრობლემა ამ ეტაპზე დგას მთავრად.“ (პროკურორი, ქალი, 4-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

თანასწორობა და მხარეებს შორის ბალანსი სასამართლოში

ადვოკატებმა ბათუმსა და თბილისში აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში შეინიშნება დადებითი ცვლილებები კანონმდებლობაში, კონკრეტულად კი სისხლის სამართალში, რაც ექსპერტიზასა და მტკიცებულებების გამოკვლევას უკავშირდება. თუმცა, ადვოკატების თქმით, ბალანსი მაინც ბრალდების მხარეს იხრება, რადგანაც სახელმწიფო თავისი რესურსებით მათ უკან დგას. რუსთავში ადვოკატებმა ასევე დაადასტურეს, რომ ბრალდების მხარეს სისხლის სამართალში მცირე უპირატესობა აქვს და ასევე განაცხადეს, რომ თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში მეტადაა დაცული. ამ მოსაზრების მიუხედავად, ახალციხესა და ბათუმში ორმა ადვოკატმა მსგავსი ტიპის საქმე მოიყვანა მაგალითად, რომელიც დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტს ეხებოდა. ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენდა და დავის მოცულობა დაახლოებით 250 ათას (ლარს ერთ შემთხვევაში და აშშ დოლარს მეორე შემთხვევაში) შეადგენდა. ახალციხეში კერძო ადვოკატმა ფოკუსს ჯგუფს გაუზიარა თავისი დაკვირვება, რომ სასამართლოს არ სურდა, სახელმწიფოსთვის გადაეხდევიინებინა ეს თანხა. ბათუმში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ადვოკატმა აღწერა საქმის ერთი ეპიზოდი სააპელაციო სასამართლოში, სადაც მოსამართლე შემოვიდა სხდომათა დარბაზში და ახალი ექსპერტიზა მოითხოვა იმის მიუხედავად, რომ საქმეში რამდენიმე სხვადასხვა ექსპერტიზა იყო ჩადებული. თბილისში კერძო ადვოკატს უარყოფითი გამოცდილება ჰქონდა შრომით დავაზე, სადაც მხარეს მსხვილი კომპანია წარმოადგენდა.

ბათუმში არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა ისაუბრა საქმეზე, რომელშიც მოსამართლე მონაწილეობდა. ეს მოსამართლე ახლა მართლმსაჯულების სფეროში საკმაოდ მაღალ თანამდებობას იკავებს. პირველადი დაკითხვის ეტაპზე მთავარმა პროკურორმა შეცვალა საქმის კვალიფიკაცია და მსხვერპლი ბრალდებული აღმოჩნდა.

- „საკანონმდებლო დონეზე მართალია არის რაღაც ცვლილებები, მეტ-ნაკლებად არის უზრუნველყოფილი იგივე ჩხრეკის უფლებასთან დაკავშირებით, რაც ადრე შეუძლებელი იყო, ეხლა კიდევ ექსპერტიზის დაცვასთან დაკავშირებით გამოკვლევის პირველადი უფლება... სხვა მხრივ, თუ ეხლა რესურსებს არ ჩავთვლით, ზოგადად რაშიც უნდა მოვიაზროთ, რომ ერთ მხარეს სახელმწიფო დგას და მისი მთლიანი ინსტიტუტი. ჩვენს მხარეს, ანუ დაცვის მხარეს არ დგას

ამდენი რესურსი.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

- „სისხლის სამართალში ძირითადად ბრალდების მხარე დომინირებს, უპირატესობა იქით იხრება. სამოქალაქოში და ადმინისტრაციულში მეტ-ნაკლებად არის თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 1-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „სისხლი არის ცალმხრივი, სადაც პრიორიტეტული არის სახელმწიფო... ვთქვათ, ერთი გაუბედურებული ბრალდებული თუ გყავს და შენ გინდა ალტერნატიული მტკიცებულებები, რაღაცები წარმოადგინო, იმას პურის ფული არ აქვს, რომელ ექსპერტიზებზე და რომელზე მოგყვება, ან რაზე მოგყვება.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 30-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „მე მქონია ასეთი დავა, დაზარალებულები იყვნენ, ერთ-ერთი ტენდერი გამოაცხადა გზების დეპარტამენტმა. დაიგო გზა, ნუ, იქ ისეთი ტექნიკა ამუშავეს, რომ ვიბრაცია ქონდა და დაზარა სახლები, სახლის კედლები. დაახლოებით 250 ათას ლარზე იყო საუბარი, ჯამურად. არ დაკმაყოფილდა სარჩელი და სწორედ, და პროცესიც მიდიოდა, რომ ამხელა თანხის დაკისრება სახელმწიფოსთვის როგორ იქნება, რამდენად მიზანშეწონილი იქნება და ა. შ. შემდეგ გავიგე, ინფორმაციაც მივიღე, რომ იყო სახელმწიფო და სახელმწიფოსთვის არ სურდა მოსამართლეს ამხელა თანხის დაკისრება.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 6-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „ცუდი გამოცდილება მაქვს მსხვილ კომპანიებთან დაკავშირებით, ერთი წლისა და რვა თვის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ შეცვალა ორი სასამართლოს გადაწყვეტილება შრომით დავაზე.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

მოსამართლეებმა ყველა ქალაქში ახსენეს, რომ კანონმდებლობა უზრუნველყოფს თანასწორობის პრინციპის დაცვას და მხარეებს თანაბარი უფლებები აქვთ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში. შესაბამისად, სასამართლოები მოქმედებენ ამ პრინციპის შესაბამისად და ორივე მხარეს უხსნიან მათ უფლებებს. მოსამართლეების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თანასწორობა და ბალანსი მხარეებს შორის უზრუნველყოფილია სასამართლოში, სისხლის სამართალში ბრალდების მხარეს მეტი რესურსი და უფლება აქვს, რომ გამოიძიოს და შეაგროვოს მტკიცებულებები, ვიდრე დაცვის მხარეს. მოსამართლემ რუსთავის სასამართლოდან განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, არა მხოლოდ პროკურორისთვის, არამედ ადვოკატისთვისაც შესაძლებელი გახდა ვიდუო ჩანაწერის მოთხოვნა და ამან მხარეების უფრო თანასწორი გახადა სისხლის სამართალში.

- „ყველას ვუმარტავ და ამ დროს უფრო მეტი ყურადღება არის ბრალდებულის და თითქოს უფრო მეტად უფართოვდება თვალეები, რომ თქვენ სარგებლობთ თანაბარი საპროცესო უფლებებით, ბრალდების მხარესთან ერთად, აბსოლუტური თანაბარი

საპროცესო უფლებებით, ვინაიდან საქმის განხილვა მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვით და ამ პრინციპის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლო. ეს არის სასამართლოს ვალდებულება, ამის განმარტებაც, მხარისთვის, არის უკვე იმის მიმანიშნებელი, რომ ის თანაბარ საწყისია და რაიმე ფორმით ის არ არის შევიწროვებული.” (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 19-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

- „გამოძიებას უფრო მეტი ბერკეტები აქვს, ვიდრე დაცვას, მაგრამ ეს სახელმწიფო ორგანოა გამოძიება, ამიტომ ეს ასეც უნდა იყოს.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 35-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „[კანონმდებლობა] უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას, მაგრამ მე შენიშვნა მაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლის როლი არის ძალიან შემცირებული და პრობლემურია იმ კუთხით, რომ სისხლის სამართლის საქმეები ძირითადად მიბმულია მოწმეთა ჩვენებებზე.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით შეიძლება, ითქვას, რომ დომინანტი არის ბრალდების მხარე და დაცვას არ აქვს, აი, ამ კუთხით, ვთქვათ, თანასწორობის პრინციპი და შეჯიბრებითობის პრინციპი.“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 7-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

ერთადერთი პრობლემა, რაც თბილისში მოსამართლემ დაასახელა, პატიმრების შემთხვევაა, ვინც შეზღუდულია მტკიცებულებების შეგროვებაში. სახელმწიფო არ განსაზღვრავს მათთვის სავალდებულო დაცვას ამ შემთხვევაში. სავალდებულო დაცვა ეკუთვნით მათ, ვინც აკმაყოფილებს სავალდებულო დაცვის მიღების კრიტერიუმებს და სოციალურად მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნება.

- „არის რამდენიმე საკითხი, რაც მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, ის, რომ განსაკუთრებით როდესაც პირი იმყოფება პატიმრობაში, გარკვეულწილად ის არის შეზღუდული, რომ თავის სასარგებლოდ მოაგროვოს მტკიცებულებები და ესაჭიროება დამცველი. დამცველი იმ პირს, რომელიც სავალდებულო დაცვას არ ექვემდებარება, ან სოციალურად დაუცველი არ არის, სახელმწიფო არ განსაზღვრავს ასეთი პირების მიმართ დანიშვნას, მაგრამ გამოდის, რომ ადამიანი, რომელსაც უნდა, რომ საკუთარი ინტერესები თავად დაიცვას, ამის გონებრივი შესაძლებლობა აქვს, შეიძლება სოციალურად დაუცველი არ არის, მაგრამ მატერიალური შესაძლებლობა არ ჰქონდეს, რომ მოძებნოს დამცველი. ის სპეციალური დაწესებულებიდან ვერ აგროვებს იმ მტკიცებულებებს, ვერ ემზადება ისე, როგორც თავისუფლების ყოფნის პირობებში შეიძლება მომზადებულიყო, ამიტომ იმ საქმეებზე, სადაც დამცველი არ მონაწილეობს, გარკვეული სირთულეები არის იმიტომ, რომ ბრალდებულმა არ იცის კითხვის დასმის წესი, რას ნიშნავს ჯვარედინი დაკითხვა და ეფექტურად ამ ინსტრუმენტებს ვერ იყენებს.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

მოსამართლეებმა ბევრი არ ისაუბრეს სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, რომლებიც მსხვილ კომერციულ დავებს ეხება. მათ უმრავლესობას ასეთ საქმეზე მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა. თუმცა, ზოგადად თქვეს, რომ არ განასხვავებენ, მხარე კერძო პირია, დიდი ბანკი თუ მსხვილი ბიზნეს კომპანია.

- „ეს კომერციული ბანკი იქნება თუ კომერციული რაიმე დიდი ფირმა იქნება წარმოდგენილი, თუ ფიზიკური პირი, ვფიქრობ, რომ აქ არანაირი განსხვავება არ არის არც მოსამართლისთვის, არც საქმის გადაწყვეტისთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 14-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

პროკურორებმა დაადასტურეს, რომ მხარეთა შორის ბალანსს ეფექტურად უზრუნველყოფს კანონმდებლობა და სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილებით, დაცვის მხარესაც მიენიჭა ვიდეო ჩანაწერის მოთხოვნის უფლება, რამაც მხარეები თანასწორი გახადა. ამჟამად დაცვის მხარეს თითქმის იგივე უფლებები აქვს გამოძიების წარმოებაზე, რაც პროკურორს. ზოგმა პროკურორმა ისიც თქვა, რომ სასამართლო მათ მიმართ უფრო მომთხოვნია, რადგან მათ სახელმწიფო რესურსები აქვთ და ამით ბრალდებულის მხარეს გარკვეულ პრიორიტეტს ანიჭებს. პროკურორებმა აღნიშნეს, რომ ზოგჯერ სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მოქალაქე არ იცნობს გარკვეულ პროცედურებს და დაშვებულად ცნობს მტკიცებულებას მაშინ, როცა, პროკურორის წარდგენის შემთხვევაში, იგივე მტკიცებულებას არ მიიღებდა

- „2018 წლის დეკემბრამდე, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას, რომ დაცვის მხარესაც უფლება ჰქონდა, მოეპოვებინა ფარული საგამომიებო ქონებაში რაღაც ინფორმაცია და კიდევ იყო შეზღუდვა, იმასთან დაკავშირებით, რომ დაცვის მხარე, თავისი შუამდგომლობით მოითხოვდა რაღაცის ჩატარებას, ბრალდების მხარეს ჰქონდა პირველადი გამოკვლევის უფლება. ეს უთანასწორობა, აღმოიფხვრა. ამ გადაწყვეტილებით გათანაბრდა ბრალდების მხარე და დაცვის მხარე.“ (პროკურორი, ქალი, 4-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „ამ კუთხითაც არის, ასე ვთქვათ, წინსვლა კანონმდებლობის დონეზე და, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ძირითად ნაწილში მხარეები არიან აღჭურვილები იმ უფლებით, რომ სრულად დაიცვან თავიანთი, ადვოკატმა დაიცვას თავისი კლიენტის ინტერესები, ჩაატაროს პრაქტიკულად იგივე საგამომიებო მოქმედებები, რაც შეიძლება, ჩაატაროს საგამომიებო ორგანომ და საკანონმდებლო დონეზე პრაქტიკულად სრულად არის დაცული თითქმის, თანასწორობის პრინციპი.“ (პროკურორი, კაცი, 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „ბრალდებულის ინტერესები პრიორიტეტულად განიხილება სასამართლოს მხრიდან.“ (პროკურორი, კაცი, 6-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

საქმეები, სადაც მხარე საკუთარ თავს თვითონ წარმოადგენს ადვოკატის გარეშე

რაც შეეხება საქმეებს, როცა მხარეს ადვოკატი არ წარმომადგენს, კვლევაში მონაწილე ზოგი ადვოკატის აზრით, ამ შემთხვევაში მხარეთა შორის ბალანსი ბუნებრივად დარღვეულია, რადგან მოსამართლე შებოჭილია თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპით და ბრალდებულს ვერ დაეხმარება. თბილისში ერთმა ადვოკატმა ხაზი გაუსვა იმ პრობლემას, რომ დაკავებულ პირს, რომელსაც ადვოკატი არ ჰყავს, ძალიან მცირე შესაძლებლობა აქვს, მოიპოვოს მტკიცებულებები იმის მიუხედავად, თუკი მას ეტყვიან, რომ მის მტკიცებულებას საქმეში შეიტანენ.

- *„მოსამართლე მხარეს ადვოკატირებას ვერ გაუწევს. ვერაფერში ვერ დაეხმარება.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)*
- *„როდესაც ხდება პიროვნების დაკავება, დაკავებიდან ეუბნებიან, რომ შენი მტკიცებულებები გამოიკვლევა თანაბარ მტკიცებულებად... ამ პირმა საიდან მოიპოვოს ეს მტკიცებულებები, თუ არ ეყოლება ადვოკატი?“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)*

მოსამართლეებმა კონკრეტული საქმეები არ დაასახელეს. თუმცა, ზოგადად ახსენეს, რომ სასამართლო პროცესზე ბევრად მეტ დროს ხარჯავენ, როცა რომელიმე მხარე ადვოკატით წარმოდგენილი არ არის. მოსამართლეები კანონის შესაბამისად მოქმედებენ იმისთვის, რომ დაცული იყოს ბალანსი და თანასწორობა მხარეთა შორის. ამავდროულად, ისინი საფუძვლიანად უხსნიან მის უფლებებსა და პროცედურას მხარეს, რომელიც ადვოკატით წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, მოსამართლეთა თქმით, მხარე თავს არაკომფორტულად არ გრძნობს. რასაკვირველია, მოსამართლეთათვის უფრო მარტივია ისეთი პროცესები, სადაც ორივე მხარეს ადვოკატი ჰყავს. თბილისში ერთმა მოსამართლემ გაიხსენა საქმე, როცა მხარე საკუთარ თავს თავად წარმოადგენდა და სათანადოდ ვერ შეძლო ჯვარედინი დაკითხვის პროცედურის გამოყენება, რადგან არ იცოდა, რა კითხვები დაესვა.

- *„სასამართლო მეტად იხარჯება ასეთ პერიოდში. ასე ვთქვათ, იხარჯება იმ კუთხით, რომ მეტი განმარტებები გვჭირდება ჩვენ, მეტი ახსნა. ეხლა მოქალაქეა, მას კანონთან შეხება არა აქვს, პროცესულურად უფრო მეტი უნდა ავუხსნათ.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 35-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)*
- *„არანაირ დისკომფორტს ის დაუცველი მხარე არ განიცდის. პირიქით, უფრო მეტი დრო ეთმობა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კანონის ფარგლებით.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 19-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)*
- *„უმეტესად, მხარეები სასამართლოში წარმომადგენლების მიერ არიან წარმოდგენილნი, ამ ბოლო პერიოდში ხომ მითუმეტეს, თითქმის ყველას ჰყავს ადვოკატი. როდესაც ადვოკატით არის წარმოდგენილი მხარე, რა თქმა უნდა, უფრო ადვილია საქმის განხილვა, პროცესულურადაც უფრო ადვილია, თუ კარგი*

ადვოკატებით არის წარმოდგენილი.“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 14-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

- „მხარეს როდესაც არ ჰყავდა ადვოკატი, პრობლემა შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, კონკრეტული საქმე არ მახსოვს, რომ მოწმის დაკითხვის დროს მას არ ჰქონდა კითხვები. არ იცოდა, რა უნდა ეკითხა, რაზე გაემახვილებინა ყურადღება და მხოლოდ ბრალდების მხარეს ჰქონდა და ის ინსტრუმენტი, რაც არის ჯვარედინი დაკითხვა და არსი, შეჯიბრობითობის პრინციპით როგორ უნდა გამოავლინო შენ სიმართლე, ამის გარანტიაა ჯვარედინი დაკითხვა, ეს ფიზიკურად ვერ გამოიყენა.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

პროკურორებმა ხაზი გაუსვეს მოსამართლეთა დიდ ძალისხმევას ისეთ შემთხვევებში, როცა მხარე ადვოკატით წარმოდგენილი არ არის. მათი თქმით, მოსამართლეები მათ ყველაფერს დეტალურად განუმარტავენ, არაიურიდიული ენით და ურჩევენ მხარეს, რომ იურიდიული კონსულტაცია გაიაროს. პროკურორებმა ახსენეს, რომ სასამართლო ყველა გზას მიმართავს იმისთვის, რომ მხარეებს შორის თანასწორობა და ბალანსი არ დაირღვეს.

- „ბათუმის სასამართლოს ყველა მოსამართლე ძალიან დეტალურად უმარტავს ბრალდებულს ყველაფერს, მათთვის გასაგებ ენაზე, არაიურიდიულ ენაზე, არა ტერმინოლოგიური განათლებით, არამედ მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ყველა დეტალი აუხსნან კარგად, რა გადაწყვეტილებებს რა დეტალი შეიძლება მოჰყვეს და საკმაოდ დიდხინან განმარტებებს აკეთებს ხოლმე მოსამართლე.“ (პროკურორი, კაცი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „კიდევ ერთხელ უმარტავს, რომ ადვოკატის ყოლის უფლება აქვს და თუ ამის სურვილი ექნება, გადაუდებს პროცესს, შესვენებას გამოუცხადებს, რომ მოიყვანოს, ან ვიღაცასთან კონსულტაცია გაიაროს, ანუ მაქსიმალურად აძლევს ყველაფრის საშუალებას, რომ ჩვენთან თანასწორად გაიაროს ის პროცესი.“ (პროკურორი, ქალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

სასამართლოს დამოკიდებულება უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ

ადვოკატებმა ოთხივე ქალაქში განაცხადეს, რომ სასამართლო უმცირესობებისა და მოწყვლად ჯგუფებს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ექცევა. ახალციხეში ერთმა ადვოკატმა გაიხსენა საქმე, სადაც ბრალდებულს ეტლი სჭირდებოდა და სასამართლომ ძალიან სწრაფად შეძლო მისი მიწოდება. კვლევაში ჩამოთვლილი ჯგუფების შემთხვევაში, ადვოკატებმა ბათუმში, თბილისსა და ახალციხეში ისაუბრეს ოჯახში ძალადობის საქმეებზე, როგორც რიგ შემთხვევებში პრობლემურ საქმეებზე. ერთის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან ოჯახში ძალადობის საქმეებზე განსაკუთრებული ყურადღების გამო, სასამართლოები მკაცრ პოლიტიკას ატარებენ და ციხეები ოჯახში ძალადობის საქმეებში ბრალდებულებითაა სავსე. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები მხარდაჭერას უცხადებენ სახელმწიფო პოლიტიკას და ამბობენ, რომ იგი ქვეყანაში

არსებულ ტრაგიკულ სტატისტიკას უკავშირდება. თუმცა, თბილისსა და ბათუმში ზოგი ადვოკატის, განსაკუთრებით სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების თქმით, ოჯახში ძალადობის საქმეებში პრობლემებია ჩვენებებთან დაკავშირებით, რადგან მსხვერპლები ხშირად ცვლიან ან აუქმებენ ჩვენებას ოჯახის წევრების წინააღმდეგ. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სახელმწიფო მკაცრ პოლიტიკას ბრმად მისდევს და ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს გამოძიებისა და დაკავების წესები. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა ბათუმში თქვა, რომ მიდგომა უნდა შეიცვალოს, რადგანაც ამჟამინდელ პოლიტიკას განსაკუთრებული შედეგები არ მოჰყოლია. ახალციხეში ახსენეს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს შეეძლოთ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობა.

თბილისში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა თქვა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში შეინიშნება პროგრესი არასრულწლოვანებთან დაკავშირებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსის გამო. თუმცა, მან ასევე გამოხატა შეშფოთება, რომ ტენდენცია შეიძლება, უარყოფითისკენ შეიცვალოს, რადგანაც 15 წლამდე ასაკის მოზარდებმა უკვე გაიაზრეს, რომ დანაშაულის ჩადენისთვის მათ არ დასჯიან და ქურდობასა და ყაჩაღობას არ ერიდებიან.

- „არ არის განსხვავებული მოპყრობა.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „დისკრიმინაცია არაა.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „თვითონ სასამართლოს მხრიდან არა, ყველა ქეისი ინდივიდუალურია და... მოპყრობა არ არის ეს. მოპყრობის მხრიდან არა.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „ეს ძალადობა ოჯახში საბოლოო ჯამში ყველაზე ცუდ შედეგამდე, სადამდეც შეიძლება მივიდეს, არის ქალთა მიმართ სიცოცხლის მოსპობა, სიცოცხლის მოსპობა კონკრეტული ნიშნით. ეს არის გამომდინარე კონკრეტულად, ამ შემთხვევაში ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან.“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „შეიძლება, მოვიდეს მეუღლე და თქვას, ამას ჩემთვის ხელი არ დაურტყამს ან თქვას, რომ საერთოდ უარს ვამბობ სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაინც გამოვა გამამტყუნებელი განაჩენი.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „სიტყვაზე, შეურიგდა, ჯერ ხომ მისცა ჩვენება, აი, მართლა მცემს და თავპირი ჩამოაღეწა, ხო? მერე სასამართლოზე მოდის და აღარ აძლევს ჩვენებას და დგება მერე გამამართლებელი განაჩენი.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 15-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

- „იმიტომ, რომ მიზანი იყო შეშინება ბაკულას ღორებივით, მერე რომ გააცნობიერებენ, რომ მოყვება ამას ერთი ამბავი...“. (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 19-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „[სახელმწიფო პოლიტიკა] გამკაცრდა და ამას ააქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ბრმად გამკაცრდა ცოტა, ანუ აღარ უყურებენ არაფერს, თუკი არის ოჯახური ძალადობის მუხლი, იქ უკვე დამთავრებულია.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 15-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „უნდა აღმოიფხვრას ოჯახში ძალადობა, ოღონდ არის წესი და რიგი. შედეგი რა მივიღეთ ამით? რეალურად შედეგი ის მივიღეთ, რომ აქ გაიზარდა რაოდენობა ოჯახური ძალადობის, არ შემცირდა. ამან ეფექტი არ გამოიღო, ამიტომ რაღაცა მიდგომა საჭირო, შეიცვალოს. მე ეხლა იმას არ ვამბობ, თუ დანაშაული ჩაიდინა, უნდა დაისაჯოს, მაგრამ დაკავებას, გამოძიების აქვს თავისი წესი. ამას სჭირდება სასამართლოს განჩინება ან გადაუდებელი აუცილებლობა. ოჯახურ ძალადობას არ სჭირდება სასამართლოს განჩინება და არც ის წესები არ სჭირდება, თუ თქვა ვინმემ, რომ ეს არის მოძალადე და შემთხვევით ადგილზეც აღმოჩნდა, დააკავენ ამას და სასამართლო ამის კონტროლს არ ახორციელებს, რამდენად კანონიერად მოხდა. წარმოუდგენელი რამეა. ის ხომ დამნაშავესთვის ისეთივე დანაშაულია, როგორც სხვისთვის, ვთქვათ, ქურდობა, ვილაცისთვის მკვლელობა, ამისთვის ეს ოჯახური ძალადობა.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ახალი წესის თანახმად, ოჯახში დანაშაულის მსხვერპლებს უფასო ადვოკატი ენიშნებათ სახელმწიფოს მხრიდან.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „არასრულწლოვანთა მიმართებაში ძალიან დიდი პროგრესია და ხშირად მე მსმენია, რომ ეს პროგრესი რეგრესად არ გადაიზარდოს იმიტომ, რომ, რა არის, იცით, ასეთმა მიდგომამ არასრულწლოვნებში... ბევრმა 15 წლამდე მოზარდმა გაიაზრა, რომ მისი ქმედება დანაშაული არ არის, ყაჩაღობასაც სჩადიან და თან ამბობენ, მე მაინც ვერ დამიჭერენო. ამ კუთხით არის პრობლემა... სახელმწიფო, სხვათა შორის, ამაზე ბევრს ფიქრობს.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 15-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

მოსამართლეთა გადასახედიდან სასამართლო ყველა ადამიანს სამართლიანად და თანასწორად ეპყრობა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება იგი. ისინი ამ საკითხს პრობლემურად არ აღიქვამენ საქართველოში. მოსამართლეები უფრო ფრთხილებიც კი არიან, როცა საქმეში მონაწილე რომელიმე მხარე უმცირესობის ჯგუფს მიეკუთვნება. თბილისში ერთმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ განაჩენის გამოტანისას კანონი რამდენიმე ფაქტორს ეყრდნობა და თუკი მსხვერპლი უმცირესობის ჯგუფს მიეკუთვნება, ეს დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება, იქცეს. გარდა ამისა, სასამართლო

ახალგაზრდა სამართალდარღვევებს განსხვავებულად ექცევა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის გამო.

- „ჩვენს რეგიონში სულ ეთნიკურად სომეხი ეროვნების ხალხი ცხოვრობს, რა თქმა უნდა, ხშირი არის, ხო, როგორც სამოქალაქოში, ასევე სისხლში, აბსოლუტურად არანაირი განსხვავება არ არის, თანასწორნი არიან, რაიმე განსხვავებული მოპყრობა არ ხდება მათ მიმართ, გამორიცხულიც არის.“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 7-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „თუ რომელიმე ამ მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელია, უფრო მეტადაც კი ცვდილობ, რომ პროცესუალური წესები უფრო კარგად იყოს დაცული, უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი მისი უფლებები, უფრო მობილიზებული თავად ადვოკატებიც კი არიან ამ შემთხვევაში. ასე, რომ ვთვლი, რომ ამ კუთხით პრობლემა საქართველოში სასამართლოებში არ უნდა იდგეს.“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 14-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „თუმცა, რაიმე განსხვავებული მიდგომა, ის, რაც კანონში არ წერია, თუ, ვთქვათ, მსხვერპლია ამ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ან რაიმე ჯგუფის წარმომადგენელი, მნიშვნელობა არ აქვს, უმცირესობის წარმომადგენელი, ეს კანონით არის განსაზღვრული, რომ ამ შემთხვევაში დამამძიმებელ გარემოებად ითვლება.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

პროკურორებმა გამორიცხეს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციული მოპყრობა უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ სასამართლოს მხრიდან. მათ ხაზი გაუსვეს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა და მოსამართლეები უფრო ფრთხილად მუშაობენ და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ამ ჯგუფებს. მათ რამდენიმე გარემოება დაასახელეს, მაგალითად, თუკი არასრულწლოვანი მოწმეა ან ბრალდებული, სპეციალური ოთახი არსებობს სასამართლოში, სადაც მოსამართლე მასთან სასაუბროდ გადის იმისთვის, რომ თავიდან აარიდოს რაიმე სახის უარყოფითი ფსიქოლოგიური გავლენა სასამართლოს სხდომაზე. პროკურორებმა ასევე აღნიშნეს, რომ სასამართლო უმცირესობებისა და მოწყვლად ჯგუფებს თანასწორად და მოსამართლეები ცდილობენ, რომ სასამართლო სხდომებზე მათ თავი კომფორტულად აგრძნობინონ.

- „ამ კუთხით მე ვფიქრობ, რომ მართლა, შედეგი სახეზეა და, პირიქით, ამ შემთხვევაში მოსამართლეები და მათ შორის პროკურორები, გაცილებით უფრო ყურადღებით და სენსიტიურად უდგებიან ამ საკითხებს, რომ ვინმემ, რომ გავა სასამართლო შენობიდან, დავუშვათ, რომ არ იგრძნოს, რომ მართლა რაღაც უმცირესობის წარმომადგენელია.“ (პროკურორი, კაცი, 12-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ამდენი ხანია ვმუშაობ და პრაქტიკაში არ მქონია, რომ მოსამართლე უსამართლოდ მოქცეოდა ადამიანს იმის გამო, რომ რომელიმე მოწყვლად ჯგუფს ან ეროვნულ უმცირესობას ან სექსუალურ უმცირესობას ეკუთვნის. პირიქით, მაგალითად, მე შემსწრე ვარ, როდესაც არასრულწლოვანი ან შშმ პირია, უფრო მეტად ღმობიერად

და უფრო მეტად უმარტავს, უფლებებს მოვალეობებს.“ (პროკურორი, კაცი, 10-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

- „სხვა მოწყვლადი ჯგუფები, როგორებიც არიან: ბავშვები, ქალები, ხანდაზმულები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათთვის ყველანაირი შესრულება სასამართლოში შექმნილი, რომ დაბრკოლება არ შეექმნათ სამართალწარმოების სიტუაციაში.“ (პროკურორი, ქალი, 4-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

პროკურატურის დამოკიდებულება უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ

ადვოკატებმა ყველა ქალაქში აღნიშნეს, რომ პროკურატურის წარმომადგენლები რაიმე ნიშნით არ განასხვავებენ უმცირესობისა და მოწყვლად ჯგუფებს. მათი თქმით, პროკურორები მათ შემთხვევაშიც ისევე იქცევიან, როგორც ნებისმიერ სხვა საქმეზე. მხოლოდ ერთმა ადვოკატმა თბილისში გაიხსენა შემთხვევა ფონიჭალიდან, როცა, სავარაუდოდ, პოლიციელებმა იარაღი ჩაუდეს ეთნიკურ აზერბაიჯანელებს იმისთვის, რომ ზეწოლა მოეხდინათ მათზე წინასაარჩევნო პერიოდში, რადგანაც ერთ-ერთ ამ აზერბაიჯანელს ნათქვამი ჰქონდა, რომ ერთიანი ეროვნული მოძრაობისთვის აპირებდა ხმის მიცემას. ადვოკატმა, რომელიც ამ აზერბაიჯანელების დამცველი იყო, პროკურორი ჩააყენა საქმის კურსში. იგი შეხვდა მოწმეებს და ასე ჩანდა, რომ თავადაც დარწმუნდა, რომ იარაღი ჩადებული იყო. თუმცა, პროკურორმა ბრალდებულებს უთხრა, რომ თუკი სასამართლოს წინაშე პოლიციის საწინააღმდეგო ჩვენებას მისცემდნენ, პოლიცია მათ კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებდა. საბოლოო ჯამში, საქმე საპროცესო შეთანხმების გაფორმებით დასრულდა.

- „ჩვეულებრივი დამოკიდებულება, ვერ ვიტყვი, რომ რაღაც დისკრიმინაციას აქვს ადგილი მათი მხრიდან ამის გამო.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „პროკურატურისთვის არის, როგორც სასამართლოსთვის, ისიც ერთი ჩვეულებრივი საქმე, რაზეც ჩვეულებრივად ბრალდებას ახორციელებს.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ბოლო პერიოდში გამოიკვეთა რამდენიმე საქმე ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების მიმართ, პირდაპირ იყო იარაღის ჩადებები დაკავშირებული არჩევნებთან... ის პირები, რომლებიც ეხმარებოდნენ, სადღაც წამოსცდა, რომ ხუთიანს [ერთიან ნაციონალურ მოძრაობას] აძლევს ხმას, მერე წავიდა იარაღის ჩადებები. თან, უნდა ნახოთ, როგორი იარაღები, უიშვიათესი იარაღები, ერთ ჯიბეში ედოთ ეს უიშვიათესი იარაღები და მეორე ჯიბეში ედოთ, რა თქმა უნდა, ავტომატის ტყვიები. მე წავედი, პროკურორთან მივედი და დავულაგე ეს ყველაფერი. პროკურორი მეუბნება, მომიყვანე ერთი მაგ ადამიანი, რომ დავრწმუნდე, ოღონდ პოლიციამ არ გაიგოსო. მოვუყვანე, რა თქმა უნდა, ის ადამიანი, დავუსვი, ელაპარაკა. ბიჭო, რა ვქნაო ეხლაო, პროცესზე ხომ ამას ეხლა

დედას უტირებენო, რომ გამოვიდეს და ის ჩვენება არ მისცესო, რაც პოლიციას უნდაო, ამას ხომ შეჭამენო, გამიგეთ? რაც გინდა, ის ქენიო, კი, ბატონოო, მაგრამ რა ვქნაო. წავიდა მერე დაშინება, იქით-აქეთ და სამივემ გააფორმა საპროცესო შეთანხმება.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

მოსამართლეებმა ვერ გაიხსენეს ისეთი შემთხვევები, როცა პროკურატურა უმცირესობის წარმომადგენლების განსხვავებულად მოექცა. პირიქით, ზოგი მოსამართლის თქმით, პროკურორები ძალიან ფრთხილობენ ასეთ საქმეებში და ზოგჯერ დისკრიმინაციის ან სიძულვილის ნიშნებს ხედავენ მაშინაც კი, როცა სასამართლო ამას არ ადასტურებს. ზოგადად, მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ პროკურატურა არ ახდენს რაიმე სახის დისკრიმინაციას მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.

- „აბსოლუტურად თანასწორად. მე არ შემინიშნავს, რომ რაიმე დისკრიმინაციას ჰქონდეს ადგილი.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 35-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „პროკურატურა ზოგჯერ პირიქით, აზვიადებს აქ ბრალს და ხედავს, რომ ეს ხომ არ არის [დისკრიმინაცია ან სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაული]. მე ვფიქრობ, თავსაც იზღვევენ ამით, რომ მათ არ გამოჩრეთ რაიმე. თუმცა, საქმის განხილვით უკვე აღარ მიდასტურდება.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 19-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

პროკურორებმა პროკურატურის მიერ უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ მოპყრობის განხილვისას ერთსულოვნად განაცხადეს, რომ მოპყრობაში არანაირი განსხვავება არ არის. პროკურატურა ტრენინგებს ატარებს პროკურორებისთვის და რეკომენდაციებსა და პრაქტიკულ მაგალითებს აწვდის მათ, რომ უზრუნველყოს თანასწორი მოპყრობა ქალების, ბავშვების, ეთნიკური უმცირესობების, ლგბტ თემის წარმომადგენლების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. ბათუმში ერთმა პროკურორმა გაიხსენა შემთხვევა, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქე საქმეში მოწმე იყო და ქვეყნის დატოვება უწევდა. ამის გამო პროკურორმა გამოკითხვა უფრო ადრე დანიშნა, რომ არ შეეფერხებინა მისი გამგზავრება.

- „არც პროკურატურის, არც სასამართლოს და არც იურიდიული დახმარების სამსახურის შემთხვევაში, მე არ მახსენდება არცერთი ფაქტი, როდესაც საქმეში ფიგურირებდა უმცირესობის წარმომადგენელი, ამას არ აქვს მნიშვნელობა, ეთნიკური იქნება თუ სექსუალურად განსხვავებული ორიენტაციის პირი, არასოდეს რაიმე სახის განსხვავება ამასთან დაკავშირებით არ ყოფილა. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელიც შეეხება დისკრიმინაციის კუთხით, უფრო მეტად დასჯადი გახდა ქმედებები.“ (პროკურორი, კაცი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „რეალურად პროკურატურაც არის ის ორგანო, რომელიც ვამბობთ, რომ ადამიანი, რომელიც დაზარალდება, გვერდში უნდა ვუდგეთ და იმის მიხედვით მე თუ ვარჩიე

ეს, დავუშვათ, ქართულად ლაპარაკობს, ის სომხურად ლაპარაკობს, ამას ის მოწონს, იმას ეს მოწონს და ამის მიხედვით დაგიდები გვერდში, მაშინ გამოდის, რომ იგივენაირი დამნაშავე ვარ.“ (პროკურორი, ქალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის დამოკიდებულება უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ

დანარჩენი ორი ინსტიტუტის მსგავსად, ადვოკატებმა ყველა ქალაქში აღნიშნეს, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური უმცირესობისა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს განსხვავებულად არ ეპყრობა. პირიქით, განსაკუთრებული მიდგომაა ეთნიკური უმცირესობების მიმართ, ვინც ქართულად არ ლაპარაკობს, რადგანაც მათ უფასო იურიდიული დახმარება ეკუთვნით. განსაკუთრებული მოპყრობაა ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლების, ფიზიკური და გონებრივი შეზღუდულობის მქონე პირების მიმართ.

- „პრინციპში ეგ არის, რომ მაღალ ხარისხში აყვანილია, ასე ვთქვათ, ენის არცოდნის გამო, ეთნიკური უმცირესობები. მათთვის სავალდებულო დაცვა არის.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 11-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „განსხვავებული მოპყრობა ისეთი, ცუდისკენ, არაფერი, მაგრამ თუ, ვთქვათ, ფსიქიკური ან ფიზიკური ნაკლი აქვთ, ენიშნებათ ჩვენგან ადვოკატი ჩვეულებრივად. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებიც უზრუნველყოფილნი არიან, თუკი მოგვმართავენ. ეთნიკურ უმცირესობებს ენიშნებათ. ენის არმცოდნეებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეები ვინც არიან და ენა არ იციან, იმათაც ყველას ენიშნებათ ადვოკატი. ამაში უპირატესობაც კი აქვთ.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ რაიმე სახის განსხვავებული მოპყრობა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მხრიდან უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ არასდროს შეუნიშნავთ სასამართლო პროცესებზე. თუმცა, პროცესებს მიღმა რა ხდება, საქმის კურსში არ არიან. ბათუმში მოსამართლემ აღნიშნა, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები უფრო მეტად მომზადებულები არიან სხდომისთვის, როცა საქმე უმცირესობათა ჯგუფებს ეხება.

- „როდესაც ამათ წარმომადგენლად მოდიან იურიდიული დაცვის სამსახურიდან, უფრო მომზადებულნი არიან, კიდევ უფრო მეტად მომზადებულნი არიან.“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 14-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ადვოკატების მხრიდანაც ერთნაირი მიდგომა არსებობს.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 19-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

პროკურორების თქმით, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები თავის სამუშაოს ძალიან კარგად ასრულებენ. მათ ვერ გაიხსენეს დისკრიმინაციული მოპყრობის ვერცერთი შემთხვევა რომელიმე ჯგუფის მიმართ. პროკურორების განცხადებით, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს სამართლიანად ექცევიან და ცდილობენ მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

- „ძირითადად, ეს ადამიანები [იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები] ჩვენ წარმოდგენილი გვყავს, უცხო ქვეყნის წარმომადგენელთან მიმართებაში, ვინაიდან როდესაც ბრალდებულები არიან ისინი და ენა არ იციან, ამ შემთხვევაში ისინი ექვემდებარებიან სავალდებულო დაცვას და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებით, ეს იურიდიული დახმარების ადვოკატები, ასრულებენ სრულყოფილად. რაიმე დისკრიმინაციული მიდგომა მათი მხრიდან მე არ შემიმჩნევია არასდროს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ცდილობენ მაქსიმალურად დაიცვან მათი უფლებები და ინტერესები.“ (პროკურორი, კაცი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ძალიან კარგი თანამშრომლები ჰყავს იურიდიული დახმარების სამსახურს. მსგავსი რამე გამორიცხულია.“ (პროკურორი, ქალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

იურიდიული განათლება - საუნივერსიტეტო და განგრძობითი იურიდიული განათლება

ფოკუს ჯგუფების მონაწილე ადვოკატებს ოთხივე ქალაქში განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იურიდიული სფეროს პროფესიონალების იურიდიულ განათლებასა და საუნივერსიტეტო იურიდიულ განათლებაზე. პრაქტიკოსი იურისტების განათლების დონესა და კვალიფიკაციაზე საუბრისას, არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა ბათუმში ახსენა, რომ მოსამართლეების კვალიფიკაცია დაბალია, რადგან ასობით საქმეზე მუშაობის გამო არ რჩებათ დრო საკითხავად, სასწავლად ან რაიმეს სანახავად. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა თბილისში ისაუბრა იურიდიული განათლების დონესა და იურისტების კვალიფიკაციაზე და თქვა, რომ 9 000 ადამიანს შორის, ვისაც ადვოკატის ლიცენზია აქვს, მხოლოდ რამდენიმე ასეულია კვალიფიციური. საერთო სურათი კი განათლების დაბალ დონესა და კვალიფიკაციაზე მიანიშნებს.

რაც შეეხება საუნივერსიტეტო განათლებას, ადვოკატმა ბათუმში აღნიშნა, რომ ბოლო წლებში ამ მიმართულებით გაუმჯობესება შეინიშნება, თუმცა, საუნივერსიტეტო იურიდიულ განათლებაში ხარვეზები ჯერ კიდევ არის. ბათუმში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა გაიხსენა შემთხვევები, როცა სტაჟირების დასრულების შემდეგ იურიდიული კლინიკის სტაჟორები სრულ განაკვეთზე აიყვანეს თანამშრომლებად. ამავდროულად, არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა ბათუმიდან თქვა, რომ უნივერსიტეტში [ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში] ლექტორებს დაბალი კვალიფიკაცია აქვთ და ხშირად მათ უწევთ სტაჟორებისთვის სამართლის საფუძვლების ახსნა. ახალციხეში კერძო ადვოკატმა აღნიშნა, რომ წლების

განმავლობაში ეძებს სტაჟიორებს იმ მიზნით, რომ იპოვოს იურისტი, ვინც მასთან ერთად იმუშავებს. თუმცა, სტუდენტები ან არ ინტერესდებიან ამ შესაძლებლობით, ან ქალაქს ტოვებენ. თბილისში კერძო ადვოკატმა, რომელსაც სწავლების დიდი გამოცდილება აქვს, თქვა, რომ ბოლო დროს უფრო მეტ ინტერესს ხედავს სტუდენტებში იურიდიული პრაქტიკის მიმართ. ისინი ეძებენ სტაჟირების შესაძლებლობებს და თეორიის განხილვის დროსაც სულ პრაქტიკასთან დაკავშირებულ კითხვებს სვამენ. ადვოკატებმა თბილისსა და ბათუმში ასევე აღნიშნეს, რომ საქართველოში უნივერსიტეტებს შორის განათლების ხარისხში მნიშვნელოვანი განსხვავებებია.

- „მოსამართლე რომ არის და ათას ხუთასი საქმე რომ აწერია, როდის და სად უნდა [აიმაღლოს კვალიფიკაცია]? ეს ხომ ბუნებრივად შეუძლებელია. [მოსამართლის] მიზანია, ჩქარა მოვასწრო გადაწყვეტილებების დაწერა. ხო, კოპიფეისტიტ დაწერა, თან მეშლება სახელი და გვარი, ბოლოში სხვაა და დასაწყისში სხვა... ბუნებრივია, ჩვენ ამ მოსამართლესთან ობიექტურად პრეტენზია ვერ გვექნება ხარისხთან და კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. იმის გარდა, რომ ეს მოსამართლე საქმეებს იხილავს, ესა თუ ის მოსამართლე კიდევ მიდის და ლექციებს კითხულობს. კვალიფიკაციის ამაღლების დრო სად აქვს, სად რჩება? გარდა იმისა, რაღაცას ხომ უნდა შევხედო, წავიკითხო, ენა ვისწავლო, გავნათლდე, იქ სტრასბურგის სასამართლოა.“ (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „სულ 400 პროკურორია საქართველოში, თუ არ ვცდები. ეხლა 400 ადვოკატი ადვოკატთა ასოციაციაში მოიძებნება, რომელიც იმ პროკურორზე ძლიერია, მაგრამ საბოლოო ჯამში მთლიან, საერთო სურათს ქმნის მთლიანი შემადგენლობა, ხოდა მთლიანი შემადგენლობიდან გამომდინარე დონე დაბალია.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 15-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „მიუხედავად იმისა, რომ შეიცვალა ბევრი რამე, მიდგომა განათლების სფეროში, ისევ შეიმჩნევა ნაკლოვანებები.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 14-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „კლინიკის სტაჟიორები დამიტოვებია სამსახურში.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 11-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „როცა მოდის სტუდენტი, ხშირად გაკვირვებული დავრჩენილვართ და იმ ძირითადი ფუნქციის აღება, რაც არის ელემენტარული თეორიული ცოდნის მიღება, გვიწევს ჩვენ.“ (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „წლებია, სტაჟიორებს ვეძებ. რომ დავაკვირდე მათ მუშაობას და დავასაქმო ჩემთან, თუ სურვილი ექნებათ. მაგრამ ამაოდ, არავის აინტერესებს. ვისაც საკუთარი თავის განვითარება უნდა ამ პროფესიაში, ახალციხიდან მიდის.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 6-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

- „ბოლო წლებში ნამდვილად არის ცვლილება. მე პრაქტიკაც ძალიან დიდი მაქვს, თითქმის 30 წელიწადია, ურთიერთობა მაქვს უმაღლეს სასწავლებლებთან და პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწევი. ამ წლების პრაქტიკას თუ გავანალიზებთ, გაცილებით მეტი დაინტერესებაა პრაქტიკული იურისპრუდენციის მიმართ. თვითონ სტუდენტებიდანაც მოდის მეტი მოტივაცია, რომ სტაჟირებები გაიარონ, უნარ-ჩვევები შეიძინონ. უამრავ შეკითხვას სვამენ, აღარ აინტერესებთ თეორიული, იქ რომ წიგნში კითხულობენ იმას, იგებენ და მერე სვამენ კითხვებს.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 19-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „სხვაობა ძალიან დიდია ერთ უმაღლესსა და მეორეს შორის.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „უნივერსიტეტსაც გააჩნია. ესე განზოგადებულად და გლობალურად ვერ ვიტყვით ყველა უნივერსიტეტზე. მე თვითონ თსუ დავამთავრე და ჩემს უნივერსიტეტზე შემძლია, ვთქვა სრული პასუხისმგებლობით, რომ იძლევა საშუალო დონის იურისტის კვალიფიკაციას. თუმცა, ამის შემდეგ როგორ განვითარებას მისცემ საკუთარ თავს, უკვე ეს არის შენი პირადი [პასუხისმგებლობა]. ზრდაც, საკუთარ თავთან მუშაობაც და ასე შემდეგ.“ (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

რაც შეეხება შემოთავაზებებს, თუ როგორ შეიძლება, გაუმჯობესდეს იურიდიული განათლება და ამალდეს იურიდიული სფეროს პროფესიონალების კვალიფიკაცია, ადვოკატების აზრით, ლექტორები უნდა იყვნენ უფრო კვალიფიციურები, იურიდიული განათლების პროგრამები მეტად პრაქტიკული უნდა გახდეს და სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ სტაჟირების შესაძლებლობა არა მხოლოდ მაგისტრატურის, არამედ ბაკალავრიატის ეტაპზეც. შემდგომში, იურიდიული პრაქტიკის დროს, ბათუმში იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, ეფექტური იქნებოდა, თუკი საკვალიფიკაციო გამოცდას ყველა ადვოკატი ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც ჩააბარებდა. გარდა ამისა, სასურველია ადვოკატთა სარეიტინგო სიის შედგენა, რაც გარკვეულწილად დაადასტურებდა მათ კვალიფიკაციას. კერძო ადვოკატმა თბილისიდან სასამართლო დადანაშაულა იურიდიული სფეროს პროფესიონალების დაბალ კვალიფიკაციაში. მისი თქმით, თუკი სასამართლო მაღალ დონეზე იქნება, საბაზრო მოთხოვნა გაჩნდება უფრო კომპეტენტურ ადვოკატებზე, პროკურორებზე, გამომძიებლებსა და მოსამართლეებზე.

- „ისევ პროფესორ-მასწავლებლების ხარისხი [უნდა გაუმჯობესდეს].“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 11-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ეს უფრო აინტერესებთ სტუდენტებს და ვფიქრობ, რომ [საგანმანათლებლო] პროგრამებში პრაქტიკული მუშაობის წილი გაცილებით მეტი უნდა იყოს.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 19-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „სტაჟირება უნდა გაიარონ, ეს უნდა გაკეთდეს ბაკალავრიატის დონეზეც, ეს უნდა გაკეთდეს მაგისტრატურაში.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 25-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

- „ჩემი აზრით, ყველაზე კარგი იქნება, ხუთ წელიწადში ერთხელ გამოცდა აბაროს ყველამ [ადვოკატებმა].“ (კერძო ადვოკატი, კაცი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „9 000 კაცი რომ არის ასოციაციის წევრი, მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ სადღაც ათასში მაინც არის. ეს განსაზღვრავს იმას, რომ მე მის კვალიფიკაციაში ეჭვი არ უნდა შემეპაროს. უნდა იყოს სარეიტინგო სია. არ გვჭირდება ის ცხრა ათასი წევრი, გვყავდეს სამი ათასი წევრი და გვქონდეს რეიტინგული სია.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 11-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ხარვეზიანი სასამართლო რომ გვაქვს, ეს ძალიან უშლის ხელს ადვოკატის პროფესიულ განვითარებას, იგივე მოსამართლეს, იგივე პროკურორს. იქნებ, მოვესწროთ იმ დროს, რომ სასამართლომ თავისი ფუნქცია შეასრულოს. როდესაც მაღალ დონეზე იქნება სასამართლო, შესაბამისად, უკვე მოთხოვნა სხვა იქნება ბაზარზე ადვოკატის მიმართ, პროკურორის მიმართ, გამომძიებლის მიმართ, თვითონ მოსამართლის მიმართ.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

ადვოკატების ნაწილის თქმით, ამჟამად განგრძობითი იურიდიული განათლების შესაძლებლობები ყველასთვის ხელმისაწვდომია. ამ კუთხით ადვოკატთა უმრავლესობა საუბრობს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგებზე, რასაც ნაწილი დადებითად აფასებს, ნაწილი კი არც ისე დადებითად, რადგან, მათი თქმით, ტრენინგის თემები უმეტესად ერთი და იგივეა. თბილისში ადვოკატმა გაიხსენა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგები, რომლებიც მაღალი დონის პროფესიონალებმა ჩაატარეს. თუმცა, ასეთი ტრენინგების მასშტაბი დიდი არ არის და ასოციაციის ათასობით წევრს ვერ წვდება. თბილისსა და რუსთავში ადვოკატებმა ახსენეს ფასიანი ტრენინგები, რაც მაღალი ხარისხისაა, თუმცა, ძალიან ძვირი და ბევრს ფინანსურად არ მიუწვდება მათზე ხელი. ზოგადი შემოთავაზება ადვოკატების მხრიდან იყო ის, რომ კარგი იქნებოდა ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე, რასაც უმაღლესი განათლების მომწოდებელი ინსტიტუტები არ ასწავლიდნენ, მაგალითად, საგადასახადო სამართალზე. ახალციხეში ადვოკატებმა თქვეს, რომ ზოგჯერ ვერ ახერხებენ ტრენინგებზე დასწრებას, რადგან ტრენინგები მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში ტარდება. მათ სურვილი გამოთქვეს, რომ ტრენინგები მათ რეგიონშიც ტარდებოდა.

- „ვისაც სურვილი აქვს, ამის საშუალება უკვე აქვს, უკვე არის.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 11-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „[საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგი] პრაქტიკული მნიშვნელობის და პრობლემატურ საკითხებზე იყო აქცენტი გაკეთებული.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 1-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „ერთი და იგივე თემები ტრიალებს კიდევ სულ, არ არი მრავალფეროვანი.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 25-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

- „არ ვარ კმაყოფილი [საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგების] ხარისხით.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „ასოციაციამ წელს, პროფესიონალები რომ არიან, მაჩაიძემ ჩაატარა, კოპალეიშვილმა თავის ფარგლებში უფასო ტრენინგი. ეს არ ეყოფა იმიტომ, რომ 20 კაცია, მაქსიმუმ 25 მოცულობა იმ ერთ ტრენინგზე დასწრების და ეს ყველას ვერ მოიცავს. პროფესიონალი პრაქტიკოსების მიერ წაკითხული ტრენინგი შეიძლება, აღარ იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის იმიტომ, რომ 8 000 კაცია.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 19-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი აზრით, ძალიან ბევრს აკეთებს ადვოკატთა ასოციაცია, ხელმისაწვდომობა ნამდვილად არის, ხელმიუწვდომელი არ არის, რეგიონების მიხედვითაც ტარდება ეს განგრძობადი იურიდიული განათლების ლექციები. მაგრამ რელევანტურობა რამდენად არის, ამაში დარწმუნებული ვერ ვიქნები. თანაც, უფრო ფორმალურ ხასიათს იღებს, რადგან სავალდებულოა. ვასიანი რომელიც არის, კურსები, ის გაცილებით რელევანტურია, ვიდრე ასოციაცია რომ ატარებს.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 19-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „[ვასიანი ტრენინგები] არ არის ხელმისაწვდომი ხშირ შემთხვევაში იმიტომ, რომ თითოეული შეიძლება იყოს 1500... იმას რომ გაივლი, ბევრად უფრო მაგარი იქნები, როგორც პრაქტიკული თვალსაზრისით, ისე თეორიული, მაგრამ ღირს 1500 ლარი. შენი სამუშაო არ გაძლევს იმის საშუალებას, ფინანსები, რომ ის გაიარო და უკეთესი გახდე.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „უნდა მოხდეს იმ საკითხების წამოწევა, სადაც, დავუშვათ, ადვოკატს ჩვეულებრივი უმაღლესი სასწავლებლები არ ამზადებენ, ვთქვათ, საგადასახადოს დარგში.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 17-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „სამსახური გაქვს, ოჯახი გყავს. ყოველთვის არ შეგიძლია ტრენინგზე თბილისში წასვლა. თუკი ქუთაისსა და ბათუმში ტარდება ტრენინგები, რატომ არ შეიძლება, ზოგი ტრენინგი ჩვენს რეგიონშიც ჩატარდეს?“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

ოთხივე ქალაქში ადვოკატებმა ძირითადად საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია განიხილეს, როგორც განგრძობითი იურიდიული განათლების მომწოდებელი. ახალციხეში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა შეაქვეს საკუთარი სამსახური იმისთვის, რომ მუდმივად აცნობს სიახლეებს ახალი კანონებისა და კანონში ცვლილებების შესახებ. რუსთავში ადვოკატებმა თქვეს, რომ შესაბამისი ინსტიტუტების ხელმძღვანელები უნდა იყვნენ განგრძობითი იურიდიული განათლების მომწოდებელი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატებისთვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეებისთვის და პროკურატურა პროკურორებისთვის. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა ახალციხეში თქვა, რომ ეფექტური იქნებოდა, თუკი იურიდიული

პროფესიის ყველა წარმომადგენელს (მოსამართლეებს, პროკურორებს, ადვოკატებს) ტრენინგს ერთი და იგივე ადამიანი ჩაუტარებდა იმისთვის, რომ მათ ერთნაირად ესმოდეთ სამართლებრივი საკითხები.

- „პროკურატურა პროკურორებისთვის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატებისთვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეებისთვის, ანუ, ვინც არის ხელმძღვანელი ორგანო, მათ უნდა იზრუნონ განგრძობით იურიდიულ განათლებაზე და აკონტროლონ კიდეც.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „ვინც ჩაატარებს ტრენინგებს, სასამართლოში ვინც ატარებს, იმათაც ხო აქვთ სწავლება. პროკურატურაში, იგივე ხალხს ჰქონდეს საშუალება, ჩვენთანაც რო ჩაატაროს. რადცნაირი ერთიანი პრაქტიკა წავიდეს, ერთიანი აღქმა წავიდეს ამ იმისი. და არა ისეთი, რო ცალმხრივად იყოს ეს და, მაგალითად, მორგებული იყოს ტრენინგი მარტო მოსამართლეებისთვის და იმის პოზიციიდან გამოდიოდეს. რაც რეალობაა, რაც ფუნდამენტებია, რაც საფუძვლებია, იქიდან უნდა გამოდიოდნენ.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

მოსამართლეებმა დადებითად შეაფასეს იურიდიული განათლების მდგომარეობა საქართველოში. მათი შეხედულებით, ახალ თაობას მეტი რესურსი და შესაძლებლობა აქვს, რომ საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია მოიპოვოს და ისინი უფრო მომზადებულები არიან, როცა უნივერსიტეტს ამთავრებენ. პრაქტიკოსი მოსამართლეებისა და პროკურორების ლექციები სტუდენტებისთვის უფრო საინტერესოა, რადგან მათ თეორიასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება შეუძლიათ. მოსამართლეებმა ხაზი გაუსვეს პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობასა და საჭიროებას და შესაძლებლობებს, რომ სტუდენტებმა ისწავლონ, როგორ მუშაობს სასამართლო, პოლიცია, როგორ მუშაობენ ადვოკატები და როგორ შეიძლება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. სასამართლოში მოქმედებს სტაჟირების პროგრამა და სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ, პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ. მოსამართლემ ახალციხიდან ახსენა, რომ ზოგჯერ სტუდენტები უფრო მომზადებულები არიან და სასამართლო პროცესის წესებს უფრო ყურადღებით იცავენ, ვიდრე გამოცდილი ადვოკატები.

- „საშუალება მეტად აქვთ იმისთვის, რომ ეს იურიდიული განათლება უფრო მაღალი იყოს და საკმაოდ კარგად იყენებენ ამას დღევანდელი თაობა, უფრო მეტად მომზადებულნი გამოდიან უნივერსიტეტებიდანაც.“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 14-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ძალიან მნიშვნელოვანია, სასამართლო, პროკურატურა, ადვოკატურა, იურიდიულ სფეროებში, უშუალოდ ჩაიხედო შიდა სამზარეულოებში, პრაქტიკულად როგორ ხდება ამ ცოდნის რეალიზება.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 7-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

მოსამართლეთა ნაწილის აზრით, საგამომიებო ორგანოებსა და ადვოკატებს განათლების უფრო დაბალი დონე აქვთ, შედარებით პროკურორებთან, რომლებიც უფრო განათლებული და მომზადებული არიან. მათ ხაზი გაუსვეს ადვოკატებისთვის სავალდებულო კურსებისა და გამოცდების მნიშვნელობას, მაგალითად, სისხლის სამართალში. მოსამართლემ ბათუმიდან ახსენა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ცდილობს, უფრო აქტიურად იმუშავოს განგრძობითი განათლების მიმართულებით.

- „პრაქტიკოსები უნდა ჩაერთონ აუცილებლად ადვოკატების გადამზადების საკითხში.“ (მოსამართლე, კაცი, სამოქალაქო და სისხლის სამართალი, 35-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „ადვოკატებსაც უნდა დაავალდებულონ, რაღაცა კურსი გაიარონ, მერე გამოცდა ჩააბარებინონ, მაგალითად, სისხლის სამართლის კუთხით.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 35-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

განგრძობით იურიდიულ განათლებასთან დაკავშირებით მოსამართლეებმა ისაუბრეს, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა მათთვის ტრენინგებს აწყობს და გამოკითხვებს ატარებს იმისთვის, რომ გაიგოს, რა საკითხი ან სფეროა უფრო საინტერესო მოსამართლეებისთვის და შემდეგ გაითვალისწინოს მათი სურვილები და საჭიროებები. მათ ახსენეს, რომ ტრენინგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალი პრაქტიკის, სხვა ქვეყნების სასამართლო საქმეებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით. ტრენინგები და ინფორმაციის გაცვლა მათ შემდგომ გადაწყვეტილებებში ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მოსამართლეებს ტრენინგებზე დასასწრებად საკმარისი დრო არ აქვთ, მათი თქმით, განგრძობითი განათლება მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ ჩამორჩნენ სიახლეებს, რადგან კანონმდებლობა სწრაფად იცვლება. გარდა ამისა, მოსამართლეები სხვა ქვეყნებშიც მიდიან მათი გამოცდილების გასაზიარებლად.

- „იუსტიციის უმაღლესი სკოლის მეშვეობით ხდება და ძალიან ბევრი უცხოელი ჩამოჰყავთ, უშუალოდ ვგებულობთ იმ ქვეყნის პრაქტიკას, თეორიულ დონეზე გვაწვდიან ინფორმაციას. რა თქმა უნდა, ჩვენი ქართველი ექსპერტებიც, პრაქტიკაში არსებული პრობლემები ძალიან ბევრია, ხო, ეს ყველაფერი, ამ ყველაფერზე ვსაუბრობთ, ძალიან მეხმარება ჩემს პირად სამსახურებრივ საქმიანობაში შემდეგ ეს გამოცდილება.“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 7-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „ტრენინგებთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი სკოლა გვაწვდის ინფორმაციას, შესაბამისად, თუ რომელიმე საკითხი გვანტერესებს, ვაძლევთ თანხმობას და ვრეგისტრირდებით აღნიშნულ რამეზე, ყოველდღიურად მოგვდის ეს ინფორმაცია, რომ რა ტრენინგები ტარდება.“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 14-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

ყველა პროკურორმა ახსენა, რომ უნივერსიტეტები მაღალი დონის განათლებას აძლევს სტუდენტებს და მათ კარგი თეორიული ცოდნა აქვთ. ამავდროულად, პროკურორების

თქმით, სტუდენტებს პრაქტიკა აკლიათ, რაც ასევე უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ. შესაბამისად, მეტი იურიდიული კლინიკა უნდა ამოქმედდეს და უნივერსიტეტში სტაჟირების მეტი შესაძლებლობა უნდა იყოს. ახალციხეში პროკურორმა გამოთქვა სურვილი, რომ მეტი შეთანხმება იყოს უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, რომ წარჩინებულ სტუდენტებს სტაჟირების შესაძლებლობები შესთავაზონ. ეს მათთვის კარგი სტიმული იქნებოდა. პროკურატურას აქვს სტაჟირების პროგრამა, რაც სტუდენტებს კარგ შესაძლებლობას აძლევს, რომ უკეთ გაიგონ, როგორ მუშაობს სისტემა. მათ საშუალება აქვთ, ერთწლიანი პროგრამის განმავლობაში დაამტკიცონ საკუთარი შესაძლებლობები. პროკურორებმა აღნიშნეს, რომ ასეთი ტიპის სტაჟირება შეიძლება მართლმსაჯულების სფეროს სხვა ინსტიტუტებშიც დაინერგოს. ამ შემთხვევაში სტუდენტებისთვის უფრო ადვილი იქნებოდა შემდგომში მუშაობის დაწყება. რაც შეეხება განგრძობით განათლებას, პროკურორებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები უტარებენ ტრენინგს სხვადასხვა სფეროში იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებით სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება.

- *„უფრო მეტად რომ გაიზარდოს ეს პრაქტიკული კომპონენტები უნივერსიტეტებში თეორიასთან ერთად, მერე აღარ გაუჭირდება სტუდენტს პრაქტიკაში თავის რეალიზება.“ (პროკურორი, კაცი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)*
- *„მსგავსი სისტემა, ჩემი აზრით, რომ იყოს დანერგილი სხვა მართლმსაჯულების სისტემებშიც, უფრო მეტად განვითარებული იქნებოდა მართლმსაჯულების ხარისხი.“ (პროკურორი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი)*
- *„ხელშეკრულებები იდება სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებასთან, მათ შორის პროკურატურასთან და რაღაც ეტაპზე მოდიან და სტაჟირებას გადიან და კონკრეტულად უყურებენ, როგორ მუშაობს.“ (პროკურორი, კაცი, 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)*
- *„წლის დასაწყისში ყოველთვის არის მოთხოვნა პროკურატურებიდან, რომ რა სფეროში გინდათ, რომ თქვენმა თანამშრომლებმა გაიარონ ტრენინგები, დაუშვან. შესაბამისად, გავდივართ თანამშრომლებში, რომ რა სფეროში გვჭირდება კვალიფიკაციის ამაღლება, იმის მიხედვით ვაგზავნით, შემდეგ იგეგმება ჩასატარებელი ტრენინგები.“ (პროკურორი, კაცი, 10-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)*

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია

კვლევაში მონაწილე თითქმის არცერთ ადვოკატს არ ჰქონდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისთვის საჩივრით მიმართვის გამოცდილება. თუმცა, ყველამ იცოდა მათი გადაწყვეტილებების შესახებ, რადგანაც ზოგ მათგანს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგებზე განიხილავენ. რუსთავსა და ახალციხეში ადვოკატებმა დადებითად შეაფასეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები. ბათუმში არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა თქვა, რომ ცოტა ხნის წინ მიმართა ეთიკის კომისიას ერთი ადვოკატის წინააღმდეგ, ვინც შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალში. მისი საჩივარი ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო.

- „ეთიკის კომისიაზე, მე რაც ვიცი, რაზეც გვექონია შეხება, დადებითად შევაფასებდი იმიტომ, რომ გვერდზე არ გადაუდიათ, ყოფილა განხილვა, მსჯელობა.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „გადაწყვეტილებები რაც არი, ცდილობენ ყოველ შემთხვევაში, იმ კანონის ჩარჩოებში მოაქციონ, რაც არის ჩვენი კანონმდებლობა, ეთიკის კოდექსი და ადვოკატთა შესახებ კანონის ნორმებში მოაქციონ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 30-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „ყველაზე კარგი, რაც ეთიკის კომისიას აქვს, შინაარსობრივად განმარტავენ. არა მხოლოდ ესე მოკლედ, ეს ესეა და მორჩა, არამედ ხსნიან მთელ პრინციპებს, რაც ირღვევა და რასაც ეს იწვევს საზოგადოებისადმი, ჩვენი კოლეგებისადმი პატივისცემის მომენტში. მთლიანად აკეთებენ გარემოებების ანალიზს.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

ადვოკატების მიერ ადვოკატთა ქცევის კოდექსის დარღვევები ახალციხის ჯგუფში ყველაზე აქტიურად განიხილეს. მათ გაიხსენეს შემთხვევები, როცა ადვოკატებმა ერთმანეთს სასამართლოში შეურაცხყოფა მიაყენეს, მათ შორის ისეთი შემთხვევაც, როცა ადვოკატები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო. ახალციხის ფოკუს ჯგუფის მონაწილე ადვოკატებმა ასევე ხაზი გაუსვეს იმ პრობლემას, რომ ადვოკატები საკუთარ კლიენტებს ატყუებენ. ამის დასტურად მათ ორი მაგალითი მოიყვანეს. ერთ შემთხვევაში ადვოკატები ცდილობდნენ პირველ ინსტანციაში საქმის მორიგების თავიდან აცილებას, რათა საქმე სააპელაციო სასამართლომდე მისულიყო და უფრო მეტი ჰქონოთარ მიეღოთ. მეორე შემთხვევა უფრო ზოგად პრობლემას ეხებოდა, ადვოკატების მიერ კლიენტებისთვის საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტიების მიცემას.

- „ხშირად ხდება, რაც ყველაზე ცუდია და მწვავე, თვითონ კოლეგიალობის მხრივ დამოკიდებულება არის ძალიან ცუდი. შესაძლებელია, ვარ დამცველი, ვარ ადვოკატი, ვიცავ ჩემი კლიენტის ინტერესებს, პაექრობაში შევდივარ ოპონენტთან, კოლეგასთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე უნდა გავცდე ნორმებს. არის შემთხვევები, როდესაც ცდებიან ხოლმე, პირად დაპირისპირებაში გადადის ხოლმე. ახლა ხანს მოხდა, დაპირისპირებაში გადავიდა, ცოტა დააკლდათ, ფიზიკურ შეურაცხყოფამდე მისულიყვნენ. პოლიციაც ჩაერთო საქმეში.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 6-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „თვითონ კლიენტის მიმართაც დამოკიდებულება არის არაკვალიფიციური. ხშირად ყოფილა, რო არ მოურიგებიათ მხარეები ადვოკატებს სასამართლოში. არ მთარეგს იმის გამო, რომ აპელაციაში წასულიყო და სააპელაციო სასამართლოში დამატებითი ჰქონოთარ მიეღოთ. ეს ყოვლად დაუშვებელია, რა თქმა უნდა.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 6-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

მედიაცია

ოთხივე ქალაქში ადვოკატებმა დადებითი შეხედულებები გამოთქვეს მედიაციასთან დაკავშირებით. მათ უმეტესობას თავად არ გამოუყენებია ეს ინსტიტუტი. მხოლოდ ერთმა ადვოკატმა თბილისში, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, თქვა, რომ მუშაობდა საქმეზე, რომელიც მედიაციის სასამართლომ გადაწყვიტა. მისი თქმით, მედიაციის დროს კომუნიკაცია უფრო ღია იყო და, მოსამართლისგან განსხვავებით, მედიატორი დაეხმარა ადვოკატებს საქმის უფრო სწრაფად დასრულებაში. სწორედ ეს ფაქტორი, დავების უფრო სწრაფი გადაწყვეტა, ახსენეს ადვოკატებმა, როგორც მედიაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე, ნაკლებ ბაჟთან და იმ შესაძლებლობასთან ერთად, რომ დავა ორივე მხარისთვის მეტად სასარგებლოდ დასრულებულიყო. ამავდროულად, ადვოკატების აზრით, მედიაცია შესაძლოა, ეფექტური მექანიზმი იყოს სასამართლოების განტვირთვის თვალსაზრისით. თბილისში არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა თქვა, რომ კარგ შემთხვევაში სასამართლო თავად უნდა ასრულებდეს ამ სამუშაოს და მოსამართლეებს გაზრდილი უფლებამოსილება უნდა ჰქონდეთ მოლაპარაკებების წარმოებისა და მხარეების მორიგებისთვის. ადვოკატთა ნაწილმა ბათუმსა და რუსთავში განაცხადა, რომ მედიაციას მეტი რეკლამირება და პოპულარიზაცია სჭირდება. ფოკუს ჯგუფებზე ასევე ახსენეს, რომ იმისთვის, რომ მედიაციის ინსტიტუტმა კარგად იმუშაოს, ხალხი სამართლებრივ საკითხებში მეტად გათვითცნობიერებული უნდა იყოს და მეტი ნდობა ჰქონდეს ამ ინსტიტუტის მიმართ. მხოლოდ რუსთავის ჯგუფში დააყენეს მედიაცია ექვქვეშ და თქვეს, რომ მედიაცია კარგად განვითარებული ინსტიტუტი არ არის და როგორ შემლეს საქმეების გადაწყვეტას, როცა ეს სასამართლოსაც კი უჭირს.

რაც შეეხება საქმეებს, რაც შეიძლება გადაეცეს მედიაციის სასამართლოს, ოთხივე ქალაქში დაასახელეს შემდეგი: საოჯახო საკითხებთან დაკავშირებული დავები, განქორწინების, მემკვიდრეობისა და ქონების განაწილების დავები, დავები ბანკებთან და ისეთი საქმეები, სადაც „მხარეთა შორის ურთიერთობა არ მთავრდება“.¹⁷ ბევრმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ მედიაციის გამოყენება ნებისმიერი ტიპის საქმეზე შეიძლება.

- „როდესაც მოლაპარაკების თემა არის, კი ბატონო, თანახმა ვარ, გამომიყენებია ეს ინსტიტუტი, დადებითიც ყოფილა. თუ მე მოტივირებული ვარ, რომ დროზე დავამთავრო ეს საქმე, ეს საკითხი, მედიატორი ამაში უფრო მეხმარება, ვიდრე მოსამართლე. იქ უფრო გახსნილი კომუნიკაციაა... იქ პირდაპირ ეტყვიან, აქ პერსპექტივა ისეთი გაქვს, იქ ისეთი გაქვს და, აი, ამ თვალსაზრისით დადებითი მომენტია.“ (საიას ადვოკატი, კაცი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 4-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „თუ რეალურად იმუშავენს, რატომაც არა. პრინციპში, ხარისხიც იქნება, სასამართლოში ამდენი წლები ლოდინი არ იქნება. პირიქით, ინტერესი იქნება მხარისთვის, რომ დროულად მიიღოს გადაწყვეტილება, ან მიიღოს, დაინახოს პერსპექტივა იმისა, რომ საით უნდა წავიდეს მისი საქმე.“ (იურიდიული

¹⁷ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე

დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 11-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

- „ჯერ ერთი, სწრაფი საშუალებაა. ერთის მხრივ, განიტვირთება სასამართლოები, მეორეს მხრივ, მხარეები მორიგდებიან, თუ მედიაციით ისინი შედეგს მიაღწევენ, რატომაც არა.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, საერთო სპეციალიზაცია, სისხლის სამართალი, 15-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „მედიაციის შემთხვევაში ბაჟიც ხო ცოტაა. მედიაცია არის ძალიან კარგი. ეს უნდა დამკვიდრდეს და უნდა მყარად დამკვიდრდეს.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „რა თქმა უნდა, ვურჩევდი [კლიენტს მედიაციას]. რატომ? იმიტომ, რომ უფრო ჩქარა გადაწყდება საქმე, უფრო იაფი დაუჯდება მომსახურება და ამავე დროს კიდევ დროში არ გაეწელება და მხარეები არ დაჭამენ ერთმანეთს 5-10 წელი, როგორც ახლა ხდება.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 25-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „მედიაციაში უფრო მეტი შანსია, რომ მხარეებმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე უფრო მეტს მიაღწიონ. სასამართლო ისეთი ინსტიტუციაა, რომლის გადაწყვეტილებაც სავალდებულო შესასრულებელია, მედიაცია კი მოლაპარაკების შესაძლებლობას ტოვებს.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „ეს მედიაცია, მემგონი, გაჭირვების ტალკვესია იმიტომ, რომ სასამართლოები უკვე გაურბის ამდენი საქმეების განხილვას.“ (საიას ადვოკატი, კაცი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 4-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „კარგ პირობებში ეს ყველაფერი სასამართლომ უნდა შეითავსოს და მოსამართლეს უნდა ჰქონდეს გაზრდილი უფლებამოსილება ამასთან მიმართებაში.“ (საიას ადვოკატი, კაცი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 4-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- „ჩემი აზრით, პოპულარიზაცია არ აქვს [მედიაციას], ამ მიმართულებას. ამ პროცესში ცვლილებას არ აქვს პოპულარიზაცია, თორემ კარგი იქნება ძალიან.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 14-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ხალხის ინფორმირებაა საჭირო და რეკლამა, რაც ვთქვით.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „სასამართლო მედიაცია რომ ამოქმედდეს, ხო, საზოგადოებას მეტ-ნაკლებად მეტი სამართლებრივი ცოდნა უნდა ჰქონდეს ან აღიარება სამართლებრივი ნორმებისა იმისთვის, რომ სასამართლო მედიაციას მიმართონ... სასამართლოს არ ენდობიან და იქ სამი პირის მიერ შექმნილ შეთანხმებას ხო აბსოლუტურად არანაირად არ ენდობიან.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 30-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „ჯერ ერთი, ჩამოყალიბებული სამართლებრივი ინსტიტუტია, რამდენად ჩამოყალიბდება ჯერ რეალობაში, აბსურდია. სასამართლო ვერ წყვეტს რეალურად დავას, არათუ სასამართლო მედიაცია.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 30-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

- „შეთანხმება ნებისმიერ საკითხზე შესაძლებელი. შეზღუდვები არ არის და ეს კარგია. რაც უფრო მეტი საქმე გადაეცემა მედიაციის სასამართლოს, მით უფრო მეტად განვითარდება ეს ინსტიტუტი და ყველასთვის სასარგებლო იქნება.“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სპეციალიზაცია, 25-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „თუ საქმეები შემოვიდა სარჩელში და ხედავ, რომ აქ პოზიციების დაახლოება ხდება, სამოქალაქო საქმეზე, მემგონი, ყველა შეიძლება გადაეცეს, ნებისმიერი.“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სპეციალიზაცია, 14-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

კვლევაში მონაწილე მოსამართლეთა უმეტესობას არ ჰქონდა ისეთ საქმეზე მუშაობის გამოცდილება, რომელიც მედიაციის სასამართლოს გადაეცა, რადგანაც მედიაციის სასამართლო ჯერ-ჯერობით მხოლოდ თბილისში მუშაობს. სამოქალაქო სამართლის მოსამართლემ თბილისში ახსენა, რომ რამდენიმე ასეთი საქმე ჰქონდა, თუმცა, ეს საქმეები ისევ სასამართლოს დაუბრუნდა. ზოგადად, მოსამართლეებს მედიაციაზე დადებითი შეხედულებები აქვთ და მიიჩნევენ, რომ ეს სასამართლოს კარგი ალტერნატივაა საოჯახო, სამემკვიდრეო და სამეზობლო დავების გადასაწყვეტად, განსაკუთრებით მაშინ, როცა მხარეებს საქმის დასრულების შემდეგ ერთმანეთთან კომუნიკაცია მოუწევთ. მოსამართლეების თქმით, ეს ინსტიტუტი პრობლემის დროულ გადაწყვეტას უზრუნველყოფს და ითვალისწინებს ისეთ შეთანხმებას, რაც ორივე მხარისთვის მისაღებია. თუმცა, სასამართლო მედიაციას პოპულარიზაცია სჭირდება, რადგანაც ხალხს ჯერ კიდევ ურჩევნია, სასამართლოს მიმართოს და სასამართლოს მეტად ენდობა. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ პირველ ეტაპზე სასამართლო მედიაცია შეიძლება, კონკრეტული საქმეების შემთხვევაში (მაგალითად, თუკი დავა 5000 ლარს არ აღემატება) სავალდებულო გახდეს, რაც სასამართლოების გადატვირთულობას შეამცირებს.

- „მხარეებს ნამდვილად სურვილი აქვთ, სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება იმიტომ, რომ ნდობა მოსამართლის მიმართ უფრო არსებობს, ვიდრე მედიატორის მიმართ. იმიტომ, რომ მედიატორის გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება მაინც არსებობს.“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 1 წელი, თბილისი)
- „პირველ რიგში, ჩვენთვის არის სასარგებლო, სასამართლოსთვის. განიტვირთება ასეთი საქმეებისგან.“ (მოსამართლე, კაცი, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, 35 წელი, ახალციხე)
- „გარდა იმისა, რომ სწრაფად და დროულად გადაწყდება მედიაციაში საქმე, ასე უპირატესობა ის არის, რომ მედიაციის დროს მხარეები შეთანხმებით ადგენენ და ისე ღებულობენ გადაწყვეტილებას... თან, ეს ის მხარეებია, მემკვიდრული დავის დროს, საოჯახო დავის დროს, თუნდაც სამეზობლო დავის დროს, რომ აქედან გასულს კიდევ უფრო უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა ერთმანეთთან, მედიაცია სწორედ იმაში მოეხმარება, რომ უფრო ადვილი იყოს.“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 14-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

სასამართლო მედიაცია უმეტესად სამოქალაქო საქმეებს მოიცავს. ამიტომაც პროკურორებმა ზოგადად ისაუბრეს ამ ალტერნატივაზე. მიუხედავად ამისა, მათი შეხედულებები პოზიტიურია, განსაკუთრებით როცა საქმე მცირე დავებს ეხება, რაც სასამართლოს თვეობით ახარჯინებს რესურსს. თუკი მოქალაქეს მეზობელთან დავის გადაჭრა სჭირდება, უნდა ერჩიოს საქმის დროული გადაწყვეტა, რაც მედიაციის გზითაა შესაძლებელი, განსხვავებით სასამართლოს გადაწყვეტილებისგან, რასაც შეიძლება, წლები დასჭირდეს. პროკურორებმა ასევე აღნიშნეს, რომ მედიაცია ორივე მხარის მოსაზრებებს ითვალისწინებს და ისე იღებს გადაწყვეტილებებს. საქმეები, რომელთა სავალდებულო წესით მედიაციისთვის გადაცემაც გონივრული იქნებოდა, პროკურორების თქმით, არის ცოლ-ქმარს შორის დავები, ბავშვთა აღიშენებთან დაკავშირებული საქმეები და სხვა საქმეები, რისი გადაწყვეტაც მოდავე მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევით შეიძლება.

ზოგმა პროკურორმა ახსენა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, რაც უმეტესად იმ არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება, ვინც პირველად ჩაიდინა მცირე დანაშაული და ბრალს აღიარებს. მათი თქმით, პროგრამა ეფექტურად მუშაობს.

- *„ალიმენტები თუნდაც, შვილთან დაკავშირებული, ნახვისა და არნახვის დღეების განსაზღვრა და ესეთი საკითხები, რაც შესაძლებელია, რომ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მოგვარდეს და მოექცეს კანონმდებლობის ჭრილში. ეს საქმეები შესაძლებელია, რა თქმა უნდა, მედიაციის კუთხით იქნეს განხილული.“* (პროკურორი, კაცი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- *„ნამდვილად კარგია იმიტომ, რომ ძალიან ბევრი წვრილმანი დავა არსებობს, რომელზეც არ არის საჭირო თვეობით იხარჯებოდეს სასამართლოს რესურსი. მათ შორის მოქალაქეს, რომელსაც კონკრეტული მეზობლური თუ ოჯახური დავა უნდა, რომ გადაუწყდეს, კონკრეტულ სიტუაციაში და არა ორი წლის მერე, ბევრად უფრო მისაღებია მისთვისაც.“* (პროკურორი, ქალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი)
- *„ამ ინსტიტუტს უნდა მიეცეს მნიშვნელოვანი როლი იმისთვის, რომ საქმეები დამთავრდეს მარტივად, თუნდაც შემსუბუქდეს სასამართლოს ის დატვირთულობა, რაც დღეის მდგომარეობით აქვს საქმეების კუთხით.“* (პროკურორი, კაცი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

კვლევის თვისებრივი ნაწილის ამ მიმოხილვაში შეჯამებულია ადვოკატების, მოსამართლეებისა და პროკურორების მიერ გამოთქმული ძირითადი მოსაზრებები, რაც გამყარებულია მათივე ციტატებით.